43 /2
1885

# ივერია

1885

№ X, ოქტომბერი.

ტფილისი.
ექვთიმე ხელაძის სტამბა.
1885

# შინაარსი:


I. მოძღვარი, მოთხრობა ა. მოჩხუბარიძისა. (შემდეგი) . . . . . . . . . . . . . . 3

II. სახალხო ლექსები (ხევში შეკრებილი ა. მ—საგან) 49

III. ნაამბობი არტემ არარატელისა საქართველოს მდგომარეობაზედ მე-XVIII საუკ. დამლევს. (მასალა ისტორიისათვის) (შემდეგი) თარ. ზ. არჭევანიძისა. . . . . . . . . . . . . . 53

IV. სცენა სოფლის ცხოვრებიდამ ს. მგალობლიშვილისა 72

V. სახალხო ლექსები (შეკრებილი ს. მ—ლისაგან). 74

VI. სამეგრელოს სათავად-აზნაურო სკოლის კურთხევა («ივერიის» კორესპონდენცია) . . . . . 77

VII. სიმღერა (ლექსი) ი. დ—ისა. . . . . . . 79

VIII. დიდ ზალაში (პროვინციალური სურათები ს. მგალობლიშვილისა. . . . . . . . . . 81

IX. *** (ლექსი) ცახელისა. . . . . . . . 98

X. სიტყვა აკაკისა (თქმული სათავად აზნაურო სკოლის სახლის კურთხევის დროს). . . . .. . 100

XI. მოკლე ისტორიული გამოკვლევა ქართულის სტამბის დაარსებისა და მოქმედებისა მე-XVIII საუკუნეში და მე-XIX საუკუნის პირველ წელთ განმავლობაში თ. ჟორდანიასი. . . . . . . . 114

XII. ქალების განათლების შესახებ (დასასრული) წერილი პროფესორის ტარასოვისა თარგ. მ—ნისა. 120

XIII. წერილი რედაქტორთან ზ. ჭიჭინაძისა . . 135

განსაკუთრებული დამატება: ა) თბილისის სათავად აზნაურო ბანკის განცხადება 21 ტირაჟის შესახებ. ბ) თბილისის და ქუთაისის თავად-აზნაურობის ბანკის განცხადებანი მამულების შესახებ.

ეს უკანასკნელი დამატებანი შეიცავს სამს თაბახს «ივერიისა» ანუ 12 გვერდს.

---

## რედაქციისაგან.

ვისაც «ივერიის» ფასი ჯერ სრულიად არ წარმოუდგენია, რედაქცია სთხოვს, რაც შეიძლება, ჩქარა გამოგზავნოს.

---

# ივერია

## საპოლიტიკო და სალიტერატურო ჟურნალი

---

წელიწადი მეცხრე

1447

№ X

თბილისი
ექ. ხელაძის სტამბა, საპიორის ქუჩაზე თავის საკ. სახლში
1885

Дозволено цензурою, Тифлисъ 2 Ноября 1885 г.

# მოძღვარი.*)

მაყვალამ ორივ ხელი ისევ თავ-ქვეშ ამოიდო, მიესვენა ტომარას და თავის სამფლობელო ოცნებაში შევიდა.

გაიარა წუთმაც და ქალმა ნაზის ხმით დამღერა:

«მოფრინდი, ჩემო მერცხალო,»
«დამიჩიკჩიკე ბანზედა.»
«თითქოს ჰფიცავდი: «მიყვარხა?»
«მაშ რაღად დასვალ განზედა?»

ქალმა ვეღარ გაათავა ეს სიტყვები, რომ კარებში ბრახუნი მოისმა.

მაყვალა შეკრთა, გაჩუმდა და სულ განაბულმა ხმა ვეღარ ამოიღო, განძრევაც კი ვეღარ მოახერხა.

მოისმა უფრო ძლიერი ბრახუნი და მოუთმენელი ხმა, რომელიც წამ და უწუმ სწყდებოდა:

— მაყვალაუ, მაყვალაუ!

მაყვალა წამოხტა და მფეთქავის გულით კარებთან მოვიდა.

— არ გესმის, ქალაუ?... აცახცახებულის ხმით დაიძახა კიდევ ონისემ.

— ვინაა, რაი გინდა?

— მე ვარ, მე... გამიღე კარი...

მაყვალა გაჩუმდა და აღარ იცოდა, რა ეპასუხა.

— გამიღე, ღვთის მადლმა, თორემ ჩემს სისხლში გაგრევ.

— ვინა ხარ, ბეჩა! უპასუხა შეშინებულმა მაყვალამ. ურდულს ხელი გაავლო, მაგრამ ისევ შესდგა.

— მე ვარ, ონისე.

— რაი გინდა ამ შუა-ღამისას? უთხრა ქალმა და, თუმცა ჰგრძნობდა, რომ დიდს უარს ვეღარ მოახერხებდა, მაგრამ მაინც დაუმატა:—არ გაგიღებ, არა.

---

*) «ივერია» № 9, 1885 წ.

— ქალავ!... ღმერთი აღარ გყავს?.. მიშველე, მიშველე ერთ-ხელ კიდევ და ღვთის მადლმა ჩემის ლეშით ყორნებს გავა-ძღობ .. გააღე, გააღე მეთქი!...

ისეთის გაშმაგებით და გამწარებით ითხოვდა ონისე კა-რის გაღებას, ხმაში იმდენი თავ-განწირულება და გადაწყვეტი-ლება ეტყობოდა, ისეთი გაბრაზება, რომ ქალს შაეშინდა.

— ონისევ!...

— ოჰ! მოუთმენლად შეჰყვირა კაცმა და ხმაში დაეტყო, რომ გულს მწვავი რკინა მოხვედროდა. — გააღე, გააღე... ერთს გნახავ... წავალ... მოგშორდები... შენს უნახავად ნუ... ნუ მომაკვლევინებ თავსა... გამიღე... მე სასიცოცხლო აღარა ვარ... ქალავ, გააღე მეთქი!...

მაყვალას გული ამოუჯდა და შეშინებულს ეგონა, რომ ონისეს ცოცხალს ველარ ნახავდა. ხელი ერთბაშად აუცახცახდა, გონების დამორჩილება დაეკარგა, და პატრონისავე დაუკითხა-ვად, ანგარიშ მიუცემლად, ურდული, უკან გაცურდა.

გაიღო კარი და ონისე დამთვრალსავით რაცრაცით შე-ვარდა, დაბარბაცდა და კედელს მიეყუდა. გაცრეცილი სახე სულთ-მობრძავისა შეჰქნოდა. კრიჭის შეკვრის გამო, ლაწვები ამოსჯდომოდა და ძალზედ გასიებულის თვალებიდგან ცეც-ხლებსა ჰყრიდა.

გონება დაფანტული ქალიც იდგა გაჩუმებული და ადგი-ლიდგან ვერ დაძრულიყო; თავი დახარა, თვალები დაუშვა და წნორის ფურცელსავით თრთოლა დაიწყო.

ორნივ ასე იდგნენ გახევებულს საგნებსავით, თითქოს მოძრაობის ნიშნიც კი დაეკარგათ. აქამდის ორნივ ისეთის ძა-ლით მიიზიდოდენ ერთმანეთისკენ, რომ ქვეყანაზედ ისეთი ძალა არ გაჩნდებოდა, რომელსაც მათი ერთმანეთისადმი

ლტოლვილება შააყვნებინა და ეხლა კი, როდესაც ერთმანეთის-გან ასე ახლოს იდგნენ, ამოსუნთქვაც კი ვეღარ გაებედათ. ონისე უყურებდა მაყვალას, რომელსაც აღშფოთების გამო-საგულის შეკვრაც კი დავიწყებოდა და გაჩუმებული თითქოს ელოდა, ლაპარაკი ქალს დაეწყო.

მაყვალა ჰგრძნობდა კაცის თვალების ძალას, რომელიც მოუსვენრად უცვლიგებდა და აღშფოთებაში შეჰყავდა; სია-მოვნების ჟრიამულს უტარებდა მთელს სხეულში, და თუმცა თვალები დაშვებული ეჭირა, გრძნობა მხედველობათ გარდაქცეო-და, თითქოს ხედავდა ვაჟის უწყალოდ დალონებულს სახეს, რომელშიაც იმდენი სიყვარული, ხვეწნა და მუდარა გამოი-თქმოდა, ისე ბუნავად გამოიცქირებოდა.

ქალსაც მეტის მეტად უძნელდებოდა ლაპარაკის დაწყება და ან კი რა უნდა ეთქვა?... ესაყვედურა, რომ მოვიდა? მაგ-რამ როგორ ესაყვედურა, როდესაც მისი ნახვა ისე ძვირად უღირდა, ისე ნატრობდა, რომ ხატს თუ ჯვარს, ყველა სა-ლოცავებს ამ ბედნიერის წუთებისთვის ხვეწნით თავს აძულებ-და! გრძნობისთვის ნება მიეცა, და გული ტოლთან შესაერთებ-ლად გაშვებას ვერა ჰბედავდა, რადგანაც სწორედ დღეს შეა-ტყობინა ბეჟიამ, რომ ონისე მხიარულად არის და ცოლს ირთავსო. ქალის თავ-მოყვარეობა ნებას არ აძლევდა, რომ ნა-ბიჯი გადაედგა.

ერთბაშად მმელუცი შეკრთა, უკანასკნელი ბეწვიც, რომელ-ზედაც მოთმინება ეკიდა, — შესწყდა და წყნარად, თუმცა ცეცხლ წაკიდებულის სიძლიერით, წარმოსთქვა:

— რისთვის მოსულხარ? და გულმა ცახცახი დაუწყო, მთლად სმენად გადაიქცა.

— მიყვარხარ და იმადა. მოკლედ და მტკიცედ წარმოსთქვა

კაცმა, ამის შემდეგ ისევ სიჩუმე ჩამოვარდა. ქალის გულს ნექტარის საამოვნება აგრძნობინა.

ამ სიტყვებმა და გაღვიძებულმა იმედმა, რაოდენადმე გაათამამა, თუმცა აზროვნობა ჯერ მაინც ვერ მოეკრიფა და ლაპარაკის ანგარიში ვერ მიეცა.

— დიაღ, გიყვარვარ? ელვასავით შესტყორცა ყუყუნა თვალების სხივი და გაწითლებულმა მაშინვე ისევ თავი დახარა.

ონისემ რამდენიმე ნაბიჯი წადგა, გაიმართა წელში, იგრძნო, ბრძოლის ველი მასა რჩებოდა და სახე გამარჯვებულის ძლევა-მოსილობით გაუბრწყინდა.

— ქალაუ! ორნივ ვიტანჯეთ, ვეწვალეთ და ვერ დავივიწყეთ ერთურთი... ერთურთი ვნახეთ და შევიყვარეთ ერთმანეთი... ჩვენის ნებით არ მომხდარა ესა და ვერც ჩვენის ნებით გავიყრებით... ვეცადე, ქალაუ! ვეცადე, ღვთის მადლმა, რომ გულიდამ ამომეღე, შენი სიყვარული ფესვიანად ამომეგლიჯა, შენი სახე ცხელის რკინით ამომებუგა გულიდგან, მაგრამ დავეცი, დავიღალე და აჰა, მაინც შენთან მხედავ.

ონისე ლაპარაკობდა წყნარად, გარკვევით და სრულის ცნობიერებით. აშკარად ეტყობოდა, რომ ეს სიტყვები ამოდიოდა გულის საძირკვლიდგან, საიდაც აღგზნებულის, ალაპლაპებულის სიყვარულის ცეცხლით ხალასდებოდა და იწმინდებოდა.

ქალი შეეპყრო მათს ძალას და კაცის ყოველ სიტყვას, ყოველ ხმის მოტრიალების გავლენას აშკარადა ჰგრძნობდა. ქალი სდნებოდა და ზედ ეკლისებოდა, უხმოდ ეთანხმებოდა და უსიტყვოდ ემორჩილებოდა.

ონისემ მოხვია ხელები, მიიზიდა მკერდთან, მაგრად და

ძლიერად მოუჭირა მკლავები, ჩახედა თვალებში და წყნარად, თითქმის ჩურჩულით უთხრა:

— ქალაუ!... ჩემო შვილაუ!... მითხარი!... უკანასკნელად ვარ შენთანა და მითხარ, მითხარი: საით წავიდე, რაი ვქნა? იქნები ჩემი, თუ არა?!.. აქ კაცს სიტყვა გაუწყდა, ხმა დაუკანკალდა და ჩუმად წარმოსთქვა: «არა?» ქალი უფრო მიხვდა, სანამ გაიგონა ეს სიტყვები.

ამ ხანში მაყვალა განუმებულიყო, განაბულიყო, როგორც კურდღელი, რომელიც არწივის კლანჭების მიახლოვებას ჰგრძნობს და სულთქმაც კი შესწყვეტოდა.

— მითხარ, ქალაუ! მითხარ! კიდევ ძალზედ მიიზიდა კაცმა.

მაყვალამ იგრძნო რაღაც სითბოება, სისუსტესთან არეული, თითქოს ტანში მოიშალა, გონება დაებნა და უხილავის ძალის გავლენის ქვეშ მყოფმა დაიკვნესა, წელსავით გადმოიგრიხა და ორივე ხელი ყელზედ მაგრად გველსავით შემოაჭდო. უპასუხოდ აღგზნებული, ხანგრძლივი კოცნა კაცისა გაისმა...

— მაყვალაუ! თავბრუს დასხვევით წამოიძახა ონისემ, ბუმბულსავით ხელში აიტაცა, — ძალზედ მიიკრა გულთან და დაოსებულს გიჟსავით კოცნა დაუწყო..

კერაში აბჟუტებული ცეცხლი ჩაქრა; წისქვილში სინათლე წყნარ-წყნარად სუსტდებოდა, ღამის უფსკრულს დაეძალა მისი შუქი და შთანთქმას ექადოდა. ნალვერდალს ფერფლი ეფარებოდა და მიდამო იდუმალებით ივსებოდა; ყველაფერი განუმებულიყო, გაყუჩებულიყო და სრული სიჩუმე ჩამოვარდნილიყო.

ამ საერთო იდუმალების დროს ათასში ერთხელ გაისმოდა შეყვარებულთა კოცნის ხმა, რომელნიც ერთმანეთს ზევით

ღმერთს აძლევდნენ თავდებათ და ქვეშ დედა-მიწას, რომ საუკუნოდ შეერთდებოდნენ, რომ ერთმანეთით ისულდგმულებდნენ.

## X

პირველი დღეები მათის ტრფიალებისა წარმოუდგენელის სიამოვნებით მიდიოდა; ერთმანეთისთვის გაჩენილნი, დიდის ლოდინის შემდეგ ერთად შეყრილიყვნენ და ეს მდგომარეობა მეტად თავ-დასავიწყებელი იყო, რომ მათ სხვა რისთვისმე მოეცალათ.

ისინი შეიყრებოდნენ ხოლმე ყოველ-ღამ გლეხების ვახშმობის დროს და აღგზნებული სიყვარული წუთს არ აძლევდა თავისუფლებას, რომ თავიანთ მდგომარეობას დაჰკვირვებოდნენ, მომავლისთვის მოაზრებას შესდგომოდნენ.

ასეთია კაცის სიცოცხლის გაზაფხული! მისი სტუმრობა ისე მცირეა, ისე იშვიათი, რომ, როდესაც ეწვევა ვისმე, ყველას და ყველაფერს გადაავიწყებს.

დრო მიდიოდა და გულას მოსვლაც ახლოვდებოდა, მაგრამ შეყვარებულნი ამ მხრივ ისე დამშვიდებულნი იყვნენ, თითქოს რომელიმე უბედურება არამც თუ მოსალოდნელია, არამედ შეუძლებელიც.

ერთს საღამოზედ ონისე, ჩვეულებისამებრ, დანიშნულს დროზედ მოვიდა და კარებშივე, მისალმე.ასთან ერთად ქალი გულში ჩაიკრა.

— რაისთვი დაიგვიანე? წყნარად და ალერსიანად ჰკითხა ქალმა.

— არ დამიგვიანებია! აკოცა კაცმა და ხელი გაუშვირა ერთს გარსცვლაკზედ.— აგერ, გახედე...

მაყვალამ შეხედა, გაიცინა და თვალები აუჟუჟუნდა. ვარსკვლავს ჯერ დანიშნულს ადგილამდის არ მიეღწია და, მაშასადამე, ონისე გვლავინდელზედ უფრო ადრეც კი მოსულიყო.

— რაი ვიცი, მეგლუცად შააღერსა ქალი.— მე კი ისე მეგონა, რომ გათენება მოვიდა მეთქი.

— ჰაი-ჰაი! ჩაიცინა კაცმა და უალერსა.— მალუმ ეშმაკაი კი ხარ, ღვთის მადლმა!

— რაისთვი, რაისთვი! თავს გულობდა მაყვალა და ცდილობდა ონისეს სიახლოვით დამტკბარიყო.

ორნივ შევიდნენ სახლში და გრძელს სკამზედ ჩამოსხდნენ. ქალი მიეყრდნო მკერდზედ და თავი მეგლუცად მხარზედ მიანდო. ონისე ჩაფიქრდა და სახეზედ რაღაცის მოაზრება დაეტყო, ქალმა შეხედა და ეს მდგომარეობა კაცისა გაუკვირდა; რამდენსამე დღის ბედნიერებამ გადაახვია იმ აზრს, რომ ადამიანს მოწყენაც შეუძლიან. მაყვალას ბევრი მწუხარება გამოევლო, ბევრი ვარამი ეწვნია, მაგრამ საყვარელ კაცთან დაახლოება წამლად შერგებოდა, დაკოდვილს გულს მკურნალს მალამოთ დასდებოდა და გამხიარულებულს გადავიწყებოდა მწარე დუმილისაგან აღძრული უსიამოვნოება.

— ონისეს უყვარს, და მეტც უყვარსო... ჰფიქრობდა ქალი. —ცხო რაიღა უნდა, რაიღა აღონებს?

— ბიჭაუ! ვეღარ გასძლო ქალმა და ხმა-მაღლა წამოიძახა.

— რაი გინდა?

— ნუ დაღონდი, ღვთის მადლმა, თორემ ტირილს დავი-წყებ.

ონისემ სიყვარულიანად შეხედა და სახეზედ მადლობის ბეჭედი დაეტყო.

— შენთან რაი დამაღონებს, მაყვალაისი?! ბნელს გულში მზის შუქად ჩამესახე და რაიღა დამაღონებს.

— მაშ რაისთვი გაჩუმდი? რაისთვი არას ლაპარაკობ?...

— ისე დავფიქრდი რასმე.

— არ მინდა ფიქრი, არ მინდა ჯავრი! ყინიანად წამოიძახა ქალმა და დაუმატა:—მელაპარაკე, მელაპარაკე გაუწყვეტლივ, შენთან ლაპარაკი მწადის!

— ჩემო ყვავილავ!.. რაი გიყო, რითი გიალერსო ისე, რომ შენის სიყვარულით გავძღე!

— აბა რაი ვიცი. უპასუხა გაღიმებულმა ქალმა.

— შენ საით-ღა გადაგიხადო, რა მოვახერხო, რომ თავის დღეში არ გაწყენინო, არ დაგაღონო?

— თავად ნუ დაღონდები, და მეც სულ მხიარულად ვიქნები.

ონისემ ამოიოხრა და ისევ ჩაჰკიდა თავი. ქალმა შეხედა და შეუბუზღუნა.

— რაია, რა? ჩე!

— მაცალე მაყვალაისი, საფიქრებელი მაქვს რამე.

— რაიღა გაფიქრებს.

ონისემ შეხედა ყმაწვილს ქალს, რომელსაც ჭვვუნის გა-რამი გამოევლო, მაგრამ ისევ ისე გამოუცდელი დარჩენი-ლიყო.

— ისა, მაყვალაისი, რომ დღეს ამბოვი მომივიდა.

— რაი ამბოვი? საჩქაროდ ჰკითხა ქალმა და სახე შეეცვალა.

— ბელაი მოდისო.

— გელაი? შეჰკრთა ქალი და ფერი წაუვიდა: — ვინ გაითხრა?

— ჩვენი მწყემსები მოვიდნენ და იმათ სთქვეს; ამ დღეებში გაჩნდებაო.

ქალი გაჩუმდა, ჩაგონთდა და შუბლი მოჭმუხნა. ეჩვენობოდა, რომ ამ ხმამ ლახვრად გაურბინა გულში. გაცსაც თავი ჩაჰკიდა და ღრმა საგონებელში წასულიყო.

— ქალაუ? ბოლოს აილო თავი ონისემ და მიუბრუნდა მაყვალას: — სიყვარულმა ყველა გადაგვავიწყა... მომზადე, უნდა წავიდეთ.

— რაი მომზადება მინდა.

— რაი ვიცი? ან შესაფერი გექნებოდეს რამე, ან გამოსაჭრელი. ბევრს კი ნურას გამოუდგები, თორემ გვიან მოასწრობ.

— მე არც რაი არ მინდა...

— მაშ როდის წავიდეთ?

— თუნდა დღესვე.

— ახლა არ იკითხავ, სად მივალთ?

— რაღა კითხვა მინდა?

— იქნება გულმა ცხოვან დაგთხოვოს?

— შენთან ყველგან სამოთხეა.

— მაყვალაისი! აგეთი კარგი რამა გმობა? მოეხვია კაცს და დაუმატა: — ზეგისთვის მეც მზად ვიქნები და გახსენოთ ღმერთი!...

— თუნდა დღესვე, მეთქი.

ამ ლაპარაკის შემდეგ ისინი კიდევ რამდენსამე ხანს დარჩნენ ერთად და ალერსში გართულნი საქმეს აღარ შეხებიან. გარიჟრაჟმა მოაღწია, როდესაც ონისე მაყვალას გამოეთხოვა, კარი გამოიარა და მთაში მოსამზადებლად წავიდა.

იქ უნდა ცხვარი გაეყიდა, ფული მოეგროვებინა და ისე

გადასახლებულიყო, რომ პირველში, სანამ მოეწყობოდა, ოჯახს გაიჩენდა, მაყვალასათვის გაჭირვება არ ეჩვენებინა.

სანამ ეს კაცი მთაში ავიდოდა და ცხვარს დაინახავდა, სანამ გული ლაღადა ჰქონდა და სრულიად დამშვიდებული აზროვნებდა; მაგრამ, რაკი ცხვარი დაინახა, რა წამს შეხედა ფერდობებს სადაც ფარა ისე მშვენივრად შეფენილიყო, გულმა აღშფოთება აგრძნობინა და მოუსვენებლობაში ჩააგდო.

მთიელი მხოლოდ ამ წუთებში მიხვდა, რა მწვავე მოქმედება ჰქონდა იმ ადგილების განშორებას, სადაც ბავშობიდგანვე აღზრდილიყო, იმდენი მწუხარება და სიტკბოება ენახა. ის დაბადებიდგანვე შესჩვეოდა იქაურს ბუნებას, შესთვისებოდა ყოველ მთას, ყოველ ღელეს, ყოველ კუნწულს, მათ შორის მიეცემოდა გულის მღელვარებას და თვით მოაზრებას, ჭკუის მუშაობაც კი უამათოდ არ ესმოდა და ეხლა მათთან გამოსალმებას, იქნება, საუკუნოდაც ემზადებოდა. ამ ადგილების წყალს, ონისეს სმენისთვის სრულიად სხვა გვარი, მშობლიური და დამშვამბელი გავლენა ჰქონდა; უზარმაზარს, სხვისთვის მხოლოდ ჩამოფხვეილს, უნაყოფო კლდეებს, ონისესთვის გამოცოცხლებული, სულის ჩამდგმელი ძალა ჰქონდა და თვით ცხვრის უბრალო დაბღავლებაც კი შეჩვეულს ყურს დამამშვიდებელს ნაზად მოესმოდა.

ყველაფერს, სრულიად ყველაფერს,—დაწყებული მდიდურის ლაჟვარდოვანის ციდგან, ამაყის და დიდებულის მთებიდგან, უკანასკნელს მცირედს ნატამალამდის, სიტყვით, ყოველისფერი, რაც კი ამ მთაში მოიპოვებოდა, ონისესთვის დაუფასებელი იყო, მის არსებაში ადგილი ეჭირა და მათთან განშორება ეთანხმებოდა ნახევარის სიცოცხლის განწირვას,—მაგრამ, საქმეში მაყვალა იყო ჩარეული და ეს საკმარისი იყო!..

იმის დასაკუთრებისთვის, შერჩენისთვის მთელი სიცოცხლეც რომ დასწირვებოდა, წუთის არ შესდგებოდა, დაუფიქრებლად მისცემდა.

ონისეს აგონდებოდა, რომ ცხვარი უნდა გაყიდოს და საუკუნოდ განშორდეს იმ მშვენიერებით სავსე პირუტყვებს, რომელზედაც იმდენი ამაგი ჰქონდა, რომლების ყარაულობაშიც იმდენი ზნელი და ჯოჯოხეთი დღეები გაეტეხა, ათას ფათერაკს წაჰკიდებოდა და გული მიუშვირა მოუსვენარის, დაუცხრომელის, მტრად გადაკიდებულ კაცთა, თუ მხეცთათვის.

ჰგრძნობდა მათ მოშორებასთან ერთად გულის მრავალს ტკბილად დამყვავებელ გრძნობათა მოშორებასაც, მაგრამ საქმეს მოეტანა, შემთხვევა ითხოვდა და უნდა განშორებოდა...

ონისემ დაუძახა მწყემსებს, გამოუცხადა, რომ ცხვარსა ჰყიდის, რადგანაც ფული ეჭირვება და სთხოვა, რომ მუშტარი მოეკითხათ. ეს ამბავი ყველას გაუოცდა, ყველას ეწყინა და პირში სიტყვა გაუწყვიტა. მათ კარგად იცოდნენ, რომ თუ ონისეს განსაკუთრებით რამ არ შემთხვეოდა, ცხვარს არ გაჰყიდდა და, თუმცა გულით უნდოდათ ამ გვარი განზრახვის მიზეზის გაგება, მაგრამ კაცის სულის სამარეველში ჩახედვა, გაძეძა ვერ ეკისრათ.

ყველამ, ვისაც კი ეს ხმა მისწვდა, გულითადი მწუხარება და თანაგრძნობა გამოუცხადა ონისეს და ყველას სიტყვებში ეტყობოდა, რომ ამ გვარი გადაწყვეტილება ერთის უპირველეს უბედურებად მიაჩნდა.

თუ ონისეს მეცხვარეები ასე მოიქცნენ და ონისეს მოქმედების წინააღმდეგობა ვერ გაბედეს, დანარჩენმა ხალხმა საქმეს სხვა რიგად შეხედა.

იმ დროში ხალხისთვის ერობას ჯერ კიდევ დიდი მნიშ-

ვნელობა ჰქონდა. თემობას, თავის საზოგადოება ერთს ოჯა-ხად მიაჩნდა და ყოველი თვითოეულის წევრის უბედურება სა-ერთო ზარალად, საერთო დასაკლისად მიიღებოდა. მაშინ თე-მობა თავის მოვალედ ხადიდა დაეცვა სარგებლობა თვითოეუ-ლის წევრისა, ეზრუნა მისთვის და ყოველ შემთხვევაში გამო-სარჩლებოდა. თემი თვითოეულს წევრს ისე უყურებდა, რო-გორც შემადგენელს ნაწილს მთელის ერობისას და მის ტკივილში საერთო ტკივილი გამოითქმოდა. ამითვე უხდიდა თვითოეული წევრიც, რადგანაც თემს განშორებული, განცალ-კევებული ცხოვრება თითქმის შეუძლებელი ხდებოდა და მის მფარველობის ქვეშ მყოფი კი დასაგრული არავისგან დარჩე-ბოდა. ყველა წევრმა იცოდა, რომ მის მოსარჩლედ მთე-ლი თემობა იყო, მისი შეურაცხ-ყოფა — მთელის თემობისა, და ამისთვის გული ამაყდებოდა, ძალა თავს ვეღარ ახრევი-ნებდა.

როდესაც თემმა შეიტყო ონისეს განზრახვა, მან მოი-სურვა თავის წევრის ანგარიშის მოთხოვა და გამოჩენა იმ უფლებისა, რომელიც პირად მის შინაურს საქმეებშიაც კი ერე-ოდა.

უფროსები შეიყარნენ არა მარტო იმ აზრის ხელ-მძღვა-ნელობით, რომ მათ ჯალაბობას ერთი შეძლებული ოჯახი აკლდებოდა, არამედ იმ მოაზრებითაც, რომ ერთის მოქმედება სხვებისთვის სამაგალითოდ არ გამხდარიყო და ერთხელ შერ-ყეული საერთო ოჯახობის მშვიდობიანობა მრავალთა მოშო-რებით სრულიად არ შესუსტებულიყო. ამ გვარად მთელის განზრახვას ორის მხრით ესებოდა თემობა და, თუმცა თვი-თეულის საკუთრების შეხების უფლებას არ აცხადებდა, მაგრამ თავს მოვალედ ხადიდა ყოველი საშუალება ეხმარა თავის წევ-

რისთვის გუნება შეეცვალა და მიღებულის განზრახვის უსაფუძვლობა დაენახვებინა.

ონისე მწყემსებთან ლაპარაკობდა, როდესაც მასთან ბეჟუია მოვიდა და შეატყობინა, რომ ვაჟა მთას თემის უფროსობა შეურილა და გიბარებსო.

— იარე. მაშინვე უპასუხა ონისემ და გაბრუნდა; მაგრამ ისევ შესდგა და მწყემსებს მიუბრუნდა.—ღვთის მადლსა, მუშტარი მოიკითხეთ, ლოდინის დღე აღარა მაქვს.

ამ სიტყვების შემდეგ გამობრუნდა და სიარულში ბეჟიას დაელაპარაკა.

— თემი რაისთვი შეურილა?

— რაი ვიცი?... ამბობენ, შენს საქმეზედ შეიყარაო.

— რა საქმეზედ?

— ცხორსა ჭყიდისო.

— მერე, იმათ რა?

— აბა რაი ვიცი?... არ გავასყიდინებთო.

— აბაი! გაიკვირვა ონისემ.—ჩემს ცხორს საით არ გამასყიდვინებენ!?

— მართლა ჭყიდი? ჰკითხა ბეჟიამ.

— მართლა.

— აუ! სხვა ველარა მოახერხა-რა მეცხვარემ და გაჩუმდა.

— რაია?

— ისა, რომ ცხორს საით-ღა გაჭყიდი?

— რაისთვი არა?

— არ ვიცი, ღვთის მადლმა! მაგრამ, აი მე... ბატკანი რაია, ბატკანი?... გასასყიდათ იმასაც ველარ გამოვიმეტებ...

— რატომ?

— რატომ და იმიტომ, რომ ნაამაგდარევია... კაცს თუნდა

შვილი გაუსყიდია, თუნდა ცხვარი... რაი ბედენაა, ორივე გაგიზრდია, ორივეზედ ამაგი გაქვს.

— მაშ სტუმარს ცხოვარს რომ დაუკლავ ხოლმე, რატომ შვილს კი არ დაუკლავ? მწარედ ჩაიღიმა ონისემ.

— შვილი საით დაიკვლების?... შვილი ადამიანია.

— მაშ თითქო ერთიაო?...

— ერთი არაა, მაგრამ, სიტყვაა და კაცი იტყვის... ბრძენის კილოთი წარმოსთქვა ბეჟიამ—ღმერთისაგან ეგრეა დადგენილი, შენაი ჭირიმე, რომ ცხოვარი დაიკვლების და სტუმარი კი ღვთისაა, თორემ რაზედაც ამაგი გაქვს, უფლის მადლმა, შვილში არ გამოირჩევა.

ამ ლაპარაკით მიაღწიეს გაგმ მთას, სადაც საკმაო ხალხი მოგროვილიყო, რაკლად შემომსხდარიყო მწვანე მინდორზედ და გასუფრებული სჯას ჭამდათ.

ონისე მისვლის უმალ მიესალმა, მშვიდობა შეუძრახა და ფეხზედ წამოდგომილებს უთხრა:

— დასხედით, დასხედით, თქვენაი ჭირიმე! მე რაი ღირსი ვარ, რომ ფეხზედ ამიდგეთ.

— რაისთვი არა? კაი ოჯახის შვილი ხარ და კაი გორისა! უპასუხა ერთმა უფროსთაგანმა და ხალხი დალაგდა.

ჩამოვარდა სრული სიჩუმე და რამდენსამე ხანს გასტანა. ათასში ერთხელ მეზობელი თუ მიუბრუნდებოდა მეზობლის თავსა და ჩუმად რასმე წასჩურჩულებდა, თორემ ხმა-მაღლა ლაპარაკებით, ან უხეიროს თავ-აწყვეტილის სიცილით მყუდროება არვის შეურყევია.

ყველანი ისხდნენ ჩაფიქრებულნი, თავ-ჩაკიდებულნი და იმ მწუხარე გამომეტყველებით სახეზედ, რომელიც მგლოვიარე, მოსამძიმრე გულს დაეტყობა ხოლმე.

— აბა, ფარეშავ, დაიწყე! დღე მიდის, გვიანდება და ლოდინისა აღარაა. მიიქცა რამდენიმე მოხევე, ყველაზედ უფროსს, თმა-გათეთრებულს მოხუცებულს.

ფარეშმა ჩაახველა, გადაისვა ულვაშებზედ ხელი და დაიძახა:

— სმენა იყოს და გაგონება!.. ონისევ, აქ მოდი.

მოხევე გამოვიდა უნცროსებიდგან, რომელნიც გრებისაგან შორიახლოს იდგნენ, მოწიწებით მივიდა თემობასთან, შევიდა მათ შუა და გაჩუმებული, მოკრძალებით დადგა.

წვერან, როდესაც ონისე მოვიდა, ყველას ისე შეხვდა, როგორც სწორი; არავინ უპირატესობას არ იჩენდა; თუ ონისე ვისმე განსაკუთრებით პატივს აძლევდა, ეს იყო მხოლოდ ჩვეულებრივი ზრდილობა ხნიერებით უფროსისადმი და სხვა არაფერი. ეხლა კი სრულიად სხვა იყო: შეყრილს თემობას ძლევა-მოსილი დიდებულება დასტყობოდა, ამაყად და უფლების მქონებლად გამოიხედებოდა მათი ყრილობა. ონისეც ჰგრძნობდა ამ ძალას, ემორჩილებოდა მის დიდებას და სრულიად დარწმუნებული იყო, რომ ის წევრია ამ საერთო ოჯახობისა, არის მასთან შეერთებული და მისგან დამოკიდებული; ჰგრძნობდა, რომ ამ ხალხს გავლენა, უფლება აქვსთ მის პირადობაზედ და ემორჩილებოდა საუკუნოებითვე ხალხის სისხლსა და ძვალში გამჯდარს ადათსა და წყობილებასა.

— ონისევ! დაიწყო ფარეშმა,—ხალხში ხმა არის, რომ ჯორსა ჰყიდი,—მართალია?

— მართალია. წყნარად წარმოსთქვა ონისემ.

— მაშ ოჯახსაც მოშლი?

— მო, თქვენსა ჭირიმე!

ამ სიტყვების შემდეგ ისევ სიჩუმე ჩამოვარდა და ხმა-

მაღლივი ლაპარაკი შესწყდა. მხოლოდ ისმოდა ხალხში წყნარი ჩურჩული, რომელიც გრგვინვასავით დაჰქროდა და გამოურკვეველს შრიალად გამოისმოდა.

— ონისეუ!.. თემობა კარგად გიცნობს. ბოლოს დაიწყო ისევ ფარეშამ და გააგრძელა:—გიცნობს და გაფასებს კიდეც... ღვთის მადლმა, კაი ბიჭი ხარ, მაგრამ გონჯიც რომ ყოფილიყავ, მაინც გულში ვქნებოდი, გულიდგან ვერ ამოგიღებდა... ჩვენი სისხლი ხარ და ჩვენი ხორცი... თავადაც გესმოდა ესა და მეზობელი გაჭირვებაში არ დაგვაგდია, რომ არ გეშველა!.. სტუმარი არ გაგიშვია, რომ მასპინძლობა არ გაგეწია!.. თემს არ გასჭირვებია ისე, რომ მდუღრად პირველი შენ არ გვეხსნა, არ გაგიტეხია ხალხის პირი და დაუზარებელს მუშას მუდამ ვაჟ-კაცად გიცხოვრია...

მოხუცს ლაპარაკში ხმა აუკანკალებდა, თუმცა აშკარად ეტყობოდა, რომ მისი საუბარი იყო წმინდა, ცბიერება გაურეველი და გულით ნაგრძნობი. აშკარადა სჩანდა, რომ ონისე მართლადაც თავის მოსაწონი იყო თემობისთვის, და ეხლა ღირსეულს საქვეყნოდ აჯილდოვებდნენ თემობის წარმომადგენელნი.

მოხევემ იგრძნო უძლიერესი საჩუქარი, ჰგრძნობდა, რომ თავისი ხალხი, თავისი სისხლი და ხორცი აფასებდა მას და ერთგულს სამსახურს არ უქარწყლებდა.

მოსაუბრეს ლაპარაკის შეწყვეტა დასჭირდა; ონისემ ისარგებლა მის გაჩუმებით და მეტისმეტად ბედნიერების გრძნობით ატირებულმა გულმა ქუდი მოახდევინა და წამოაძახა:

— ხალხო!.., თქვენამც შემოგევლებისთ ონისეს თავი! ოსე მოკვდეს და თქვენ იცოცხლეთ!... ღვთის მადლმა! მაგ ტყვების ღირსი არაა ონისე!... რაი მიქნია, რა მიმსახურია შველა თავადა ყოფილხართ ჩემი შემწე, ჩემი მომშველებელი.

ღმერთის ღუკმა-პური მოუცია და ეგ სულ თქვენი წყალობაა!.. თქვენი, აგრეთვე შემწევის ყოფილი!...

— მოიცა-და! გააწყვეტინა ივანემ.— კაი, კაი, რომ თემობა ბევს შაეწიოს! კაი, კაი, რო, კაცი თემობას დაშორებული ვერ იცხოვრებს!... რასა იქ მარტო კაცი? მარტო კაცი ბეჩავია!.. ბიჭაუ! თემობა შვილს გიყურებს... და თემობამ იცის, რომ გაჭირვება მოგდგომია და თავისიანს უნდა გიშველოს... თუ გაჭირვება არ გქონდეს, ოჯახს არ მოშლიდი... რაი მოგივიდა, უთხარ შენს ძმებს.

ონისე გაფითრდა და ძერი ზაფრანად გადაექცა. თემობა, ის თემობა, რომელსაც სულით და გულით ემორჩილებოდა, ითხოვდა, რომ გული გაეხსნა და წადილს ვერ უსრულებდა. უნდა მოეტყუებინა?... რა უნდა ექნა? ხალხი პასუხს ელოდა.

— ხალხო, თქვენი ჭირიმე! ბოლოს დაიწყო ონისემ.— თავი მომიტანია სახვეწრად... რასაცა მკითხავთ, იმას ვერ გეტყვით და, სანამ მოგატყუებდეთ, თქვენგან ნაქოლვას ვირჩევ!..

ჩამოვარდა ისევ წყნარი ჩურჩული და ერთმანეთის დაკითხვა.

— კარგი... დაიწყო ისევ მოთავემ.— კაცს გული დახურული იმადა აქვს, რომ შიგ ყველამ ვერ ჩაიხედოს... თემობა ითხოვს, რომ ოჯახობა არ მოშალო, სახლი არ გაანადგურო, ხალხს ცუდი მაგალითი არ უჩვენო და მით სხვებსაც გონჯი საქმე არ ასწავლო... რას იტყვი ამაზედ?

— მაგაზედ? იკითხა გახარებულმა ონისემ.— აი რასა... სადაც უნდა ვიქნა, ღვთის მადლმა, რომ ჩვენის თემობის უკუმოჭრილი ყმა ვიქნები... მაგათი ღალატი, თუ გულში გავა-

ტარა, ფეხ-ქვეშ მიწამდე ჩამონგრევია, მეზობელთ ცრემლამდე ნუ მღერისებია... მაგრამ რაა ვქნა? აქ ცხოვრება არ შემიძლიან...

— დარჩი, დარჩი! გაისმა რამდენიმე ხმა.

— რაღა ვქნა, როგორ ვქნა?.. თუ გინდათ, თუ გამოგზავნე-ბით რამე, მითხარით და აქვე თავს მოვიკლავ!... ღვთის მადლმა, ვხლავ!...

— რისთვის, რისთვის! შეიქნა ხალხში ჩოჩქოლი.

— ჩუმად! გააყუჩა ფარუშამ და ონისეს მიუბრუნდა:— სთქვი რას უბნობ.

— თემობა ძმას მეძახის, უნდა სამსახური გამიწიოს... თანახმა ვარ... მართალს ამბობთ, ძმა ვარ თქვენი და თქვენი სამსახურიც უნდა მივიღო!

— სთქვი, რაი გინდა?

— სთქვი, სთქვი.

— ათას სულარია, იმდენია ცხვარი მყავს... ოცანი ძროხანი მეყოლება... შვიდაი ცხენია... შუაზედ გავყოთ... ნახევარს გავყიდი... მეც ცხოვრება მინდა... ნახევარიც თემობისთვის მიმიცია... გაეყოს იმათ, ვინც ბეჩავად არის.

— არ იქნება, არა, ღთის მადლმა! აღელდა ხალხი და კარგა ხანს ხმაურობდა.

ბოლოს მშვიდობიანობა ისევ ჩამოვარდა, და ერთმა თემის ურილობის წევრთაგანმა დაიწყო:

— ონისევ! სულ გიჟი ხარ და სულ კეთილი... ღვთის მადლმა, სახლს რომ უწიროდეს, — საქონელს გა-არა, სულსაც არ შეიშურებ... ცხორიც შენია, ძროხაცა, ჩემო ყველავ!... ცხენიცა... ყველა შენის ოფლით არის მონაგარი, ყველა შე-ნის შრომით ნაშოვნი... უფალმა მოგასხმაროს ისე, როგორც გინდოდეს, შეგარგოს, როგორც ღედის მუძუ!... განა შენი

საქონელი გვინდა?... არა ღვთის მადლმა!... ძმა ხარ და შენი თავი გვენანების, თორემ საქონელი რაა?... აი, თუმანი. გაუშვირა ხელი მოხუცმა.—თუმანს კი ხუთი თითი... რომელიც გინდა მომჭრა, ტკივილი გულს მოხვდების, გულს შეალონებს... ონისე... ონისესი!... ნუ წახვალ, ნუ მოგვშორდები!... გთხოვთ, ძალას კი არ გატანთ.

კარგა ხანს გრძელდებოდა ეს ლაპარაკი, რომელიც გულის უთუთქმელად მოსწყვეს, მაგრამ ღვთის ფიცი მიცემული მოყვასადმი და მის წინაშე მოვალეობა, რომელიც თავის თავზედ მიიღო, მეტად მძიმე ტვირთი იყო, რომ ამ კაცის გადაწყვეტილების შერყევა ვისმე შესძლებოდა.

ხალხმა გადასწყვიტა, რომ ონისეს გზა მისცენ და ნამოუსხნენ, რადგანაც უმაჭველი იყო, რომ ამ მოუღრეკელობისთვის მეტად მძიმე მიზეზები უნდა ჰქონოდა.

— ონისე! უკანასკნელ სიტყვად დაიწყო ფარეშმა:—არ იშლი, მისდიხარ და ჩვენი გული გვინესით გესაქმების!... უფალმა მშვიდობით გამყოფოს, ნუ დაგავიწყოს შენი მიწა-წყალი, შენი მოძმენი... ნუ დაგავიწყოს შენი სალოცავები, შენი დედ-მამის ძვლები... გახსოვდეს, რომ იმათი სული და შენ მოძმეთ გული სიხარულით შეინძრევა, თუ კიდევ დაბრუნდი, თუ შენი სიახლოვე იგრძნო... ნუ დაივიწყებ ძუძუს, რომელმაც გაგზარდა, ნუ დაივიწყებ გულს, რომელიც შენმა მოშორებამ ააღელვა!.. გახედე მთებსა! გაუშვირა მოხუცმა ხელი და თვალებში ცრემლები გაუბრწყინდა.—აქ უცხოვრიათ შენს მამა-პაპათ, აქ მოუკლიათ სევდა, აქ აღძგერებიათ გული... აქ უცოცხლიათ და აქ დასხოცილან... შეხედე და ნუ დაივიწყებ!.. შენია, შენი. მოხუცი გადაეხვია და და მდუღარე ნაკადული თვალთაგან გადმოსცვივდა.

# XI

როდესაც ოსიკო ყველას გამოესალმა, ყველა დააკოცნა, გამწარებულის გულით იგრძნო, თემობისთვის რა ძნელი იყო ერთის დაკარგვა, და იმ ერთისგან შეჩვეულის ცხოვრების გამოცვლა.

ოსიკო ვერც იმას დაეყაბულდეს, რომ დარჩენილიყო და ვერც იმას, რომ ნახევარი საქონელი მამა-პაპის სულის მოსახსენებლად თემის ბეჩავთათვის არ დაეგდო.

ხალხი დაიშალა, და ოსიკომ თავის ცხვრისკენ გასწია. იქ ელოდნენ მუშტრები, რომელნიც მოხევის ნათესაობასთან ყოფილიყვნენ შესატყობლად და ნების მისაღებად, რომ იმათი ნათესავის ცხვარი ეყიდათ. [1])

ცხვრის პატრონმა საქონელი შუაზედ გაჰყო, შემდეგ ნახევარი თემისთვის ჩააბარა რამდენსამე ამორჩეულს კაცს და ნახევარში კი მუშტრებს ფული გამოართვა.

ორად გაყოფილი ფარა ჯერ კიდევ იქ იდგა, როდესაც ოსიკო დაღონებული შეჰყურებდა. მის გულს მწარედ გაჰქონდა დაგადუგი, სევდით იბურებოდა და ემღვრეოდა. კაცი ცხვარში უნდა ყოფილიყო აღზრდილი, რომ მისი გულის მოძრაობა გაეგო, მისი გრძნობა შეეგნო. ცხვარი დაიძრა და ოსიკო ჩომბახს დაყუდებული, ხმა-გაკმენდილი თვალს ადევნებდა. ცხვრების გამოსვლისთანავე მას აგონდება წარსულის ცხოვრებიდ-

1) მთაში ჯერ ეხლაც უცხო პირი რომ უცხოსაგან ყიდულობდეს რასმე, სანამ გამყიდავის ნათესაობა ნებას არ დართავს, ხელსაც ვერ მოჰკიდებს.

გან სხვა და სხვა შემთხვევანი. აგერ გამოიარა პირ ჭრილა შამაქმა[1]) და მას მოაგონდა მისი დაობლება ბატონობაში, მოაგონდა, როგორა ზრდიდა ხელზედ და როგორ ანებივრებდა; აგერ კიდევ ის ჭედილა, რომელსაც მშვიდობიანობის დამცველნი წართმევას უპირებდნენ და უსამართლობას კინაღამ თავი შეაკლა. აგერ ის კაცი, რომელიც ეძაუგშია გასასყიდის ცხვარის ქერად[2]) გააყოლა და ვიღაცა დიპიანხმა შარი მოსდო, რომ ისიც კითომ გასყიდული იყო. მოაგონდა ონისეს ამ ქერისთვის თავის გამოდება, საჩივარი და ხარჯი... მოაგონდა უსამართლობით დაჩაგრულის ადამიანის კარში. მოაგონდა, რომ თავის საკუთრების შესარჩენად თხუთმეტ ჭედილამდის გაიღო. აგერ იმ ბოქა ყოჩმაც გამოიარა, რომელიც ონისეს საჭიდაოდ დაჰყავდა და დამარცხებით პატრონი არც ერთხელ არ შეურცხვენია. მოაგონდა მისი ხალისი ბრძოლის ველზედ, მისი კამარა და გვირგვინის მსგავსი ჯახუნი, რომელსაც მთიული აღტაცებაში მოჰყავდა! ყველას, ყველას მათგანს ონისეს წარსულში რომელიმე დამოკიდებულება ჰქონდა. ყველასთან მისი ცხოვრება რომელიმე შემთხვევით გადაბმული იყო. ყოჩმა იცნო პატრონი, იცნო ის კაცი, რომელთანაც იმდენჯერ სახელით ევლო; პირუტყვი თითქოსა ჰგრძნობდა თავის სამსახურს, მან გამოსწია ონისესკენ თავ აღებული, გაამაყებული და მედიდურად მოაბიჯებდა; დიდსა და ხვეულს რქებს, რომელიც შუბლთან თითქოს ერთმანერთს შეერთებოდა, —წყნარად, ამაყად იქნევდა. როდესაც პატრონს მოუახლოვდა, აიღო

---

[1]) ახაკ მოსული, ჯერედ უშობელი დედალი ცხვარი.

[2]) ქერი—მამალი რამდენიმე წლის თხა, რომელიც წინ სიარულს დაჩვეულია და ცხვარს გზას უკვლევს. ავტ.

თავი მაღლა, გაიძაბა კისერი და ზემოთა ტუჩ გაწვდილი სიამოვნებით ჰაერს იზიდავდა. შემდეგ სრულიად მიუახლოვდა კაცსა და მუხლზედ რქების ხრეშა დაუწყო, თითქოს ბრძოლის ყინმა-მოუყარაო.

მოხუცმა დიდხანს უალერსა გაამაყებულს ყოჩსა, რომელსაც, თითქოს ესმოდა, რომ პატრონს საუკუნოდ ესალმებოდა და უკანასკნელის ალერსით უნდოდა დამტკბარიყო.

ცხვარი კარგა განშორდა იმათ, და ონისემ დაინახა, რომ ყოჩის მეტს ხანს დაჭერა არ იქნებოდა და გააგდო. პირუტყვმა გადადგა რამდენიმე ნაბიჯი, ამ გვარი მოპყრობა პატრონისა თითქო ეუცხოვა, იუკადრისა, შესდგა, მოიხედა, დაიცქვიტა ყურები და ისეთის სიყვარულიანის, სევდა მოცულის თვალებით შემოხედა მთიელს, რომ უკანასკნელმა ვეღარ გასძლო, ჩაიქნია ხელი და საჩქაროდ გამობრუნდა.

მალე მოაჯდა ონისე ცხენსა, მეორე დაიჭირა ხელში და ჩქარის სიარულით გლეხების ვახშმობის დროს გელდას სახლს მოუახლოვდა. აქ ჩამოხტა, ორივე ცხენის ალვირები ერთი მეორის ტახტაზედ ისე გადააცვა, რომ პირუტყვებს გაქცევა ვეღარ შეეძლოთ, და თითონ შენობისკენ გასწია. მისი აზროვნება შეუსწო მაყვალას სიახლოვემ, წასვლისთვის გაფრთხილებას, და მძიმედ დაწოლილი ლოდი თითქოს გულიდგან ჩამოეხსნა.

დღეიდგან მაყვალა მასთან მიდიოდა, მას ეკუთნებოდა, მისგან ვეღარავინ გაჰყრიდა, და ამ ძლივს მიღწეულმა მთელის სიცოცხლის წადილმა, მეტად სიტკბოებით შესთამაშა გულსა, რომ ვეღარაფერი არ გადავიწყებოდა.

ონისე მიდიოდა გულდაგულ, დარწმუნებით, თუმცა სმენად და ჭვრეტად გადაქცეული, რომ თუ ფათერაკი რამ წაეკიდებოდა, მოუმზადებლად არ შეხვედრიყო.

ის იყო მიახლოვდა გალავნის კარებს და ზღრუბლზედ ფეხის გადადგმას აპირებდა, როდესაც ხელი ვიღამაც გაავლო და წყნარად უთხრა:

— მოიცა, სად მიხვალ?

ხმა მოლაპარაკესი იყო აღელვებული, თუმცა წყნარი და ნაზი. ონისე შეკრთა და უკან მოაწყდა.

— მაყვალაუ! შენა? გაკვირვებით იკითხა იმან.

— სუ-უ! მე ვარ, უპასუხა ქალმა.

— რაი ანბ...

— სუ-უ! გაიმეორა ქალმა და ხმის გასაკმენდათ პირზედ ხელი დააფარა.

ონისე გაჩუმდა, რადგანაც ქალი ამას ითხოვდა და გაშტერებულმა ყურება დაუწყო.

— ამაღამ ვერ წავალთ. მოკლედ, ჩანგსავით წყნარის ხმით წასჩურჩულა მაყვალამ.

— რად არა? ერთბაშად ფერი ეცვალა კაცსა, და ცივმა ოფლმა დაასხა.

— არ იქნების.

— არ იქნების კი არა,—ეხლავე, ამ წუთას!... გვიანობისა აღარაა. მტკიცედ უთხრა მთიელმა და შუბლი შეიჭმუხნა.

— ამაღამ ნუ, ჩემო გულო, ამაღამ ნუ! თითქმის მუდარით გაიმეორა ქალმა, და ხმა შიშისაგან აუკანკალდა.

ონისეს წარბები შეეჭმუხნა და ქალს ისე დააკვირდა, თითქოს თვალი გულის სამარკვლამდის უნდოდა ჩაეწვდინა.

— ქალაუ!... რად არა? მტკიცედ და ბრძანების კილოთი ჰკითხა კაცმა.

მაყვალა ჩუმად იდგა და პასუხის მაგივრად, მთრთოლვარეს ხელებით ნაწნავის წვერებს სძენძავდა.

— ქალაუ! მოჰკიდა ონისემ ხელი და ძალზედ მოუჭირა.— არ გესმის? მითხარ, მეთქი, რად არის? ან აქ რაისთვის დამაყენე, წავიდეთ სახლში. გაბრუნდა ონისე.

— სად მიხვალ, სადა? ერთბაშად შეაყენა გულ-გახეთქილმა ქალმა.

— შინა, უპასუხა კაცმა.

— შინ რაი გინდა, რაი საქმე გაქვს?... მოიცადე აქა და ეხლავ გამოვალ, ეხლავ წავიდეთ!.. ნაწყვეტ-ნაწყვეტად ეუბნებოდა ქალი.

ონისემ მიუახლოვა პირისახეს თავი და მთვარის შუქით განათებულს ცქერა დაუწყო. ქალმა თავი დახარა და თვალები მოარიდა.

ონისეს სახე დაეპრანჭა, გული გემსავით გაქანდ-გამოქანდა, და ყელში მომდგარმა სისხლმა ძალზედ წაუჭირა.

— მაყვალაუ! ბრაზ-მორეულად წარმოსთქვა იმან და ხელი სახლისკენ გაიშვირა.—ვინაა?

— გამიშვი, ბეჩაო!... არც ვინა.

— არც ვინა? მწარედ იკითხა იმან.—არც ვინა, და სახლში კი არ მიშვებ?

— რაი გინდა, გამიშვი და ეხლავ წავიდეთ; ცხო რაი-ღა გინდა.

— ვინ არის მეთქი, იქა, ვინა?

— მე ხომ მოგდევ და ცხო რაი-ღა გინდა?

— ისა, რომ ამაღამ ან იმის სისხლი უნდა გაშრეს და ან ჩემი!... ფუი, მავნევ, მაცდურო დიაცო!

ამ სიტყვებით ქალი ხელის კვრით მოიშორა და გაბრაზებულმა სახლისკენ გასწია, მაგრამ მაშინვე უკან მოაწყდა, რადგან სახლის კარებიდგან გაიგონა:

— ბიჭაუ, გულადად კი მიხვალ, შენმა გაზრდამ და უკან როგორღა გაბრუნდები არ ვიცი.

მოლაპარაკეს მთვარის შუქი არა სწვდებოდა, და ბელადმ ვეღარ იცნო, ვინ იყო; მაგრამ თოფი, რომელიც უცნობმა გადმოიტრიალა, კარს გადმოსცდა და შუქზედ გაკრიალება დაანახა. ონისეც გადმოხტა უკან, ამოეფარა იქავ მდგარს ურემს და წუთზედ თოფი გაუმიზნა. იმ წუთს ის ხედავდა მხოლოდ მტერს, რომელმაც გულს საყვარელი მოსწყვიტა, სული დაუკოდა და მხოლოდ გადასხდევინების წადილს-ღა ჰგრძნობდა. მის თავში ამის მეტს ფიქრს არ გაურბენია, ამის გარედ დანარჩენს მოსაზრებას ადგილი აღარა ჰქონდა.

ორი მტერი, ორივ გამგელებული, ორივ ადგზნებულის წადილით გულში, იდგნენ ერთმანეთის პირდაპირ და ერთმანეთს ადგზნებულის თვალებით ზომავდნენ.

გონ-დაკარგული მაყვალა, იქავე ეგდო და ძლივს-ღა ფეთქამდა,

— დიაცო! გამოდი გარედ, დაუძახა ონისემ.— დავინახოთ ერთურთი და, ვისიც მზე გაშავდების, ნახავ.

— ბიჭავ, შენმა გაზრდამ, განვშორდეთ ერთმანეთსა, ის ემჯობინების.

— მშიშარაუ, მშიშარაუ!... აჰუ!... შერცხვეს ის კაცი, ვისაც იარაღი ხელში უჭირავს და შერიგებას უზნობს.

— მაშ შენმა სულმა ზღოს.

ამ დროს მთისმა ორი ჩახმახის ფეხზედ ერთად შემოქენება, და წუთის სიჩუმე ჩამოვარდა. ყველაფერი გაჩუმდა, და თითოს კიდეც ჩამობნელდა. მთისმა გრიალი, და ორის მოპირდაპირე მხრიდგან ორი ცეცხლი ენებსავით გამოგრძელდა, ორი ტყვია გაქანდა ორის მზის ჩასაქრობლად. დაჰბერა ქარ-

მა, შემოფანტა შემოხვეული გომბეშა და ორში ერთის გასწორე-ტოდა მკერდი და სისხლში გათხვრილი მიწაზედ ფართხალობდა; მეორე დამშვიდებული თავს ადგა და თითქოს სწმენდავდა.

დაჭრილი იყო ონისე, ხოლო ზეზე იდგა გულა. გამწარებულს პირი ეღიმებოდა და სულთ მობრძავს სიამოვნებით დაჭყურებდა.

მაყვალა, რომელიც თოფის ხმაზედ გონს მოსულიყო, სატრფოს ზედ დაჰკვდომოდა. გულამ შეჰკრა თვალი და სული წაავლო.

— ურცხო! ჩემთანაც აღარა მალავ?.. დასჭყივლა იმან და დაუმატა: — მაინც მე გიყვარდა და შენც მაგას გაგაყოლებენ.

ის იყო ხანჯალი შეუმალა, რომელსაც სოფლიდგან, ვისაც თოფის ხმა გაეგონათ, მოცვივდნენ და ცოცხალ-მკვდარი ქალი ქმარს ხელიდგან გააგდებინეს.

ონისე წაიყვანეს და ეზოში დაასვენეს; მკვლელს დაამოწმინეს ორი გვარეულობა, რომელიც სისხლის საძიებლად იარაღით გამოვიდა. მაყვალა კი ამ დღიდგან გაჰქრა და მისი ამბის გამგები აღარავინ ჩნდებოდა. გულაც სადღაც გადაიკარგა, რადგანაც სისხლი დაედო და თუ სადმე მოასწრობდენ, მთელს გაუშვებდენ.

## XII

უბედურის შემთხვევის შემდეგ კარგა ხანმა გაიარა და თუმცა აღარც ონისე, აღარც გულა და აღარც მაყვალა საქვეყნოდ

აღარ გამოდიოდნენ, მაგრამ ხალხი ჯერ ვიდრე მღელვარებდა, საუბედურო შემთხვევაზედ ლაპარაკობდა.

განადგურდა ონისეს სახლ-კარი. მაგრამ გულას შემძლება-საც უმეტესი დრო არ დაადგა, რადგანაც ამას სისხლი ადუ-მართავ და იმედებული იყო დაჭრილის გვარეულობას მორი-დებოდა; თორემ გვარეულობა შეიარაღებული დადიოდა, რად-განაც ყველა მათგანი უსაბაბოთაც უსიამოვნობას მოელოდა. მათ შორის თემის მდგომარეობაც სახუმარი არ იყო, რადგა-ნაც ორი ოჯახობის განადგურების გარდა, კიდევ სხვა, მრა-ვალი უსიამოვნოება მოელოდა, და უბედურების ასაცდენად მთე-ლი სოფელი დარაჯათ უნდა გადაქცეულიყო, რომ მოწინა-აღმდეგეთ ერთმანეთში ჩხუბი და აუცილებელი მკვლელობა არ მოსვლოდათ.

მთელს თემობაში კაცი არ იყო, რომელიც ზიზღით არ მოიხსენებდა სამივე დამნაშავეს, რომელთა მოქმედებაც სახლის ღირსებას, დებულებას და წესს ძველს შეურაცხ-ყოფას აყენებ-და, ისე სამარცხვინოთ არღვევდა, დამნაშავეთ საქციელს ხალ-ხი აი რა თვალით უყურებდა:

„გულა, მართალია, წინა აღუდგა თემის დებულებას, და მათი გადაწყვეტილების შემდეგ ცოლი მალვად მოიყვანა, მაგ-რამ აღბათ მაყვალას ნებაც იყო, თორემ ქმართან არ დადგე-ბოდა, და მაშინ თემი გამოესარჩლებოდა. ეს ქალი ქმართან მშვიდობიანად სცხოვრებდა, მის პირისაგან უბრალო საჩივარიც კი არავის გაუგონია და აქედგან შემდეგი დასკვნა გამოჰყავსნ-დათ: აღბათ ერთმანეთის კმაყოფილნი იყვნენ, ერთად ცხოვ-რება შესაძლებლად მიაჩნდათ.»

მაგრამ ამასთანავე იცოდნენ, რომ გულა იყო ლოთი, ჭირვეული და საზოგადოთ ადამიანის უსამართლოდ მწვალებე-

დი. ცოლს არამც თუ ღალს ჯაფას აყრიდა და მთელის თვე-ობით თავს ანებებდა, არამედ ლანძღავდა უშვერის პირით და ხშირათ კიდევაც სცემდა. ამ საქციელმა ქალი გაწბილებამდის მიიყვანა, დალუპა სახლი და ბოლოს მეზობლის, მოძმის სისხლიც კი დაალვრევინა. ქალი მართლა და ცუდს მდგომარეობაში იყო, ძნელი გასაძლებელი ცხოვრება დასტეხოდა, მაგრამ, ხალხის რწმუნებით, არავითარი უფლება მაინც არა ჰქონდა ოჯახობისთვის ამ გვარად ეღალატა. მათ თემის ხმის ძალის იმედი კიდევა ჰქონდათ და იძახდნენ: «მაყვალას ქმართან გაყრის უფლება აქვს და მაგრეთვე ვისთანაც მოისურვებსო, მხოლოდ ქმართან ყოფნის დროს მოტყუება და ღალატი არც ღმერთი-საგან და არც კაცისაგან არაოდეს არ ეპატიებაო.»

ონისეზედაც ამბობდნენ, რომ მას, მართალია ქალი უყვარ-და და «სიყვარულიო» კი კაცს გზას იქით გადააგდებსო, მაგ-რამ წვეროსანს ულვაში იმად აქვს და ქუდი იმად ჰხურავს, რომ ნამუსის ყურ-მოჭრილი ყმა იყოსო. ონისემ შეურაცყო თემის ზნეობრივი რწმუნება და თემი არ მოუთმენდა.

ხალხი ამ რწმუნებით იყო და გადაწყვეტილება დამნაშა-ვეთ შესახებ გულში ნათლად და გარკვევით ჩასჭედოდა: მათ უყურებდნენ, როგორც ერთის ხიდგან მოწყვეტილს და მორს გატყორცნილს მტრისა, რომელთანაც აღარაფერი გაეშორა, აღარაფერი საერთო არ მოიპოებოდა.

ბელა სადღაც წასული იმალებოდა, ონისე თუმცა მრთელ შექმნილიყო, მაგრამ მაინც ჯერ ვერ ამდგარიყო და გარეთ ვერ გამოდიოდა, მაყვალა კი ეხლავე ყველას დაშორებოდა, რადგანაც ნათესაობის სახლის კარიც დახშული შექმნილიყო ლეჩაქ-მოხდილის ქალისათვის.

ერობაში, ჩატობაში, მთაში, თუ ბარში, ყველგან ისმო-

და სიმღერა, ლექსები ამ შემთხვევის შესახებ; ყველა ამაში ხალხის შეუწყალებლობა გამოითქმოდა იმ პირთა მიმართ, ვინც თემოსნობის დიდების დარღვევა და შეურაცხყოფა მოიწადინა.

ხალხი, დღემდის გაბრაზებული, მწუხარებით იგონებდა ამ შემთხვევას და მღელვარებდა.

მაყვალა იმალებოდა ციხის ნანგრევებში, მაგრამ არ შეიძლებოდა, რომ ხანდისხან არ გამოსულიყო. ერთხელ ორჯელ შეხვდენ, დაინახა ხალხმა და მისი გაბრაზება იქამდის მივიდა, რომ თემის ყრილობამ საქვეყნოდ განშორება მოითხოვა, რადგანაც მათი სოფელთან სიახლოვეც კი შეურაცხყოფათ ჩასთვალეს, ამას ზედ დაერთო მეორე შემთხვევა, რომელმაც სრულიად გადასწყვიტა უბედურთა საქმე.

ზედუნიმის ჯვარობა იყო და დიდ-ძალი ხალხი შეკრებილიყო. დიდი და სწორე ტაფობა, სადაც ეს ხატობა იმართებოდა ხოლმე, ხალხს ნებას აძლევდა სხვა და სხვა თამაშობა გაემართა და ვარჯიშობაში თავი გამოეჩინა.

აქ იმართებოდა ნიშანში თოფის სროლა, ფარ-ხმალობა *), გუდურგუდური, «ქვის გადაწევა», ცხენების თამაშობა, და სხვა ათასი ვარჯიშობა, სადაც სიმარდე და მოაზრებული ხერხიანობა თავს გამოითქვამს.

ერთს ადგილს შეიკრიბნენ ყმაწ-ილი ბიჭები და მოისმა: «ქუდის გატაცება, ქუდის გატაცება, ვის გინდათ?» მიაწყდა იქით ხალხი და თამაშობის მსურველნი წყვილ-წყვილად გავიდენ. ერთი წყვილი განშორდა ყველას და მასთან რიგ-რიგად მიდიოდენ დანარჩენი წყვილები. მისვლის უმალ წინად გასუ-

*) იმ ხანში ფარი და ჩაჩქანი ჯერ კიდევ არ მოსპობილიყო ხევში.

ლებთაგანი ერთი იტყოდა: «არჩევანი მე.» მეორე დაასახელებ-და ერთერთის შემდეგ მოსულთაგანს, და ამ გვარად მოთამაშენი გაიყოფოდენ თამაშობაში მონაწილეობის მიმღებთ. აიღეს ერთი სამი რგვალი ქენჩი და, ზედ დაიფურთხების შემდეგ, მშრალი მხარე ქვისა ერთმა მიიღო თავის ნიშნად და დასველებული მხარე—მეორემ. შეაგდეს მაღლა, რომელი გვერდიც, სველი თუ მშრალი, ზეიდგან მოექცეოდა, იმ გვერდის ამრჩევ ბიჭებს ქუდი უნდა დაეცვათ და მეორეს კი გაეტაცნა.

— თქვენია, თქვენია! დაიძახა ერთმა მხარემ.

— დასწყდით, დასწყდით! მოისმა მეორეს ხმა, და თამაშო-ბა გაჩაღდა.

პირველ ნაწილმა მოთამაშეთა ცალ მუხლზედ ისე დაი-ჩოქეს, რომ ზურგი ერთმანეთისა ჰქონდათ შექცეული. ხალხი გაიშალა, გზა დაუგდო და მოთამაშეთ მეორე ნაწილმა დაუა-რა. ამათ ქუდი უნდა გაეტაცნათ და საკმაოდ მოშორებულს დანიშნულ ადგილზედ მიეტანათ, ხოლო მსხდომთ ან ქუდი არ უნდა დაენებებინათ, ან დაეჭირათ მისკენ გაქანებული მტა-ცებელი და, თუ ვინიცობაა გაიტაცებდენ, მსხდომნი წამოუ-ცვივდებოდენ, გამოუდგებოდენ და ერთმანეთის მიშველებით უნდა წაერთვათ.

კარგა ხანს გრძელდებოდა თამაშობა, ბიჭები მხიარულად და ყიჟინით დარბოდენ, გაიტაცებდენ ქუდსა, იჭერდნენ გაქცე-ულებს. მსხდომნი იცვლებოდენ და მაყურებელნი მხიარულის ყიჟინით აქეზებდენ.

მოთამაშეთ შორის, რასაკვირველია, ჭელას და ონისეს გვარეულობის ბიჭებიც ერივა და თუმცა ერთმანეთს ნამდურა-ვები ხმას არა სცემდენ, მაგრამ საერთო თამაშობაში მონაწი-ლეობას მაინც იღებდენ.

თამაშობა წესზედ მიდიოდა, ერთბაშად მოისმა ყიჟინა და ზეზედ მყოფებმა იერიში მიიტანეს. ყოველის მხრიდგან მედგრად ეტანებოდნენ დაჩოქილებს, მაგრამ ისინიც ფრთხილად იყვნენ და მოწინააღმდეგეთ მარდათ ექცეოდნენ. ვარსკვლავსავით მოსწყდა ვიღაცა ახალუხსა თხუთმეტ-თექვსმეტის წლისა, შეჰკრა რამდენიმე გამარბ და თვალის დახამხამებასთან ერთად, ქუდ მოტაცებული მიქროლავდა; წამოიშალნენ ყველანი, გამოუდგნენ გამტაცებელს, მაგრამ დაწინაურებული ბიჭი საკმაოდ დაშორებოდა და დარწმუნებული თავის სირბილზედ მხიარულად მიითამაშებდა.

— არქვია, გივარგი! არიქა, თორუმ ქუდი წაიღო! მიუბრუნდა ერთი ბიჭი მეორეს, რომელიც იქვე ჯგუფობაში გარბოდა და ეკუთვნოდა მსხდომარეთ მხარეს.

— ონისეს სახლის კაცი არ იყოს, თავად ვიცოდი, მაგრამ ეხლა რაი ვქნა? უპასუხა ყმაწვილმა ბიჭმა.

— რაი ონისე? იყვირა ჩაირკელმა და გაჯავრებით დაუმატა:
— რა დროს ონისეა, ღთის მადლსა, ხედავ ქუდი წაიღო!

— სისხლი გვმართებს და მორიდება გვინდა.

— აუ! გაიკამათა ჩაირკელმა.—სისხლი კი არა, ისა სთქო, ვერ დავეწევი და შერცხვენისა მეშინიან თქო..

— აბა მაშ მიეცქარე! დაიძახა გივარგიმ და გადახტა.

გადახტა და გაიძაბა, გაიძაგრა და იქამდის თავს მალა მიაყარა, რომ ნეშტეები სისხლიდგან ამოუბურცა. მალე დაეტყო, რომ სირბილში გივარგი სჯობნიდა, რადგანაც წინ წასულს თან და თან ჰკრეფავდა.

— არიქა! თანაგრძნობით უძახდა ხალხი და აქეზებდა.

— გაიქე, ბუზუზუ, გაიქე! მიჰყიყინებდენ მეორენი ქუდის წამღებსა.

გუგუამ მოიხედა, თვალი შეჰკრა, რომ ვიღაცა დაახლოვებია, გაიღიმა და რბოლას მოუმატა.

ორნივ მირბოდენ, რაც კი ძალი და ღონე ჰქონდათ, ორნივ გაჩუმებულიყვნენ და ცდილობდენ გამარჯვება ერთმანეთისთვის არ დაეთმოთ, მაგრამ გივარგი თანდათან უახლოვდებოდა.

გუგუა ჩინებულად გარბოდა, მარდათ იცვლიდა ფეხებს, დაღალვა არ ეტყობოდა, მაგრამ მეორე წამოსწვდა და თავ-მოწონებულმა შესძახა:

—სად წახვალ? გაიშვირა ხელები და სწორეთ იმ დროს, როდესაც ხალხმა დაიძახა: «დაიჭირა, დაიჭირა!» გუგუა განზედ გაუსხლტა და მეორის გაწვდილი ხელები აიცდინა; გიორგიმ თავი ვეღარ დაიმაგრა და მიწაზედ გაიშხლართა.

ხალხმა სიცილი დააყარა და უკან მოცქერილმა გუგუამ დაცინვით წამოიძახა:

— ბიჭაუ! მიწაზედ რაი ეგდო?... წილი მეც მერგებიის!

წაქცეული გაწითლდა, მარდათ წამოხტა და მალე ისევ წამოეწია. გამარჯვებით გათამამებულმა სცადა წელანდელი ხერხი ეხმარა, მაგრამ მეორეც გაფრთხილებული დაუხვდა. გუგუას გაბრუნებაზედ, ახალუხის ბოლოები ქარმა გაუფრიალა და გივარგის პირდაპირ ხელში მისცა. დაჭერილმა რამდენჯერმე გაიბრძოლა, მეორემ არ გაუშვა და ახალუხი გაისა.

— ეხლაც დაიკვეხე, გუგუაუ! თავის რიგობაზედ გიორგიმაც ჩაიცინა და მკლავები მოხვია.

გუგუამ მხოლოდ ეხლა დაინახა, ვინც ებღაუჭებოდა და მოსისხლე იცნო.

— გივარგი! კარგია! შეუტია დაჭერილმა და დაუმატა:—რას პირით მოსდიხარ?

— რაიც პირი მაქვს. იმავე კილოთი მიუგო დამჭერმა.

— სისხლი გმართებსთ, არ იცი? მორიდება წესია და ადათი!

— ჩვენ კი არა, თქვენა გმართებსთ... თქვენ გაგვიწბილეთ ოჯახობა, ძმა დაგვაკარგვინეთ და მე უნდა მოგერიდო?

— გამიშვი! დაუყვირა გუგუამ და ორივე ხელი გულში ჰკრა.

ორნივე ყმაწვილები, მაგრამ თავ მომწონე და საკმაოდ გულადნი იყვნენ, ორთავეს მთის ჩვეულება და ხასიათი სისხლსა და ხორცში გასჯდომოდა; უეჭველი იყო, რომ ისინი მშვიდობიანად ველარ გადარჩებოდნენ; მაგრამ, საბედნიეროდ, მათგანს არც ერთს იარაღი ზედ არა ჰქონდა, რადგანაც თამაშობაში იარაღის შემოსხნა სავალდებულო იყო.

— გამიშვი, გამიშვი! დაუყვირა ისევ გუგუამ და ხელი გაავლო.

— არ გაგიშვებ, უპასუხა გივარგიმ და ორთავ ერთმანეთს ხელი გაავლეს, შეუთამაშდნენ, შემოტრიალდნენ და განიყარნენ.

განს გასულები რაოდენსამე ხანს ერთმანეთს თითქოს თვალით ზომავდნენ და შემდეგ ისევ ერთმანეთს მიუახლოვდნენ; დაჰკრეს, დაიწყეს ჩხუბი და ცემა.

ხალხს, რომელიც მათგან საკმაოდ შორს იყო, ვერ მოეზრა მათი ჩხუბის მიზეზი, რადგანაც ერთბაშად იქავ მოესმა ყიჟინა, ხმაურობა, მუქარა და იარაღის ჩხარა-ჩხური. გუგუას და ონისეს ნათესაობისთვის ეს მცირედი შემთხვევა საკმარისი ყოფილიყო, რომ იარაღით ხელში ერთმანეთს დასტანებოდნენ.

მოჩხუბარნი ერთმანეთზედ მიდიოდნენ და ხალხს მათ დასაშველებლად ცოტა ჯაფა არ მოუნდა. ყველა გამშველებლად

ჩაიჭრა, ყველა ამშვიდებდა, იჭერდა და მხოლოდ მშვიდობიანობა გამშველებელთ სიმრავლემ დაიცვა.

აღელვებული ხალხი საჩხუბრად აღარ გაუშვეს და ჩხუბის შედეგი კი მხოლოდ ორიოდ კაცის სუმბუქად დაჭრა იყო.

ამას ბევრად არაფრად სთვლიდენ, რადგანაც ნასვამის ხალხისაგან ბევრად უფრო მომეტებული უბედურება იყო მოსალოდნელი.

გაიმართა შუა-კაცობა, დამშვიდება, ჩაერია თემის სახელი.

ხალხი რაოდენადმე დაწყნარდა, მაგრამ მხიარულება კი აღარსად ისმოდა; საქეიფოდ მოსულნი—შუა-კაცებად გადიქცნენ და ერთხმად დაიძახეს: «თემის ყრილობით გადაწყდეს, თემმა გაარჩიოს ეგ ორი გვარეულობა.»

ყველამ აშკარად დაინახა, რომ უამისოთ დიდი ცოდო-ბრალი დატრიალდებოდა და თემობასაც დიდი ზარალი მიეცემოდა.

ამ დღიდგან ამ საქმეს ხალხმა მოჰკიდა ხელი და ერთის კვირის შემდეგ სამების საბჭოში თემის ყრილობა გაიმართა და შემდეგი გადაწყვეტილება დაადგინა:

«მაყვალა, როგორც მიზეზი ყველა ამ უბედურებისა, მოღალატე ქმრისა და მოვალეობისა, შემრცხვენი თემობისა და სახლისა, გამწბილებელი ოჯახობისა და ნათესაობისა,—შეკრულ იქმნას და განდევნილ ხევიდგან.

«ონისე, როგორც დიაცის გამწბილებელი და მეზობლის ოჯახობის შეურაცხ-მყოფელი, შემრცხვენი ქუდოსანთ სქესისა, დამრღვევი თემის წესისა, გამტეხი მეზობლის სახლისა,—შეკრულ იქმნას და განდევნილ ხევიდგან. გელა, როგორც მეზობლის და მოძმის სისხლის დამღვრელი, მიზეზი ცოლის

ყოფა-ქცევისა; დამნაშავე თემის მშვიდობიანობის დარღვევით, გამტეხი თემის პირისა, (რადგანაც თემის გადაწყვეტილების წი-ნააღმდეგ ცოდვი მალად დაიბრუნა),—შეკრულ იქმნას და გან-დევნილი სხვადგან,

«სამთავ ჩავსვათ სათემო სამანი, სამნივ თემისაგან მო-წყვეტილი და შეჩვენებულ იქმნენ.

«ღელის იქით», გააგრძელა თემის ნების დადგინების გა-მომცემმა: «მოწყვეტილიმც იქნებიან ჩვენის თემიდგან, მოშო-რებულნი ჩვენის კერიდგან, ჩვენის მიწიდგან და წყლიდგან... მათ აღარ ეღირსებიან არც ჩვენი ცრემლი, არც ჩვენი სამარე, არ შეეხება არც ჩვენი საღმრთო, არც ჩვენი საწირი. წყეულიმც იქნება, ვინც მაგათ ხელს გაუწვდის, მოწყურებულს წყალს მიაწვდის, შეცივებულს დაათბუნებს და შებრალებულს ჰყოფს. წყეულიმც იქმნება და განდევნილი თემისაგან».

ამენ! გაისმა ამ სიტყვებზედ ხალხის ხმა და გრგვინვასა-ვით შეარყია ჰაერი. მძლავრ-მოსილი დიდება ისმოდა ამ გადა-წყვეტილებაში.

ყველა ჰგრძნობდა რაღაცა იდუმალებას, რაღაცა ძალას, რომელსაც ანგარიშ მიუცემლად ემორჩილებოდა, ემონებოდა და ყმად უხდებოდა.

ხალხი მიეხვია მიწა, მოთხარა ღრმა ორმო და ამისთანა შესაძრწუნებელის შემთხვევის მოსაგონებლად მაღალი ჯვარის ქვა სამნად ჩასვა.

ამ დღიდგან გადამტერებული ორი გვარეულობა, თემის შუა-გაცობით შერიგდა და ორ მოსისხლეთ მაგიერ, ორს, ძმობით დაკავშირებულს; ერთმანეთისთვის თავ გადადებულს სახლობათ გადაიქცა.

ხალხი დამშვიდდა, გამართა საღმრთო და საოჯახო

ლხინის დროს გლეხს და ონისეს გვარეულობაში ყოფილნი ძმად გაიფიცნენ, უფროსები უფროს დედა-კაცებს ძუძუზედ კბილს ადგამდენ და შვილობილად უხდებოდენ და ამ გვარად საერთოდ ნათესავდებოდენ.

განდევნილთათვის ძნელი ასატანი იყო თემის გარდაწყვე-ტილება, რადგანაც ამ დღიდგან ყოველის ფერს ჰკარგავდენ და თვით სულის მოსაბრუნებელი საშუალებაც კი ესპობოდათ.

მათ თემობაში ადგილი აღარა ჰქონდათ და ამისთვის დაწყვეტილის, მოკლულის გულით გამოესალმნენ თვით წვრილს ბენჭვებსაც კი, რომელთაც მათთვის ეხლა ფასი დასდებოდა და ისე ტკბილი, სანეტარო შექნილიყო.

## XIII

ქვეყნის ამაოებით, თავ-მობეზრებული მოძღვარი ონოფ-რე, როგორც მკითხველებმა უკვე იციან, ხალხს განშორებოდა და განდეგილად სცხოვრებდა ბურსაჭირის კლდეებში. მისი სა-ხელი, გონივრობით და გულ-კეთილობით, სიწმინდით და თავ-განწირულებით მთაში შორს გავარდნილიყო. დაუზარებე-ლი მლოცველი განუწყვეტლად მარხულობდა, არა თუ მხო-ლოდ ხორცით, არამედ ყოფა-ქცევითაც, რათა ხორცის შეწუ-ხებით სული ღირსეულს სიმაღლემდის აეყვანა და მოძღვრის საპატიო სახელი დაემსახურებინა. ის იდგა უბრალოს გამო-ქვაბულს კლდეში, რომელიც ორს ოთახად განიყოფებოდა; სადგურის მორთულობას შეადგენდა ტახტად შეკრული სიპი ქვა, თავისგანვე უბრალოდ გაკეთებული ხის სტოლი და რამ-დენიმე შკამი.

ამის გარდა ჰქონდა ქვისგან აშენებული საყურთხეველი, რომელზედაც ჯვარი და სახარება ესვენა. კედლებში რამდენსამე ადგილს გამოთხრილს თახჩებში ელაგა სხვა და სხვა ბალახები, თიხის ჭურჭელი და სხვა იარაღი, რომელიც ექიმობის დროს სჭირდებოდა ხოლმე. ყოველთვის მარტოდ-მყოფელი სახორციელო ნაკლულევანებას სულიერის სიმდიდრით ივსებდა და სიღარიბეშიაც ახერხებდა თავის ცხოვრებით და მდგომარეობით კმაყოფილი შექმნილიყო. მუდამ მლოცავი, სულიერს განწმენდაში მყოფი, დაუზარებლად სამწყსოში მხოლოდ მაშინ გამოვიდოდა, როდესაც ვინმე ავად-მყოფი სულით, ან ხორცით მის სამსახურს მოითხოვდა. ამ შემთხვევაში, ღვთიურ სითბოებით აღსავსეს დარწმუნებულს თავის მოქმედების სიწმიდისა,—მოხუცებულს ძალა ეძლეოდა განსაცვიფრებელის ბეჯითობისა და მუყაითობისა. ავად-მყოფთან ის იყო ექიმი, დამყუჩებელი ტკივილისა, მოძღვარი და მჩვენებელი გზისა მართალთასა და მოამბე მომგონებელი გაცთა დიდებისა.

ონოფრე ემსახურებოდა ხალხსა, სცხოვრობდა მისთვის და მაშინაც-კი, როდესაც ყველასაგან განმარტოებული უზენაესს სულით უერთდებოდა, არ ივიწყებდა მოძმეთ, გულმხურვალე მოციქულად შექმნილი, სცდილობდა ქვეყნის კეთილდღეობისთვის. არასოდეს მამა ონოფრეს არ ენახა განსაცდელში მყოფი კაცი ისე, რომ თავის თავზედ ზრუნვა არ გადავიწყებოდა, პირველადვე სხვის შველის გულის თქმა არ გაღვიძებოდა.

ამ გვარი კაცი, არ შეიძლება, რომ ხალხს არა ჰყვარებოდა, რწმუნება არა ჰქონოდა მისა და ამის გამო სულით, თუ სხეულით მრავალ დავრდომილთათვის მოძღვრის დანახვაც კი საკმარისი იყო გასამხნევებლად.

ხალხი უზიდავდა მას საზრდოს, როგორც მისთვის თავდადებულს, აფასებდა მის სამსახურს და მით აკმაყოფილებდა მის გაურყვნელს და მარტივს მოთხოვნილებას.

მოძღვარს თავის თავი იქამდის მოკრძალებით ეჭირა, რომ ნების-ნებად არც ერთს ცხოველს, არც ერთს ქმნილებას, ბუნებისგან გაჩენილს, ხელს არ ახლებდა, არ მოუსპობდა სიცოცხლეს და ცოდვათ სთვლიდა ქვეყნის საერთო მშვენიერებისგან მის გამოკლებას.

ერთხელ თავის მოგზაურობის დროს მან ნახა მთიელი, რომელიც გაცხარებული ველურად ასრთულ ხეს სჭრიდა და მით დამშვენებულს ადგილს საუკეთესო სურათს აკლებდა.

მთიელმა მოძღვარს თვალი შეჰკრა, მოიხადა ქუდი და მოწიწებით ლოცვა-კურთხევის მისაღებად მივიდა.

— შენდობა, მამაო! გაუშვირა ხელები მთიელმა.

— შენდობილიმც იქნები, შვილო! უპასუხა მოძღვარმა, მაგრამ ხელი კი არ მისცა სამთხვევლად.

მთიელმა, უმეცარია, დიდს უბედურებად ჩასთვალა ამ გვარი შემთხვევა, რადგანაც ონოფრეს საქციელი წყრომად მიიღო და, ვინც გიყვარს, ვისაც თავის ცხოვრებით პატივი დაუმსახურებია, მისი წყრომა ადვილი ასატანი არ არის.

— მამაო, მომეცი ხელი, გემთხვიო.

— მოიცა, შვილო!... უპასუხა მოძღვარმა, მაგრამ ხელი მაინც არ მისცა და გაჩუმდა.

მთიელი გაფითრდა, იქამდის საგრძნობელი იყო ონოფრეს მოქმედება მისთვის.

— რა დავაშავე, მამაო? ჰკითხა მან და ცოტა ხნის შემდეგ განაგრძო: — მგონია, უქმი არ გამიტეხია, მარხვას არ შევრეულვარ.

— ცოდო მარტო ეგ არ არის.

— მაშ რა ვქენ, მამაო?

— შენ მოუსპე სიცოცხლე იმას, ვისაც ღმერთმა ქვეყნის დასამშვენებლად მიანიჭა იგი.

— ვისა, მამაო? მთლად დაიბნა მთიული.

— აი, შეხედე, გაიშვირა მოძღვარმა ხელი და უჩვენა ნახევრად გადაჭრილი ხე.

— რას მიბრძანებ, მამაო? ხეს ყველა სჭრის. ცოტა სიჩუმის შემდეგ უპასუხა მთიულმა, თუმცა აღშფოთება ეტყობოდა.

— და ყველა ცოდოს სჩადის, ვინც გაუჭირვებლად სიცოცხლეს უსპობს შემოქმედისაგან გაჩენილს... ვინც ეგრე იქცევა, ის აკლებს ქვეყანას ლაზათის და ლაზათის მიმცემს სიცოცხლეს... ეგეც ხარობს შვილო და სცოცხლობს... რად წაართვი სიხარული, რად მოუსპე სიცოცხლე?

— შემინდე, მამაო! მოიხარა თავი მთიულმა, რომელსაც მოძღვრის საუბარი ჯერ კარგად ვერ შაეგნო, მაგრამ მისმა ნდობამ, მასზედ რწმუნებამ დააჯერა, რომ მშვენიერის ხის მოჭრით, მართლა ცოდვასა შვრებოდა.

— შეშა აღარა გვქონდა და გზასთან ეგ ხე უფრო მარჯვედ იდგა.

— ვიცოდი, რომ შეშად გინდოდა... შენი ურემი ვნახე და ნახევრად სავსე იყო... შეშად რადა სჭრი მაგას, როდესაც ღმერთს მაგისთვისაც უზრუნვია? უფალი უხვია და გონიერი... ტყისთვისაც ხარკი არ აუცდენია... უზენაესის განგებით, ტყე ხმელს შეშას გიმზადებს და წაიღე, რამდენიც გინდა...

— გზასთან მარჯვედ იყო და... სცადა მთიულმა კიდევ თავი გაემართლებინა.

— მარჯვედ?... მარჯვედგან რომ შენ წაიღებ, შენს შვილს

რაღას ეუბნები, რომელსაც შრომას უძნელებ... მარტო სიმარჯვისთვის, არა გაქვს ნება მცენარესაც არის სიცოცხლე მოუსპო.

ამ გვარად კარგა ხანს ელაპარაკა მოძღვარი და სანამ სრული ლოცვა-კურთხევა არ აღირსა, სანამ არ დაარწმუნა, არ ჩააგონა, რომ ამ გვარი შეუნანებლად დაუზოგველობა ქვეყნის სიმდიდრისა მართლა ცოდვა არის.

ასე სცხოვრებდა მოძღვარი, ასე ასწავლიდა თავიანთის სიმდიდრის გაფრთხილებას, შებრალებას, თვით იმ ქმნილებათაცა, რომელთაც არამც თუ ლაპარაკი, არამედ დაკვნესებაც არ შაეძლოთ.

აი ეს მამა ონოფრე იყო ის გულ-მხურვალე მლოცველი, ის გულ-კეთილი მზრუნველი, რომელმაც ხალხისაგან განდევნილი და სიცოცხლისგან განწირული მაყვალა თოვლიდგან ამოიღო, სიკვდილს გადაარჩინა და თავის ქოხ-ქვეშ შეიფარა.

ეს დედა-კაცი საკმაოდ წვალებული იყო, რომ ადვილად გამობრუნება შესძლებოდა, მით უფრო, რომ მის გულს განუშორებელი სევდა მოსვენებას არ აძლევდა, და ამისთვის ონოფრემ მთლად თავისი ყურადღება, ექიმობის ცოდნა და მზრუნველობა მას მიაქცია. მოძღვარი აშკარად ხედავდა, რომ ქალს, გარდა სხეულისა, სულიც დამძიმებოდა და მას განწმედა და განსპეტაკება ეჭირვებოდა; მაგრამ გონიერი, გამოცდილებით განვითარებული მოხუცი ყოველთვის, არამც თუ ხელს, არამედ სიტყვას, თვით შეხედვასაც კი არიდებდა, რომ უნებურად მტკივანს ადგილს არ შეხებოდა, წყლულისთვის გმინვა და კვნესა არ დაეწყებინებინა და მით დასაახლოებელი გული არ განეფრთხო.

მას კარგად ესმოდა, რომ მძიმე ცოდვით დატვირთულს სულს მხოლოდ გამოთქმა მისცემდა შემსუბუქებას, მაგრამ ისიც აშკარად იცოდა, რომ ამ გამოთქმას აუცილებლის სარგებლობისთვის უეჭველად შენანებაც უნდა თან მოჰყოლოდა.

უამისოდ მარტო გამოთქმა, აღსარება შეუნანებლად ვერ აგრძნობინებდა იმ ამაღლებულს იდუმალების ძალას, რომელსაც სულით ხორცამდის დაღუპულის აღდგინება და ჩაიხრწილის, ჩაწყვდიადებულის გულის შუქით განათება შეუძლიან.

მოძღვარი არ სცდილობდა წაცდენით დაეწყებინებინა ლაპარაკი ცოდვილისთვის, როგორადაც ამ ხანში ორიოფრე მაყვალას სთვლიდა, არამედ ათასის მაგალითებით უნდოდა გული მოელბო მისთვის, თავისთავად მოეყვანა შენანებაში და უანგარო რწმუნების ძალაგულის სიწრფელით ნათლად დაენახვებინა.

როგორც ღვთის მლოცველს და უანგარო ქრისტიანეს, ორიოფრეს სწამდა, რომ ღმერთის უნებურად თმაც არ შეიძროდა თავზედ. რასაკვირველია, ამ გვარი კაცი მაყვალას გადარჩენას და მასთან მთაში შეხვედრას განგებას მიაწერდა. გაცობრივის გულ-კეთილობის გრძნობის გარეშე, მოძღვარს უბედური ისე მიეღო, როგორც ღვთისაგან დანიშნულს, რომელსაც გულ-მოდგინე სამსახურით მაშვრალი სული უნდა გამოეხსნა. განდეგილი ლოცულობდა, უქადაგებდა ჯვარცმის წინაშე, და ნათლად უხატავდა იმ კაცის ცხოვრებას, რომელმაც ხორცი განუტევა და სისხლი დაანთხია მოსატევებლად ცოდვათა.

ერთს შაბათს საღამოს მოძღვარი ლოცვაზედ დადგა, დაჩოქილი მაყვალა გულ-მოდგინედ ღმერთს ევედრებოდა, როდესაც მოძღვარმა უკანასკნელად შეავედრა მეუფეს ღარიბნი, ლატაკნი და დავრდომილნი ხორცითა და სულით; ქვრივნი, ობოლნი და უსავანონი; უკანასკნელად წარმოსთქვა «ამინ»,

უშეცასვნელად დაიწერა პირ-ჯვარი, როდესაც მწარე და გულის შემზარებელი ქვითინი შემოესმა.

მოხუცმა მოიხედა და დაინახა, რომ დახოქილი მაყვა-ლა პირ-მიწას გაერთებული სტიროდა და გოდებდა.

მოძღვარი დააცქერდა, სახე გაუბრწყინდა, და რწმუნებით ჯვარცმას ხელი მოჰკიდა. შემდეგ წყნარად მიუახლოვდა მტი-რალს და გამარჯვებულის ხმით წარმოსთქვა:

— ემთხვიე, შვილო!... ზეციერი მამა შეგიწყნარებს, ჯვარი პატიოსანი შვებას მოგცემს... ილოცე, ილოცე, შვილო, რა-მეთუ ლოცვა განსწმენდავს სულსა და მძიმეს ტვირთს შეგიმსუ-ბუქებს... იესო ტკბილი ქვეყნად მაშვრალთათვის იყო მოსუ-ლი, მათ დასახსნელად გასწირა თავი და უმძლავრეს სიკვდილი მიიღო.

— მამაო, მიშველე! საბრალოდ წარმოსთქვა ქალმა და გულ-მხურვალედ განაგრძო: — არ ვიცი ლოცვა, არ ვიცი სიტყვა, რომ ღმერთს შევევედრო.

— ლოცვა მრავალ სიტყვაობაში არ არის. რწმუნებით და თანაგრძნობით უთხრა მოძღვარმა.—ყოველი სიტყვა, გულის სიწმინდით წარმოთქმული, ყოველი ამოსუნთქვა ზეციერის მა-მისაგან მიიღება, შვილო... არა სიტყვათა სიმრავლე იხსნის სულსა განსაცდელისაგან, არამედ გულისა სიწმიდე განანათებს გზასა უფსკრულისა ჯურღმულისასა.

— ო-ო, მამაო! შვებით ამოიოხრა ქალმა და თვალები გა-უბრწყინდა.—მაგ სიტყვების გაგონებაზედ გული მინათლდების, ზეციერი მამა შეისმენს ჩემს ვედრებას! ჩემგან დალუპული ისევ გზას მისცემს.

— საკვირველ ხარ შენ უფალო, და საკვირველ არიან საქ-მენი შენნი! წარმოსთქვა მოძღვარმა და მტკიცედ დაუმატა:—

არა არის ცოდვა, რომელიც სრულის მონანიების შემდეგ არ მიეტევოს!...

— დიდება მის მადლს და სულ-გრძელობას! წარმოსთქვა ქალმა და აღგზნებული თვალები ჯვარცმას მიაპყრო.

ორნივ ასე იდგნენ გაშეშებულნი, გაუნძრევლად და აღტაცებულნი. ორნივ განშორებულნი ამ სოფელს სულით შაერთებოდენ მოწყალეს შემოქმედს, რომელიც მწუხარებაში იმდენს შვებას აძლევდა და დაკარგულს კვლავ სასარგებლოს წმერად უბრუნებდა სახეს.

ერთბაშად მაყვალა გაფითრდა და შეკრთა; თვალი ვეღარ გაუსწორა ქვეყნისთვის წამებულის სურათს და აღშფოთებით თავი დახარა; მან დაიფარა თვალებზედ ხელი და გარგა ხანს ასე სულის გვეთებაში დარჩა. მას მოაგონდა ისიც, მოაგონდა გული, რომელნიც მისწრაფებად მიეცა ხორცის ფუფუნებისთვის, მოაგონდა მთელის თემობის შერყევა, მათი ზნეობის და ჩვეულების დარღვევა მხოლოდ წუთის სიამოვნებისათვის და გული მწუხარებამ გაუგმირა. პირველად იგრძნო ასე საშინლად თავისი დანაშაული, პირველად ჩასთვალა თავისი თავი სრულს ცოდვილად. ჩასთვალა და იქამდის შეძრწუნდა ამ გრძნობით, რომ თავს მიტევების ღირსად აღარ ხადიდა და ღვთისადმი ლოცვით მიმართვა უზენაესის შეურაცხ-ყოფად მიიღო.

— შვილო, რა მოგივიდა? ჰკითხა ქალის გულის-ხმას მიხვედრილმა მოძღვარმა და ლმობიერად თავზედ ხელი დაადო.

— მამაო! მუდარებით და ხმის კანკალით წარმოსთქვა ქალმა: — სული მიშფოთავს... მოუსვენრობას ვგრძნობ; ვეღარ ვლოცულობ!...

— ღირსეული რწმუნება ვერ მოგიპოვებია, და შეკალოებაც სრული ვერ იქნება!... თუ ცოდვა გაწევს რამე, მაინდე შენს

მოძღვარს, იგი გიშუამდგომლებს ზეციერის მამის წინაშე.

დედა-გაცმა მწარედ ამოიოხრა, შეხედა მოძღვარს, მაგრამ მაშინვე თავი დახარა.

— შვილო!... ვისაც მონანიება უნდა, მეტი რწმუნება და ნდობა უნდა ჰქონდეს!.. არ მენდობი?

— გენდობი, გენდობი, მაგრამ ლაპარაკი მიძნელდების, მიჭირდების.

— შვილო! შენა ხარ უმოწმოდ უზენაესისგან დანიშნულს შუამავალთან... ამ წუთებში შენთან კაცი არ არის... არის მხოლოდ მოძღვარი, რომელიც მოისმენს იმას, რაც ზეციერს მამას უნდა გადასცეს და ესმობა მხოლოდ მაშინ, როდესაც მასთან სულით იქნება შაერთებული... სხვა შემთხვევაში მოგონება გაგონილისა მიღალატებს, ნახული დამავიწყდება, ენამჭევრობა დამიდუნდება. ისმინე რამეთუ ჰო, ჰო არის და არა—არა!

— მამაო, მჯერა, მრწამს შენი სიტყვები, როგორც ღმერთისა. წარმოსთქვა მაყვალამ და დაწვრილებით, თავიდგან ბოლომდის უამბო თავის თავ-გადასავალი.

მოძღვარი მოუსმენდა სრულის ყურადღებით, თანაგრძნობით და მის უბედურებას უერთდებოდა. მას კარგად ესმოდა, რომ ამ წუთებში მოძღვრის მძიმე მოვალეობას ასრულებდა და ქალის სიტყვებს განსაკუთრებით ყურადღებას აძლევდა, ოროფრე თავის მოვალეობათა სთვლიდა, გარდა უბრალო მოსმენისა, ეშველა გაჭირვებულისათვის, მიეცა დასუსტებულის სულისთვის შვება და დაუძლურებულის, იმედ-გადაწყვეტილისათვის ხელახლად ნუგეში ცხოვრებისთვის საჭირო ყავარჯენად მიეშველებინა.

მოძღვარმა დახრილი და ფიქრით მოცული თავი აიღო, მიაპყრო თვალები ღვთის მშობლის ხატს და კარგა ხანს შეჰყურებდა. ეტყობოდა, რომ ლოცულობდა, ევედრებოდა მას,

რათა შეძლება მისცე, რომ ქალს გზა მართალთა დაანახოს და შერყეული ძალა ხელახლად აღუდგინოს.

— ცოდვილი ვარ, მამაო, და შემინდე? წყნარად და გულის ცახცახით წარმოსთქვა ქალმა, რომელსაც ღვდელმა პირჯვარი გადაიწერა.

მოხუცმა ერთი ხელი თავზედ დაადო, მეორე მაღლა აიშვირა და თვალებ ზეცისკენ აღპყრობილმა, წყნარად წარმოსთქვა:

— ყოვლად წმინდაო მეუფეო!... მხილველო ადამიანის გულისაო!.. შენ უწყი ყოვლისფერი... შენ მოწყალე და ლმობიერი ხარ... შეუნდე ცოდვილთა, რამეთუ არა იციან, რასა იქმონენ!

ამ სიტყვებით მოძღვარმა ჯვარი მაყვალას ტუჩებთან მიუახლოვა, და დედა-კაციც რწმუნებით ემთხვია.

არც ერთს სიტყვაში, არც ერთს მოძრაობაში, არც ხმაში, არც კილოში მოძღვარს საყვედურის წარმოთქმის სურვილი არ დასტყობია და მისთვის უალერსა ისე ტკბილად, ისე მიელხო მაყვალას გულს სარწმუნოება.

რამდენადაც ძნელია მდგომარეობა, რომელსაც გულს ნაღველი ვერ ამოუღვრია, იმდენად დამამშვიდებელს ნექტრად შეერგო უბედურს მაყვალას ახლად გაღვიძებული გრძნობა.

ამ დღიდგან, ამ წუთებიდგან მაყვალამ სიცოცხლე შესაძლებლად ჩასთვალა და შესაძლებლად დაინახა ქვეყნისათვის და ხალხისათვის თავის ცხოვრებით სარგებლობა მოეტანა. მალე შეეჩვია სამკურნალო ბალახების ცნობას და მოძღვართან ერთად ჰკრეფავდა, აგროვებდა და შველოდა სნეულთათვის წამლების მომზადებას.

## XIV

ერთს ბნელსა და ავდრიანს ღამეს, როდესაც თითქოს ცა გასკდომილიყო და მიწას წარღვნას უპირებდა, —ჭექა-ქუხილს ისეთი გრიალი გაჰქონდა, რომ კაცს ყურთა სმენა ეკარგებოდა, წამ და უწუმ გაიელვებდა, თითქოს დედა-მიწას ცეცხლი ავარდაო, გაგვნესებასავით რამდენჯერმე იფეთქებდა და ისევ შთაინთქმებოდა. წყვდიადი უფრო მომეტებულის ძალით ჩამოაბნელებდა. სიტყვით, ღამე იყო ისეთი, რომ თვალში მიტანილს თითს ვერ დაინახავდით და ჩამონგრეულს, ნიაღვართან არეულს კლდეებს საჯოჯოხეთო გრიალი გაჰქონდა. ამას ემატებოდა გამძვინვარებული ქარიშხალი, რომელიც მაღალ ხეებს თავს ახრევინებდა, ძირიანათ ჰგლეჯდა და მცირე ხანს ჰაერში ტრიალის შემდეგ სადმე უფსკრულში გადასტყორცნიდა, ბუნება გამხეცებულიყო და ქვეყანას აღმოსაგვლელად შებრძოლებოდა.

ამ დროს მოძღვარი და მოწაფე მიმსხდარიყვნენ კერასთან, სადაც ცეცხლი გაჩაღებული იყო და გამოქვაბულს ანათებდა.

მაყვალა რაღაცა ბალახებს არჩევდა და მოხუცს კი მუხლებზედ მოქნილ-მოზელილი სუფთა ტყავი გადაეფარა; ზედ დაედო ერთი სიპი ქვა და მორიგით ბალახებს ფშვნეტავდა და აფქვილებდა,

— მრავალი მარილვაი გმართ, უთხრა მოხუცმა და დაუმატა: — ახლა მელის კუდაი მომე.

— ბატარაი მეტი გვაკლიად, თორემ დაჭრილი ბევრი მოლის! უპასუხა ქალმა.

(შემდეგი იქნება)

# სახალხო ლექსები

(ჩვენში შეკრებილი ა. მ—საგან.)

ქალი ვარ, მქვიან ქალთა მზე
ქალური ვიცი ლხინია,
ვაჟ-კაცსა ვეძებ, არ ვარჩევ
პეტრე ჰქვიან, თუ ნინია.

—

ზოგსა კაცსა კაცი ჰქვიან,
ზოგსა კაცსა—კაცუნაო;
ზოგს დედა-კაცს დედა-კაცი
და ზოგს კიდევ—ცაცუნაო.

—

ლომი ლომია, ერთია
ძუ იყოს თუნდა ხვადია.
ქალსა თუ კაცსა ნამუსი,
რომ უნდა ჰქონდეს, ცხადია.

—

ვაჟ-კაცსა ულვაშ გაკრეჭილს
ხატში წილ აღარ ერგების;
გოგოსა, მანდილ მოხდილსა,
ნამუსი დაეკარგების.

—

კაცის სიცოცხლე ზღვასავით
გაქანდება-გამოქანდება!
შესვდება შავსა დღეებსა,
გული იქ გამოაჩნდება.

---

წუთის სოფელმა გამწირა,
და მომაშორა ყველასა.
გული სდუღს, ხმალო, ამოდი!
შენგან-ღა ელის შველასა.

---

თეთრი ცხენი და წითელი
ორივე გირბოლებიათ;
შენი მტერი და დუშმანი
ორივე გიბრძოლებიათ.

---

ბერი-კაცი ვარ, რად მჩაგრამ?
ყველა დაგიწყებს გმობასა.
გაგწირავს თემი, ქვეყანა,
აღარ ვინ გიზამს ძმობასა.

---

ყველა ბუზუნა დაფრინავს,
თავს აწუკეტს, ძალზედ ბზუისო,
მაგრამ, რაც უნდა ეცადოს,
მეთაფლიასთან *) სტყუისო.

---

*) ფუტკარი.

დაბერდი, დავჩაჩანაკდი,
წვერი გამიხდა ჭაღარა,
შინ ქალაბთ მოვძულდებივარ,
გარედ უნდივარ აღარა.

როსტომ სთქვა: ყველა დაფრინავს,
ბუზი, თუ ბუზანკალიო;
ყანას თუ კაცი არა ჰყავს
დარჩება მოსამკალიო.

მარტო ვარ, მარტო ვიმღერი,
არა ვინა მყავს მობანე.
მაისის წვიმავ, წამოდი
გული სევდისგან გაბანე.
ნიავო, წყნარად დაჰქროლე,
ფოთოლს ტაშ დააკვრევინე
სწორის არ გამტანს, უფალო!
ცხვირი სამ წააკვრევინე.

ვაი შენ წუთის სოფელო,
დაგცადე მრავალ-ფერადა;
ხორცო, გალაღე, გასუქე,
სულო გადგიდგე მტერადა!
— სული ვერც იმან მოიგო
ვინც ოქრო დადგა კერადა,
და ქალაბს მწარე ცხოვრება
ტკბილად ვერ აუფერადა.

მთის შვილო, მთაში გაზრდილო,
ხმალს როდის მოგიმშვიდება;
ომში შეხვალ და გამოხვალ
გული არ შეგიშინდება;
სისხლისა ნაგუბარზედა
ფეხი არ მოგიცურდება,
უკან დახევა არ იცი,
სისხლი რო შეგიხურდება.

# ნაამბობი არტემ არარატელისა

## საქართველოს მდგომარეობაზედ მე XVIII საუკ. დამლევს

(მასალა ისტორიისათვის.)

(გაგრძელება *)

ჩემმა სახლის პატრონმა ჩემის გამოისობით ის ვაჟკაცი მიიღო თავის სახლში. ამ დროს ექიმის სიტყვით მე დამო-ბარეს მთარგმნელად ახალად დაჭერილის სპარსეთის ჯაშუშის გამოკითხვის დროს. ეს საეჭვო ჯაშუში იყო ერევანში მცხოვ-რებელი მჭედლის შვილი, რომელიც რამდენჯერმე ვნახე ერე-ვანში კარაპეტასთან, წმიდის გიორგის მონასტერში, წინადაზედ. ის თურმე თავს ავარებდა აქა-იქა, და ბოლოს, როდესაც ომიანობის შიშის გამო სიღნაღში გამოქცეულიყო, დაეჭირათ როგორც ჯაშუში და ძალიან ეცემათ. მე ვიგრძენ მისი მდგო-მარეობა იმდენად, რომ ცრემლი ვერ დავიჭირე და ბევრი ვე-ცადე დამეხსნა მომავალი ტანჯვისაგან. მე ვარწმუნებდი იქაურს ხალხს, რომ ის არის ერთი ერევნელი თავადისშვილი, ძალიან კარგი კაცი, რომ მოვიდა სიღნაღში ყიზილბაშე-ბისაგან თავის გადასარჩენად. მე აქვე ექიმს ვედრებით ვსთხო-

---

* «ივერია» № 9, 1885 წ.

ჰქე, რომ თავის სახლში მიეღო და შემწყობა მიეცა. ექიმმა შეისმინა ჩემი თხოვნა, დაითანხმა იქაური პირველი მამასახლისი იმაზედ, რომ მიეცათ ერევნელისათვის მოსვენება და განთავისუფლებინათ შეურაცხყოფისაგან. რომ დამერწმუნებინა ჩემ ნათქვამში იმის შთამომავლობაზედ მე იმას, შეძლებას და გვარად, პატივსა ვსცემდი და თითქმის ვემსახურებოდი, როგორც ყმა. ექიმმა როდესაც ნახა ჩემი კეთილი საქციელი, მოისურვა ჩემის ამბის შეტყობა ერევნელისაგან და ამისთვის კითხვა დაუწყო: ვისი შვილი ვარ, როგორი შეძლების პატრონი, როგორ ვსცხოვრობდი ჩემს ქვეყანაში და სხვა. ამასთან ექიმმა ყოველისფერი უამბო თავის მხრით, რა განზრახვაც ჰქონდა ჩემ შესახებ. ერევნელმა, რომელმაც უიმისოთაც იცოდა, რომ ექიმსა სურს თავისი ქალის მოცემა და სახლკარის ჩაბარება, შეუშურდა ჩემი ბედნიერება და ჩემის კეთილის მყოფელობის მაგიერი გადამიხადა მით, რომ თუმცა არ იცოდა ნამდვილად, რომელი წოდებისა გახლავთ, მაინც უთხრა ექიმსა, რომ მე ვარ შვილი თვით უკანასკნელი სოფლელი გლეხი კაცისა, რომ მე მოვიმოქმედე იქ ბევრი უწესოება და ბოლოს იქიდამ გამოვიქეცი. ამას დაუმატა, რომ ის ძალიან სწუხს, რომ ექიმი მე, ამისთანა უღირს კაცს, დიდს შეწევნას და წყალობის მონიჭებას მიპირებს თავის ქალის მოცემით, რომ ეს ქალი ამით დაიღუპება. ამ ლაპარაკზე ექიმმა იმ საათშივე შენიშნა, რომ ერევნელი ავგული და უმადური კაცია. ექიმი მოვიდა ჩემთან, ძალიან ფრთხილად მიბრძანა, რომ მეთქვა მისთვის ნამდვილად, რომელი ჩამომავლობისა არის ერევნელი და როდესაც, დავიწყე დამტკიცება იმისი, რასაც მე წინათვე ვლაპარაკობდი, ამ დროს მრისხანედ დამიწყო კიცხვა ტყუილის თქმისთვისა და მითხრა ყოველივერი რაც ჩემზედ ელაპა-

რაგნა ერევნელსა. მე, განაგრძო ექიმმა, შემიყვარდი და აგიყვანე შვილად მხოლოდ პირის პირ მოწონებითა და ახლა არა ვსაჭიროებ შევიტყო, რომელი ჩამომავლობისა ხარ: ეს ჩემთვის სულ ერთია, მაგრამ ეს კაცი კი რომ ნამდვილად კეთილშობილის ჩამომავლობისა ყოფილიყო, რადგან შენ იმასა იმოდენა სიკეთე გაუწიე, შენზედ ცუდი არ უნდა ელაპარაკნა. მტრობით ის არ უნდა ცდილობდეს გამაშოროს ჩემს განზრახვას შენს შესახებ. შემდგომ ამ გვარი შენიშვნებისა კიდევ ძალას მატანდა, რომ მეთქვა ერევნელზედ მართალი, მაგრამ მე სირცხვილით არ მინდოდა მეთქვა და მით გადამეხადნა სამაგიერო და ხელახლად უმტკიცებდი, რომ ერევნელი ნამდვილი თავადისშვილი იყო და ჩემზედ უამბე, როგორც მიცნობდა ექიმი, რო კარ სოფელში მცხოვრებელი, ღარიბი კაცისშვილი და არა უკანასკნელი გლეხის კაცისა. მაინც და მაინცა ექიმს არა სჯეროდა ერევნელის კეთილშობილება და, ეტყობოდა, შეეტყო მიზეზი, რომლის მალითაც მე ვამტკიცებდი ერევნელზედ ჩემს ჩვენებას. ექიმმა მხოლოდ კაცთ მოყვარეობით არ გამოაგდო ერევნელი თავისი სახლიდამ, რადგანაც იმას გამოგდების შემდგომ უეჭველად მოუკლავს არ გაუშვებდნენ.

შემდგომ ამისა მეორე სტუმარმაც (ზემოხსენებულმა კაჭარმა) მომეტებული მიყო ერევნელზედ, ანუ უკეთა ვსთქვა, ნამდვილი მტრობა გამიწია. ის ჩქარობდა თბილისში წასვლას, თავისი სახლობის ამბის შესატყობლად, როდესაც მე სახლში არ ვიყავი, გამოეთხოვა თურმე ექიმსა და წავიდა. მას არაფერი ებადა, გარდა ერთი საჯდომი ცხენისა, რომლითაც მიდიოდა; მეორე ცხენი კი ძალიან გამხდარი იყო და მისდევდა იმის მოჯამაგირეს აკიდებული სიღნაღური რვა ფუთი კაკლითა.

როდესაც დავბრუნდი და შემოვეყარე ვაჭარსა, ვთხოვე ჩემი ფული და მასთან უთხარი, თუ არ მამცემ ფულსა, აქ შევაფერხებ მეთქი. იმას არა ჰქონდა სურვილი ჩემთვის მოეცა ფული და გამსწორებოდა, ამისათვის მითხრა: შენ შესცდები, თუ მათეოსასთან დარჩები, ამიტომ რომ იმან ნახა შენი ნაკლულევანება და ქალის მაგიერად აპირობს თავის მოახლის მოცემას და ღვდლობის მაგიერად გაგამწესებინებს ეკკლესიაში გუშაგათ.—ამბობდა ამას და თან-და-თან მიდიოდა თავის ამხანაგებთან, ანუ თანა მოგზაურებთან, რომელნიც ექვსნი იყვნენ. მე არა მქონდა დრო მომეფიქრებინა ეს საქმე და ვერც მივხვდი ვაჭრის ეშმაკობას. მე ვუპასუხე, რომ შემდგომ ამისა მე არ დავრჩები ექიმთან მეთქი არც ერთი საათი და ვთხოვე ცოტაოდენი შეეცადნა, ვიდრე გამოვეთხოვებოდი ჩემს მასპინძელსა. როდესაც შევედი მათეოსთან და ყოველის უმიზეზოთ უთხარი, რომ მივდივარ მეთქი და მადლობა გადაუხადე სიღნაღში პატრონობისთვის და ყოველივე სიკეთისათვის, ექიმი და მისი ცოლი გაშტერდნენ ამისთანა ჩემს სწრაფს ცვლილებაზედ და თითქმის ცრემლით მთხოვდნენ მეთქვა იმათთვის მიზეზი ასრე უეცრად იმათი თავის დანებებისა. იმათი შეწუხება ჩემთვის მეტად სამძიმო იყო, რადგანაც მე მათ უყვარდი და ჩემზედ ისინი აფუძნებდნენ სრულს იმედს თავიანთ კეთილ დღეობისას და სიხარულისას. ნამდვილი მიზეზის თხრობას ვერიდებოდი, რადგანაც ვეშურებოდი, რომ არ გადავსხლეტოდი ვაჭარსა, და მარტო წამოსვლა კი არ შემეძლო. ჩემი მასპინძლების სიტყვა მივიღე პირფერობათ და ვუპასუხე, რომ შემდგომ წიგნით შევატყობინებთ მეთქი ყოველისფერს; ექიმმა ამაზედ მითხრა: «მეგობარო ჩემო, ვაი თუ ინანო შემდგომ, რო თავს გვანებებ, როგორც ჩვენ იცი

შენს ბედს. «იქნება თქვენც, ბატონო მათეოზ, ინანოთ», უთხარა მე და გამოვედი კარში.—ჩემს მგზავრს ვაჭარს თავისი ამხანაგებით კარგა გზა გაევლოთ და ძნელი იქნებოდა მათი მოწევა, გამხდარი რომ არა ყოფილიყო კაკალ აკიდებული ცხენი, რომელიც ძლივს მიათრევდა ფეხებს. ვაჭარმა დიდის წყრომით მიმიღო და უზრდელად მიბრძანა, რომ იმის მოჯამაგირეს გავყოლოდი. მათ თუშების დაცემისა ეშინოდათ და ჩქარა მიგვიძღოდნენ ცხენებით წინა, მაგრამ ფლონო ცხენი ხშირად გვაჩერებდა ხოლმე. ვაჭარი იყო ჩემზედ გაბრაზებული ფეხების თხოვნისათვის და მცემდა; თავის მოჯამაგირესაც ხმლით შეუბრალებლად სცემდა, მისთვის, რომ დავარდნილი ცხენი არ მოდიოდა. ბარე ათჯერ გადახტა საწყალი მოჯამაგირე, ბოლოს, მარტყოფს რომ მივახლოვდით, მაღლობიდამ დავინახეთ რამდენიმე ცხენოსანი კაცი. მაშინდელი დროს მიხედულობით, უნდა გვეფიქრა, რომ ესენი იყვნენ ავაზაკები. ჩემი ვაჭარი და მისი ამხანაგები იმ საათშივე დაეშვნენ ღრმა ხევში და იქ დაიმალნენ; მე და მოჯამაგირე კი კარგა უკან დავრჩით, ესე სამოც საჟენზედ და გვიხაროდა, რომ ცხენი დაგვივარდა. ჩვენ ვცდილობდით, რომ თუშებს დავენახეთ, მოსულიყვნენ და დავეხსენით ამ მტარვალისაგან. მე ნადვილად მოველოდი უკეთესსა, რადგანაც მქონდა იმედი, რომ გამყიდდნენ, კარგის კაცის ხელში ჩავარდებოდი და ამასთან ვაჭრის ჯავრს ამოგვყრიდნენ. ჩვენდა საუბედუროდ, ავაზაკებმა ჩვენ ვერ დაგვინახეს, და ჩვენი მგზავრები ძალას გვატანდნენ იმათთან ჩავსულიყავით. როდესაც ვაჭარი მიხვდა ჩვენს სურვილს, გაბრაზდა, მოგვვარდა და დაგვიწყო უფრო უარესად ცემა. მხოლოდ სიკვდილის შიშმა გაგვიმართა დაღალული ფეხი.

იმ ღამეს ჩვენ დავდექით სოფელს მარტყოფში, რომ-

ლის მცხოვრებლებიც, როგორც ზემოთა ვთქვით, სუყველანი გახიზნულნი იყვნენ. მეორეს დღეს მივედით სოფელს ლილოში; მაგრამ აქაც ვერ ვიპოვნეთ ვერც ერთი ცოცხალი სული, გარდა მკვდრებისა, რადგანაც ყიზილბაშები ამ ადგილამდინ მოსულიყვნენ. რამდენიც თბილისს ვუახლოვდებოდით, მომეტებულად ვხედავდით ყოველგან დასოცილებსა. ჩვენ ლილოშიაც აგრეთვე ღამე გავათიეთ და მესამეს დღეს საღამოზედ შევედით ავლაბარში, რომელიც სპარსელებისაგან სრულებით გადამწვარი იყო.

ჩვენა ვფიქრობდით გავსულიყავით მტკვარში პირ და პირ თბილისისკენ, მაგრამ მტკვრის ხიდი ყიზილბაშებს, უკან დაბრუნების დროს, დაეწვათ, რომ მდევარი უკანიდამ არ მოსწევოდათ ამისთვის იძულებულნი შევიქენით მოგვეძებნა ღამე სადგომში ადგილი. მთელს გარეთუბანში ვიპოვნეთ მხოლოდ ერთი სახლი, რომელიც გადარჩენოდა ყველაფრის დამდაგავს ცეცხლსა. როდესაც დაღამდა, კახელები, რომელნიც ეძებდნენ გადამწვარ სახლების კედლებში რამე ქონებასა, ჩვენს ბინაზედაც მოვიდნენ. მთელი ღამე კაჭრები საფრთხილეში იყვნენ და გამზადებულნი თოფ-იარაღით დასახვედრათ. ისინი იდგნენ კარებში და ფანჯრებში და ესროდნენ, თუ კი გამოჩნდებოდა ვინმე საეჭვო; მაგრამ კახელები მოშორდნენ მხოლოდ მაშინ, როდესაც გათენდა. ვინ მოკვდა იმათში და ვინ დარჩა, არ შეიძლებოდა შეგვეტყო, რადგანაც მკვდრები ეყარნენ, როგორც სახლის გარეშემო, ისე ყველგან მთელს ავლაბარში. ჩვენ ვფიქრობდით საღამოზედა მოგვეძებნა თავის შესაფერებელი ადგილი, რომ არ დავესხოცეთ და ამისათვის არ შეგვეძლო გაგვესინჯა, ქალაქი როგორ იწოდა. მეორე დღეს დილით, მივედით რა მტკვრის პირზედ, დავინახეთ, რომ თბილისი თით-

მის ყოველის მხრით ზოლამდა. ჩვენ არ ვიცოდით, სად გვე-პოვნა ფონი, რომ გავსულიყავით მტკვარში, და ამისათვის ალალაბედზედ წავედით მტკვრის ნაპირ ნაპირა, გავიარეთ ქუ-ჯია, თბილისის პირდაპირ მდებარე და მივედით სოფელს ავ-ჭალამდინ. ჩვენ აქ იძულებულნი ვიყავით ჩამომხვდარვიყავით და გვეჭმია ცხენებისათვის, რომელნიც დილოდამ სრულებით უჭმელები იყვნენ.

მეორეს დღეს, მასლოობდად მდინარე არაგვისა, სადაც ის ერთვის მდინარე მტკვარს, მე და მოჯამაგირეს დაგვეცნენ რამდენიმე კახნი, წაგვართვეს, გარდა კაკალისა, სუყოველის-ფერი, რაც-კი იყო აკიდებული ცხენზედ, სასძლოობარ, რამდე-ნიმე ბალიში შუათანა ფასისა, სპილენძის ჭურჭელი, სპარსუ-ლი ხალიჩა და სხვა წვრიმალი, მათ შორის ჩემი ტანისა-მოსიც. ისინი ეფიქრობდნენ, დავარდნილი ცხენიც წაეყვანათ, მაგრამ რამდენიმე საჟენი გაიარეს და გაუშვეს. ამ დროს ჩვენი ვაჭრები ჩვენზედ სამოც საჟენის მანძილზედ იყვნენ და გვიმასხრდნენ, რომ ჩვენ უიარაღოთ და ულონოთ დაგვეცვა ჩვენი თავი და არ დავნებებოდით გასაცარცველად. თვითონ კი თუმცა შეიარაღე-ბულნი იყვნენ თოფით, დამბაჩებით და ხმლით, მაინც ვერ გაბედეს ახლოს მოსვლა, თუმცა ჭეშმარიტებით შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ კახელებს თოფისწამალი არ ექნებოდათ. მოგ-ვშორდნენ თუ არა კახელები, ჩვენი ვაჭრები წამოგვეწივნენ და მისთვის, რომ ჩვენ მივეცით ნება ჩვენის გაცარცვისა, იმტელი გვცემეს, რომ ჩვენს სხეულზედ არ დარჩა არც ერთი საღი ადგილი. ყოველივე ამის მიზეზნი თვითონ იყვნენ: ისი-ნი არ მოგვეშველნენ, იქ დაგვყარეს, თვითონ-კი წავიდნენ, გა-ვიდნენ ცხენებით არაგვში და მივიდნენ მცხეთას, უპირველესს საქართველოს ტახტის მონასტერში. ხუთი დღის განმავლო-

ზაში, ვიდრე სიღნაღიდგან ამ ადგილამდის მოვიდოდით, მე სრულებით არაფერი არ მიჭამია, კაკლის მეტი. როდესაც მოვდიოდი სიღნაღიდამ აჩქარებული, სრულებით არ მოვიფიქრე, რომ წამომეღო გზაში ერთი პური მაინც. ჩვენ ვიყავით ძალიან ნაცემნი და მშიერნი, ამისთვის არა გვქონდა ღონე ადგილიდამ ამდგარიყავით და დავრჩით აქ მეორე დღემდის. ვაჭარი, პატრონი ჩემის ამხანაგისა და ჩემი ვალდებული, ისეთი შეუბრალებელი იყო, რომ არ დაგვიგდო ჩვენ არც ერთი კაკალი, თუმცა კარგად იცოდა, რომ იმ ადგილას ჩვენდა საზრდოთ ბალახიც არ იშოვებოდა. დილით ჩვენ მივდიოდით წყლის პირამდინა, მაგრამ ვერსაით ვერ ვიპოვნეთ გასასვლელი ფონი. ამ სახით ჩვენ იძულებულნი ვიყავით, დაქანცულნი ავათმყოფობისაგან და შიმშილისაგან, დავმსხდარიყავით წყლის-ნაპირას და იქ გველოდნა ვინმე გამომქცეულისთვის. შუა დღისას ჩვენ წამოგვაწყდა ერთი ქართველი კაცი. ჩვენ ვსთხოვეთ ფონი გვეჩვენებინა; ამისთვის იმან ფასი გვთხოვა; რადგანაც ჩვენ არაფერი არა გვქონდა, იმითი დაკმაყოფილდა რომ მე გამამართვა უბრალო მიტკლის სარტყელი და ჩემმა ამხანაგმა-კი მისცა თავისი ფესთ საცმელი, თითქმის სრულიად გაცვეთილი. დავებჯინეთ ხელებითა ამ ქართველს კაცს მხრებზედ და გავედით წყალში.—სადაც წყალი დიდი იყო იქ ჩვენ, როგორც იმან გვასწავლა, ვხტებოდით და წინ ვაწვებოდით. ამ სახით გადავედით, ღვთის შეწევნით, მეორე ნაპირას. მცხეთაშიაც სახლები სრულებით გადამწვარი იყო და ყველგან ეყარა მრავლად დახოცილი აქაური ხალხი; ბერები-კი მონასტრიდგან სულ გაქცეულიყვნენ. მონასტრის ეზოში ჩვენ შემოვეყარენით კიდევ სამს კაცსა, რომელნიც მობრუნებულიყვნენ საჭმლის საშოვნელად. ჩვენ გამოვჩხრიკეთ ყველა კუთხე

და ვერაფერი ვერ ვიპოვნეთ, მაწანწალა ბებერი ღორის მეტი. არც ერთს ჩვენგანს არა ჰქონდა რაიმე იარაღი, რომ დაგვეჭირა ეს ღორი. ბოლოს ჩვენ ვიპოვნეთ ერთი გატეხილი ნამგალი, ზოგმა ავიღეთ წვეტიანი ქვა, მაგრამ სულ სუთივენი ისრე ვიყავით უღონონი, რომ დიდის წვალებით ძლივს მოვერიეთ მიხრწნილ პირუტყვს და მოვკალით. თუ არ წყლის პირს ვერსად ვიშოვნიდით ფიჩხსა, მაგრამ შიშით იქ ჩასვლას ვერავინ ჰბედავდა. ამისთვის დავანთეთ წივა და იმაზედ შევიწვით ხორცი. ჩვენი მწვადი, თუმცა უმი და უმარილო იყო, მაგრამ ვინ დასდევდა, შიმშილი ძნელია, და როგორც იყო გავძეხით. ერთი დღე და ღამე გავატარეთ ქათალიკოზის დაუსრულებელ სახლში. წინამძღვარსა და მონასტრის ბერებს, გაქცევის დროს, მონასტრის საუნჯე შეენახათ საიდუმლო ადგილს შიგნით კედელში, რომლის კარებიც იყო გაკეთებული მაღლა და მიფარებული ჰქონდა იმ ნაირივე ქვა, როგორითაც იყო აშენებული დანარჩენი კედელი. როდესაც ბერებს შეენახათ საუნჯე, დიდის სიჩქარისა თუ მოუხერხებლობის გამო, დაეგდოთ იქ კიბე, რომელმაც ანიშნა ყიზილბაშებს, რომ აქ იმყოფება ავეჯი მონასტრისა, და ამიტომ მათ სრულებით წაეღოთ მონასტრის საუნჯე. ( შეიძლება ვიფიქროთ, რომ ბერებს რო არ დაეტოვებინათ მონასტერი და არ გაქცეულიყვნენ, ყიზილბაშები არ შეეხებოდნენ არაფერს, რადგანაც ამათ ძველთაგანვე ყოველთვის აქვსთ პატივის ცემა წმინდა ადგილთა. მეორეს დღეს ჩვენ გავბედეთ წასვლა ტფილისში.—უნდა გაგვევლო ღართის კარზე. აქ მგზავრობა იყო საშიში, რადგან მშვიდობიანობის დროსაც ამ ადგილს არ გამოილევიან ხოლმე თულები. ეს გზა ისე წვრილია, რომ ორი კაცი ერთად ვერ გაივლის და მცხეთიდამ ტფილისამდინ

მიდის ზედ მტკვრის პირზედ კლდიანსა და მთიანს კიდეს ქვეშ. გზაზედ მე მოვიფიქრე ამხანაგებს უკან ჩამოვრჩომოდი, იმ აზრით რომ მინდოდა ტყვეთ წავეყვანე ვისმე, რომელიც თავის სასარგებლოდ მიმყიდდა რომელსამე სომეხს და ამით მომეცემოდა საზრდო და არ მოვკვდებოდი შიმშილით. რადგანაც წერა-კითხვა ვიცოდი, იმედი მქონდა, რომ სადაც უნდა ვყოფილიყავ, კარგად ვიცხოვრებდი.

მრთელი დღე გავატარე მკვდრებთან, რომელნიც აქ ეყარნენ. იქ მთელი დღე და ღამე დავრჩი, მაგრამ ერთი კაციც ვერსად დავინახე. შუადღის წინად, დავინახე ჯგუფად ხალხი, რომელნიც მიდიოდნენ ტფილისის მხრიდამ. იმათ მე მკითხეს, აქ რას აკეთებო. მე ვუპასუხე, ტფილისში წასვლა მინდოდა მეთქი, მაგრამ ამაზედ იმათ მირჩიეს, გავყოლოდი დუშეთისკენ ანანურში, სადაც მიდიოდნენ დასამალავად. იმათ მითხრეს ყეენის მეორედ დაბრუნება და თბილისთან მიახლოვება. მე უარი ვყავი იმათ რჩევაზედ, რადგანაც ვიცოდი იმათგან ლუკმა პურსაც ვერ ვიშოვიდი; თბილისში კი მე მქონდა იმედი, რომ ბაღებში ვიპოვნიდი რასმე ხილსა და ამასთან ჩემს თავს ვასაზრდოებდი: მე ისიც კი მერჩივნა, რომ ჩავარდნილიყავი აკაზაკების ან ყიზილბაშების ხელში, ვიდრე იმათ გავყოლოდი. როდესაცა გავიარე ეს გზა, სადაც შერეხვით ეყარა მკვდრები და მივედი თბილისში ტაფიტალის კარებიდგან, მე ძრიელ შემზარდა, როდესაც დავინახე, რომ დედაკაცები და ყმაწვილები მტრისაგან თავმოკვეთილები ეყარნენ ყოველს ადგილას. ვნახე აგრეთვე აუარებელი დახოცილი კაცის გვამები: მარტო ერთს კოშკში ვარაუდით ათასზედ მეტი იქნებოდა. როდესაც მე ჩავედი თბილისში, ყეენი ჯერ განჯაშიაც არ იქნებოდა მისული, ასე რომ თბილისიდგან იქმნებოდა

სამის დღის სავალზედ. განჯის კარებამდის თითქმის არავინ შემხვედრია აქ მცოვრებთაგანი რამდენიმე ნაწვალები, მოხუცებული და მოუძლურებული ბერიკაცების მეტი, რომელნიც ყიზილბაშებს ეწამებინათ მისთვის, რომ ეთქმევინებიათ, სადა ჰქონდათ შენახული ფული ან რომელიმე სხვა განძეულობა. ქალაქი თითქმის სრულებით იყო დამწვარი, მაგრამ ჯერ კიდევ ბოლავდა; ჰაერი იყო აყროლებული დახოცილი ხალხისგან, რომელნიც სიცხეში ყარდნენ და განავრცელებდნენ მავნებელს სუნსა. ამ შემაძრწუნებელმა სანახავმა მომაღო ღონე და სიმხნევე, რომ გავსულიყავი ქალაქს გარეთ. ესე იგი, განჯის კარებისაკენ, სეიდაბათის გზაზედ ქრწანისში, სადაც მე ვფიქრობდი მეპოვნა ხილი და მენახა ომის ადგილი. მე იძულებული ვიყავი იმავე დღეს დავბრუნებულვიყავ აქედამ უწინდელს გზაზედ, სადაც ბალახს მაინც ვიშოვნიდი საჭმელად. როდესაც ქალაქს გარეთ გავედი, უღონობისაგან მეტი სიარული აღარ შემეძლო და ამისთვის იქ ცისქვეშ გავატარე დანარჩენი ნაწილი დღისა და ღამეც. მეორე დღეს, როდესაც მე უკანვე მივდიოდი მცხეთაში, ვჭამდი ბალახსა, პანტა პუნტას, რასაც ვპოულობდი გზაში და დიდის გაჭირვებით მივედი მცხეთაში იმ დღეს საღამოზე. გულმუცელი ამამეხრაკა, ისე რომ ძლივსღა შეიძლებოდა კაცს გაეგონა ჩემი ხმა. მცხეთაში ვნახე რამდენიმე უბინაოდ მოსიარულე თბილისელები და მეორეს დღეს იმათ გავყევი დუშეთში. ამ მგზავრობის დროსაც ბალახისა, მისი ძირების და კუნელის მეტი არა მიჭამია რა. ჩემი თანამგზავრები მტრულად, ნადირივით მიყურებდნენ, რადგანაც ყიზილბაშის ქვეშევრდომი ვიყავი და, როგორც შევნიშნე, იმათ სურდათ კიდეც ჩემი მოკვლა. ერთი ღამე დავრჩი დუშეთში და მეორე დღეს საღამოზედ მარტო მივედი სო-

ფელს ანანურს, რომელიც მდებარეობს არაგვის პირზედ. ჩემთვის ძალიან სამძიმო იყო ამ ადგილებში მგზავრობა, რადგანაც იქაურმა სომხებმა არ იცოდნენ სომხური ენა და ლაპარაკობდნენ ქართულად. ჩემი ყიჩილბაშურად გამოჭრილი ტანისამოსი ყოველთვის უბედურებას შემამთხვევდა ხოლმე. ანანურში სომხები იყვნენ ხუთმეტ ოჯახსამდინ და ჰქონდათ ძალიან პატარა ეკკლესია, რომელშიაც ძლივს შეიძლებოდა მოთავსებულიყო ორმოცდაათი კაცი. მე, მართალია, თითქმის ყოველივე ღონე მიხდილი ვიყავი, მაგრამ მაინც ძალა დავიტანე და იმ ეკკლესიაში შევედი. ის არაფრით არ იყო დაკეტილი და მხოლოდ ერთი ცხავი ჰქონდა მიფარებული, კარების სამაგიეროდ. რაც შეიძლებოდა გავწმინდე მტვერი ეკკლესიაში, დავდგი თავთავის ადგილზე ზოგიერთი ეკკლესიის სამკაული და ამასთან დავიწყე გულმხურვალედ ლოცვა. უნდა გავსტყდე, მე იმისთვის უფრო ვლოცულობდი ასე გულ-მოდგინედ, რომ შემენიშნინებინა იქაური სომხებისთვისა ჩემი თავი და მით მეშოვნა ლუკმა პური. შემოვიდა ეკკლესიაში ორი სომეხი, მაგრამ მხოლოდ ერთმა იმათგანმა იცოდა სომხური ლაპარაკი და ისიც ძალიან ცუდად. იმან გამომკითხა, საიდამა ვარ მე, ვიცი თუ არა წერა-კითხვა და სად მისწავლია? მე ვაკმაყოფილებდი მის ცნობის მოყვარეობას და ღონე მოკლებული ვჩქარობდი შემეტყობინებინა, რომ ვიცი ძალიან კარგად წერა, კითხვა და სრული საეკკლესიო წესი და სამსახური. შემდგომ ამისა იმან გამომიცხადა, რომ მღვდელი არა ჰყავდათ, მკითხა, მსურს თუ არა მათი მღვდლობა; მეც გამოუცხადე სრული ჩემი თანხმობა ყოველს მათ სურვილზედ, მე აღარა მქონდა ღონე მეტი ლაპარაკისა. ფეხლა ასო მითრთოდა სისუსტისაგან და ძლივსღა ვიდექი ფეხზედ, ეს ორი სომეხი იყვნენ ღვიძლი ძმები და ცოლშვილი ჰყავან-

დათ. მე წამიყვანეს თავის სახლში და ფიქრობდენ, რა ეჭმიათ, რადგანაც გაიგეს, რომ ცამეტის დღის მშიერს ხუთი დღე მეჭამა მხოლოდ კაკალი და რვა დღე—მარტო ბალახი, გამო-კეთეს ძალიან თხელი წვენი, რომელიც თუმცა სრულებით ცი-ვი იყო, მაგრამ ორი კოვზი შევსვრიტე თუ არა, მაშინვე პირის კანი ამძვრა და მსწრაფლად დავკარგე ძალა და ღონე, შემიწუხდა გული და მეორე დღის დილამდის უგონოდ ვიყავი. ჩემი მასპინძლისაგან შეიტყეს ჩემი ამბავი ყველა იქა-ურმა სომხებმა, მოდიოდნენ ჩემს სანახავათ, მეალერსებოდნენ და ამბობდნენ, რომ იპოვნეს ძვირფასი განძი. ჩემი მასპინ-ძლის დედამ განსაკუთრებით შემიყვარა და ცდილობდა, რომ ეჭმია ჩემთვის რაც შეიძლება უკეთესად, ასე რომ რამდენიმე დღის განმავლობაში მე ძალიან მოვიმჯობინე. აქ ჩვენ შე-ვიტყეთ მოსულებისაგან ყეენის წასვლა განჯიდგან სპარსეთ-ში. ეს ამბავი რომ გაიგეს, თბილისიდამ გახიზნული დუ-შეთისა და ანანურის ტყეებში ხალხი გამოვიდა სოფლად. მე აქ ვიყავი მოწამე ისეთ უბედურ შემთხვევათა, რომ ჩემი საკუთა-რი უბედურება სრულებით დამავიწყდა. მრავალნი მოხუცებულ-ნი და ყრმანი სუყველა წოდებისა, ანანურში მოგროვილნი, ატარებდნენ დღესა და ღამეს ცის ქვეშ, საძაგელ ამინდში. არა ჰქონდათ არც ტანისამოსი, არც საზრდო და სტიროდნენ თა-ვის ბედის წერას, სახლობას და ნათესაობას. მამამ დაჰკარგა შვილი, შვილმა მამა, ნათესავებმა ერთმანეთის ამბავი არ იცოდნენ, თუ ვინ სად იყო და რა მოუვიდა, ამისთვის ყოველის მხრიდამ ტირილი და მწუხარება ისმოდა. როდესაც შევიტყე, რომ მეფე ერეკლე იმყოფება აქ, ანანურში, მაშინვე განვიზრახე იმის ნახვა. ამისათვის წავედი ერთს დილას იქა-ურს ქართულს ძველს მონასტერში, სადაც უთუოდ ვნახავდი

მეფეს. ეს მონასტერი ძალიან პატარა იყო და თითქმის სრულებით დანგრეული. როდესაც მივუახლოვდი მონასტერსა, დავინახე. ერთს დაქცეულს სენაკის კუთხესთან კაცი, რომელიც ცხვრის ტყაპუჭ წამოსხმული კედლისკენ პირმიქცეული იჯდა, მის მახლობლად იდგა მეორე კაცი ძალიან მოხუცებული. მე ვკითხე ამ მოხუცებულსა, ვინა ზის კუთხეში მეთქი? იმან მიპასუხა სომხურათ გაგრძელებითა და ღრმა ამოოხვრით: «ეს ერთს დროს ძლიერ სახელ-განთქმული იყო: მთელს აზიაში თამაზყულის ხანის დროდამ დაწყობილი, მაგრამ დიდს პატივსა სცემდნენ. წარჩინებულად ჰმართავდა თავის ხალხსა. მამასავით ცდილობდა მისი კეთილ-დღეობისათვის, დაცული ჰქონდა მთლად თავისი სამეფო თითქმის ორმოცი წლის განმავლობაში, მაგრამ მოხუცებამ დაასუძლურა და მოუღო ბოლო. რომ შვილებს მისი სიკვდილის შემდეგ განხეთქილება და ურთიერთს შორის ბრძოლა არ მოხდომოდათ და ამით ხალხი არ შეწუხებულიყო, მან გაჰყო თავის სამეფო, მაგრამ უბედური მეფე ერეკლე ძალიან შესცდა. თამაზ-ყული ხანის ნასაჭურისალი მოვიდა ამ ჟამად მოხუცებული ერეკლეს დასამარცხებლად; ამ დროს ღვიძლმა შვილებმა უღალატეს მამას და არ მოიწადინეს სამშობლო ქვეყნის დახსნა, რადგანაც, არც ერთ მათგანს არ უნდოდა თავისი ძალით დახმარებოდა დანარჩენ ძმებსა. ერეკლე იძულებული იქმნა, რომ ეთხოვა შემწეობა იმერეთის მეფისთვის, მაგრამ რახან თბილისში ყოფილხარ, თვითონ ნახავდი იმერეთის ჯარების შესარცხვენს საქციელს. ერეკლე ერთი მუჭა ხალხით ეომებოდა ასი ათასს კაცსა, მაგრამ დაჰკარგა ტახტი იმ მიზეზით, რომ შეუბრალებლად დატოვებული იქმნა თავისი შვილებისაგან, და მერე ვის მისცეს შვილებმა მამა მსხვერპლად?! იმ საჭურისს, რომელიც უწინდელ დრო-

ში, როდესაც ერეკლე მთავარ-სარდალი იყო სპარსეთისა, ფეხ-თა მტვრად უხდებოდა მას. დაბნელდა ერეკლეს დიდი ხნის დიდება, მისი სატახტო ქალაქი ეხლა მიწასთან გასწორებუ-ლია, ხალხის კეთილ-დღეობა დაღუპვილი. აი, ამ კედელთან შენა ხედავ იმ დიდებულს საქართველოს მეფეს, რომელიც უბრალო ტყაპუჭ წამოსხმული არიდებს ამ დაკრდომილს ქვე-ყანას პირსა. კარის-კაცთა და ყველა მეფის მახლობელ ქვეშე-ვრდომთა, რომელნიც მისი მოწყალეობით—სარგებლობდენ და ფუფუნებდნენ უხვად, დასტოვეს მეფე. მხოლოდ მე, უკანასკნელ სომეხთაგანს, შემხვდა ამისი ხლება. მე ვემსახურებოდი მეფის მზარეულსა და ვსაზრდოებდი იმათი დარჩენილი ნამცეცებით. მე მხოლოდ ერთმა არ დავივიწყე, რომ ეს ნამცეცები ეკუთნო-და მეფესა. მარტო მე არ დავაგდე ეს უბედური მეფე; მე ვი-ცავ ამასა, ვთხოულობ მოწყალებას, ანუ სხვა გვარად ვშოუ-ლობ ამისთვის პურის ლუკმას. ა ეს კეთილი მოხუცებული, როდესაც მიამბობდა მეფის ამბავსა, მწუხარე ცრემლით სტი-როდა მის უბედურებაზედ, როგორც ერთგული მონა. მოწი-წებით პატივისცემით შევხედე ერეკლეს, მსურდა მუხლი მო-მეყარა და მუხლზედ მეკოცნა, მაგრამ ვერ გავბედე, მით უფრო, რომ მისი მოსამსახურე სომეხიც არ მიმიშვებდა მეფესთან, რადგან ის შეწუხდებოდა, რომ შეეტყო თავისი ვი-ნაობის გახმიანება. მისმა ამ სახით დამცირებულს და მეტად უბედურს მდგომარეობაში ნახვამ უნებლიედ მომაგონა დიდი ჩემის თავ-გადასავალი, ეკლესიები და მონასტრები არარატის მთაზედ; სული შემიძრწუნდა და ვსთქვი: ძლიერნო ამა ქვეყნი-სანო! აი თქვენი დიდება! ნაყოფი თქვენის მოქმედებისა.... შეურვეთ, შეშინდით და ისწავლეთ! მხოლოდ განგება ღვთისა არის ძლიერი და უცვალებელი. მხოლოდ ისინი, რომელთაც

აქვთ იმედი უფლისა და რომელნიც დადიან მისს გზაზედ, არ წარწყმდებიან. მწუხარებით ამევსო გული, უხვად ცრემლს ვღვრიდი უბედური მეფის ბედზედ. მთიულეთიდამ და აგრეთვე სტეფანწმინდიდამ მოსული ხალხით სრულებით აღივსო წმინდის სტეფანის ძველი ქართული მონასტერი, ასე რომ მე ძლივს გავატანე ხალხსა, რომ შევსულიყავი სახლში. ჩემდა გასაკვირველად, მე შევხვდი აქ ჩემს მასპინძელთან იმ ვაჭარს, რომელსაც გამართა ჩემი ფული. იმან არც ავად გამცა ხმა და არც კარგად, მხოლოდ უწინდებური უფლებით გამგზავნა იმ დღესვე თავისი მიხრწნილი ცხენით ტფილისში, რომ მომეძებნა იმისი სახლი, გამესინჯა იმისი სარდაფი, სადაც იმისმა ცოლმა შეინახა თავისი ქონება. მერმე უნდა წავსულიყავი ქრწანისში, იმის ბაღში და იქიდამ წამომეღო ღვინო, რომელიც ყმების მოსვლის წინათ დაეფლნებინა, მაგრამ დარჩენოდა ყურ-უგდებელი. მე გავატარე ამ ყაიდად ანანაურში რვა დღე. იმის მაგიერად, რომ მოვსულიყავი ტფილისში ერთს დღესა, მე მოუნდი სიარულს სამი დღე, რადგანაც ცხენი ისე სუსტი იყო, რომ ძლივს მიათრევდა ფეხებსა.

ტფილისში ვაჭრის სახლი დამხვდა დანგრეული, და იმისი სარდაფი გადათხრილი, ქონების მაგიერად ვპოვე ორი მოკლული კაცი; ბაღშიაც ვერაფერი ვპოვე, რადგანაც მტერმა უთუოდ ღვინოც სწრაფად იპოვნა. რადგანაც თითქმის მთელი ქალაქი იყო დაქცეული და გადამწვარი, ამისათვის ვაჭრის სახლის პოვნა შევიძლე გარეგანი ნიშნებით. იმ სახლის ახლოს მდებარეობდა ეკლესია, რომელიც მე ვიცოდი უწინ. როგორც თვით ტფილისში, აგრეთვე ქალაქს გარეთაც მავნებელი ლეშის სუნი დიდად გავრცელებული იყო. ქრწანისში მე შემომეყარნენ ყაზახბორჩალოს ხალხი, საქართველოს ქვეშევრდომნი. შამშაინობის

დროს თავისი ცოლ-შვილით დასიზნულიყვნენ და ეხლა თავიანთ ძველს ბინაზე მიდიოდნენ. ერთმა ყაზახ-ბორჩალოელმა კაცმა ვაჭრის ცხენი იცნა თავისათ; ეს ცხენი მოეპარათ იმისათვის ოთხი თვის წინად, ამაზედ უმოწმეს ყაზახ-ბორჩალოელებმა. იმათ უნდოდათ ჩემი გათოკვა და თავის ქვეყანაში წაყვანა, რომ იქ გადაესყიდვინებინათ, როგორც ქურდისათვის. მე ძლივს ძლიობით დავარწმუნე, რომ აქ დანაშაული არა მქონდა-რა. ავუხსენი აგრეთვე ვინცა ვარ და რისთვის ვიყავ ქალაქში გამოგზავნილი. როდესაც მე ყაზახებს თავი დავაღწიე, მიხაროდა, რომ გადავრჩი გამოუსადეგარ ცხენსა, რომლისთვისაც მივიღე იმდენი უსასტიკესი ცემა-ტყეპა. წავედი ბაღებში. მე მსურდა ხილი დამეგემოვა, რომ ცოტაც არის მამებრუნებინა შიმშილი-საგან მისუსტებული გული. ანანურიდამ წამოსულს მე თან არაფერი არა მქონდა-რა, გზაში უწინდებურად ვსჭამდი ბალახსა და რადგანაც თითქმის შეჩვეული ვიყავი შიმშილს, პირველ სამს დღეს შიმშილი აგრე რიგად არ მაწუხებდა. განჯის გარის მახლობლად, თათრის მეიდანზე, ეკლესიასთან ერთი სახლი იყო, რომელიც დაწვას და დაქცევას გადარჩენოდა. იმ სახლში დასვენება განვიზრახე და დარჩენა მეორეს დღემდის; მაგრამ, როდესაც შევედი, ვნახე ტიტველა კაცი, რომელიც ეგდო მიწაზედ და ძლივს სუნთქავდა. ის კაცი ჩემი ნაცნობი გამოდგა; მე ადრევე ვურჩივე მას წასულიყო სადმე თბილისიდგან და ამ ამბავს მოშორებოდა. ის იყო დაჭრილი და ძლივს გამაგებინა, რომ რამდენიმე დღეა, რაც მშიერია. მე მივეცი ხილი და ვურჩიე, რომ როგორმე ბაღებამდის მისულიყო, მაგრამ ამ სასაცილო კაცმა მითხრა, რომ ავაზაკებისა მეშინიანო, თითქო კიდევა ჰქონდა რამე, რომ ავაზაკებს წაერთმიათ და ან ვითომ შეიძლებოდა ამაზედ უარესი მოსვლოდა რამე მე ავუხსენი,

რომ იმისი შიში იმდენადვე უსაფუძვლოა, რამდენადაც მისი წინანდელი იმედი ყეენის დამარცხებისა. იმან მითხრა სპარსელების და ყიზილბაშების ურჯულო და შეუბრალებელი ქცევა ქალაქში. იმისი სიტყვით ჩვილ ძუძუ-მწოვარ ბავშვებს და მოზდილებსაც ცალ ფეხში ხელს წაავლებდენ და შუაზედ გააჩეხდნენ თვითო დაკვრით, რომ გაეგოთ კარგად უჭრიდათ ხმალი თუ არა. იმის აზრით, ამოდენა უბედურების მიზეზი იყო მეფის ერეკლეს ცოლი (დარეჯან დედოფალი, დადიანის ქალი), რადგანაც იმ დროს,—ამბობდა დაჭრილი, როდესაც მეფე ერეკლე თავისი გულადი ჯარით იბრძოდა კრწანისში, თბილისის მცხოვრებთ განზრახვა ჰქონდათ გაემაგრებინათ ქალაქი, მაგრამ ნახეს, რომ დედოფალმა დასტოვა ქალაქი და გაიქცა მთაში; ამის მიზეზით ხალხი შეშინდა, ქალაქის დაცვის აზრს დაანება თავი და გაიფანტა სხვა და სხვა მხარეს თავის საშველად.»

დავანებე რა თავი ამ დაჭრილს, მე მოვიაზრე უშიშროებისათვის მეპოვნა ისეთი სახლი, სადაც იმყოფებიან ქურდები, რომელნიც ღამე ეძებენ ქონებას პატრონებისაგან დატოვებულს სახლებში. ეს ქურდი ხალხი იყვნენ აქაური ღარიბ-ღატაკი მცხოვრებნი, მათ იცოდნენ ყველა მდიდარი ოჯახები და ამით კარგა მდიდრდებოდნენ. მე ვიპოვნე ეკლესიის გვერდზედ სახლი, უკანასკნელი ეკუთნოდა ერთს სახელოვან კაცს, სარქის-აღას, რომელმაც აღაშენა ეკლესია და სახლიც. ეზოში შევხვდი სრულიად მოხუცებულს დედა-კაცს, რომელსაც ოჯახი ამოსწყვეტოდა და ემსახურებოდა ამ სახლში იმათ, ვისაც მე ვეძებდი. უბედურებაში გამოცდილს შევებრალე და მიმიღო თავის მფარველობის ქვეშ. ამ სახლში სრულიად უშიშრად გავატარე ოთხი დღე და ღამე, რადგანაც ჩემი მფარველნი იყვნენ ავაზაკთა ხუ-

ლობისა. დავდიოდი ქუჩებში და დანგრეულ სახლებში, ვაგროვებდი აქა-იქ გაფანტულს წიგნებსა და ვუზიდავდი იმ ბებერს შესანახავად. საზრდოს საშოვნელად გავდიოდი ვერაზე და იქ წისქვილებში ვაგროვებდი ფქვილის მტვერს და თავლებში ქერსა, ეს ბებერი მაცხობდა პურსა. ერთს იმ წისქვილთაგანში, სადაც მე დავდიოდი, შემთხვევით შევხვდი კიდევ ერთს უბედურს ჩემს ნაცნობს. თავრიზიდგან თბილისში მოსულს ჩვენს ქარვანში იყო ერთი სამოც-და-ათის წლის კაცი ვაჭარი. ამას შეერთო ცოლი თბილისში, ეცხოვრნა იმასთან, აქაურის ჩვეულების დაგვარად, ერთი თვე და, ცოლის სიღარიბისა და უმზითვობისგან გაჯავრებული, წასულიყო სხვა და სხვა ქვეყნებში საწოწიალოდ; ასე გასინჯეთ მისირშიაც (ეგვიპტე) კი ყოფილიყო სიმდიდრის საშოვნელად. თითქმის ორმოცი წლის შემდეგ დაბრუნებულიყო, ეპოვნა თავისი ცოლი, რომელიც ყმაწვილი დაეგდო და ახლა კი, რასაკვირველია, ბებერი დახვედროდა. ამ ქალს ძალიან სამართლიანად გამოეგდო იგი ლანძღვით და უარი განეცხადებინა როგორც იმის სიმდიდრეზედ, აგრეთვე იმისი დახავსებული გულის ვნებაზედ. თითქმის ნახევარ საუკუნის იმისი შრომა იმით დაბოლოვდა, რომ გაცარცული, დაჭრილი და ნაწამები ვიპოვნე წისქვილში. ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, მიცნო მე და მთხოვა, მაჭამე რამეო. მაგრამ მე ვერაფერი ვერა ვაჭამე რა და ვგონებ მოკვდებოდა იმავე დღესა.

(შემდეგი იქნება)

# სცენა.

(სოფლის ცხოვრებიდამ)

ეჰჵ, დაღუპვით დავიღუპე და დავნელდი. ი დალოცვილმა-ღმერთმაც ჩემზედ მოიცალა: ი თქვენი ნათლი დედა, რო გა-დამეცვალა ალებაში, ი ჩემი საცოდავი პელუაი, იმაზე მოგახ-სენებთ. სამ-სამი ცოლის შვილი ყელზე მკიდია. არ ვიცი, ღმერთმანი, რა ვყო. ამ დღე შემომტირიან:

— მამა, მამილოვო, ჩვენი დედა რა უყავიო! იმ, ჩემთვი-ნაც კარგია მეთქი, რომ იყვეს, მაგრამ ვინ მამაქვავებს მეთქი (ტირის). ეჰჵ, დაგელოცა, ღმერთო, სამართალი. ერთი გა-მამღარიყავ მაინც იმის ცქერითა... მერე ი დალოცვილმა ისე-თი პურის ცხობა იცოდა, რომ მგვდარსაც ნერწყს მოჰგვრი-და... ნჰ, ნჰ! (გული უჯდება). რო კვდებოდა ი ჩემი პელუა, თითი დამიქნია და მითხრა: სოსე, (ტირილით) ე ბავშვებს ყური უგდე, უდედობა არ შეამჩნევინოვო... მერე გული ატი-რა იმასაცა და მითხრა: შე საწყალო სესევო, რადა გეშველება, პაიჭეს ვიღა მოგიქსოვსო... ნუ დადგები ეგრე, ცოლი შეირ-თეო... (ტირის).

იმ დღეს, დიდ-ხუთშაბათს, ორ-ღობეში მოვდიოდი გულ-ხელ დაკრეფილი. ჩემი უცროსი გოგოს ნათლია შემხვდა. აი ერამიანთ მაქსუაი, გამაჩერა და მითხრა: ბიჭო — შვილოვო,

ცოლი ვის არ მოუკლომიათ, რო თან არ ჩაჰყოლიათ. რაზე იკლავ თავსაო. შეირთე ცოლიო. მე თავი ჩავკიდე, მეოცა მაქსუტას სიტყვები,

— კაცო, არ გესმის შენა, ჰა ე?

— რა ვიცი, რა ვიცი, რა ვიცი, შენი ჭირიმე. მაგრამ ეს სიტყვები მერე კი გულში ჩამწვდა; გული როგორღაც ამიფუ-დრუკდა. გავჩერდი, მინდოდა მაქსუტას კიდევ გაემორნა.

— რო გაჩუმდი, ჩემო ძმაო, გეტყობა, რო გული გაძლევს.

— ეჰ, ჯანი გავარდეს მეთქი. დავყაბულდი. ღვთი წინაშე (ღიმილით) ი ჩემ უბედურ პელუაზე ნაკლები ქალი კი არ არის-ასეთი მოჭრილი გოგონაა, რო შენი მოწონებული (იღიმე-ბა). რა ვქნა, შენი ჭირიმე, ნუ დამძრახავთ, სული ლუკმის მამწოდებელი აღარა ვინ მყავდა. ეხლა, შენი ჭირიმე, (ხრეჭით) საკვირაოცხოვლოდ ჯვარს ვიწერ ბერიძიანთ ქეთევანზე, და თუ თქვენი ნებაც იქნება, ქორწილში მეწვიენით.

ს. მგალობლიშვილი.

# სახალხო ლექსები.

(შეკრებილი ს. მგა—საგან)

## მონადირე და თოფი

თოფო, სიათავ, გემდური
უხორცოდ გაშვებისათვის;
გაგტეხნე ტყვია-წამლითა,
წავიღე ნადირისათვის,
ხარ-ირემს დაგაცემინე:
რად არ გავარდი, რისათვის?
უნდა მღვდელთან წაგიღო
სახნისზე დადებისათვის.

## თოფი.

მე ერთი დანაშაული
შამინდე შენი დღისათვის.
გამტეხე, ეხლა წამიღე,
წავიდეთ ნადირისათვის.
ამდენს დავიხოც ნადირსა,
ღონობდე წაღებისათვის:
ჭალაში ღორი მოვკლა

# ლექსები

იმ სატიალო მგლისათვინ,
გამაძღარიყოს ლეშითა,
მოძუნძულებდეს წყლისათვინ.
ნეტავი წინ შემახვედრა
ი ჩემი ნატვრი დღისათვინ;
საპირო-წამლე ამეწვას,
გადმეგდოს ყაჯარისათვის.

---

მოჯამაგირის საქმესა
ადვილად იტყვის ენაო:
დილით რო ქალაქს გააგდონ,
საღამოს გორისკენაო.
«თუ კურდღელი დაიჭირო,
ხორცი მე, ტყავი შენაო;
თუ რომ მელა დაიჭირო,
ტყავი მე, ხორცი შენაო.»

---

ეხლა მოვა გაზაფხული
დედა-მიწის გამხარებელი;
ტყე-ველი როცა აყვავდა,
მინდორს დედო სხვა ფერი.
სოფლის ბოლოს რო მოვედი.
გამოსულა საყვარელი:
შავხედე და შამომხედა,
ტურფად დამიქნია ხელი.
საწყინარმა მხარმა მითხრა:
ღმერთო, შენ კეთილი ჰქენი!

---

ძებეს რო ქალი დავიკარგე,
განჯას თათარსა ვეძებარო;
მაცვია სიასამური,
მაშიეებზე გდებვარო.
ცხრა ძმანო, ცხრანო ბიძანო!
სულ ჩემო მოსადევარნო!
მოგრიცხეთ თითო თუმანი,
დამიხსენთ, თქვენი ტყვე ვარო.

კარებზე შეშა გიგდია
უღელი ხარის სათარი,
თუ თქვენი ქალი კარგია,
რად არის გასათხოვარი.

ეხლანდელი პატარძლები
სახლსაც არ დაგვიგვიანო;
არც დაგვირეცხენ ჭურჭელსა,
გოვზებს არ დაგვითვლიანო;
თითო ბალღი გაგვიჩნდება,
ტუტუნით გაგვიზდიანო.
გომელებო, თქვენი ნინო
ნუტა როგორ მოიქცევა;
ადგომაზე კეტი უნდა,
დაჯდომაზე სულ იქცევა.

# სამეგრელოს სათავად-აზნაურო სკოლის კურთხევა

("ივერიის" კორესპონდენცია)

დ. ძველი-სენაკი. 27-ს ოქტომბერს ძველ-სენაკში აკურთხეს ახლად აშენებული სახლი, რომელშიაც ამას შემდეგ მოთავსდება სენაკში ამ ორის წლის წინად გადატანილი ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლის განყოფილება.— თუმცა ავდარი იყო იმ დღეს, მაგრამ ხალხი მაინც დიდ-ძალი დაესწრო. პარაკლისი გადაიხადა ყოვლად სამღვდელო ბესარიონ ეპისკოპოსმა. ახალ-გაზრდა ბლაღოჩინმა, მამა ბერიძემ მიჰმართა საზოგადოებას, მასწავლებლებს და მოსწავლეებს გრძელის სიტყვით, რომელიც დააბოლოვა ოცდახუთი მანეთის შეწირვით თავის მხრით. პატივ-ცემულმა დ. ი. ყიფიანმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელსაც მთელი საზოგადოება, ქალი, თუ კაცი, ყველა სიამოვნებით უგდებდა ყურს.— შემდეგ სასწავლებლის ზედ-დამხედველმა ბ. ს. ყიფიანმა, რომელსაც, უნდა აღვიაროთ, სამაგალითოდ მიჰყავს ყოვლის მხრით სკოლის საქმე, ანგარიში

წარმოადგინა და სხვათა შორის სთქვა: «საზოგადოდ მეგრე-ლები, სადაც ქართველობა, როგორც, ენით, ისე მოქმედებითაც უფრო შენახულა, დიდს თანაგრძნობას უცხადებენ სკოლის საქ-მესო. უგანათლებულესმა მეგრელის თავადმა შემოსწირა რამო-დენიმე ქცევა მიწა და ასი მანეთი ამ ხანად და მომავალშიაც გვპირდებაო, ერთმა ვაჭარმა, რომელმაც ეს სახლი ააშენა, დღეს ასი მანათი შემოსწირაო. ერთის სიტყვით, ყველა თანა-მგრძნობია და ეჭვი არ არის, რომ საქმე სამაგალითოდ წავაო. მას შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა, იქ დამსწრე, «წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების» წევრმა აკ.—შემდეგ პატივ-ცემული სტუმრები მიიწვიეს მოთავის მომზადებულ ოთახში. იქ წარსდგა ბ. დ. ყიფიანის წინ, ადრიდგანვე ცნობილი, ბახვა ფაღავა, რამდენიმე დარბაისელ პირებით და სახალხოდ წარმო-სთქვა მთელი მეგრელიის გულის-ტკივილები.

ორ საათზე სტუმრები მიიწვიეს სუფრაზე და გაიმართა ქართული ლხინი სიმღერებით და სადღეგრძელოებით. ბატ. ნიკო დადიანმა წარმოსთქვა ჩვეულებრივის ტკბილ-ქართულო-ბით მოხდენილი სიტყვა, დიდ საგულისხმო საზოგადოთ; მან გამოიწვია ბატ. გ. მაჩაბლის მხრით საკადრისი და საგრძნო-ბელი პასუხი. ბატ. ბახვა ფაღავას ქება შეასხა აკაკიმ, რო-გორც ბეჯით მუშას და თანა-მგრძნობს ყოველ კეთილ საზო-გადო საქმეთადმი. — მაზრის უფროსი ბ. ბებურიშვილიც დაესწრო და, როგორც შეჰფერის მის თანამდებობას, სწორედ ისეთი თანა-გრძნობა გამოუცხადა სკოლას და, იმედია, რომ იმ გვარსავე თანა-გრძნობასა და შემწეობას შემდეგშიაც არ მოუშლის. ბოლოს საზოგადოდ დალიეს მეგრელიის თავა-

დის სადღეგრძელო. დეპეშით გამოუცხადეს მადლობა და სთხოვეს მიეღო იმ სკოლის «საპატივ-ცემულო ზედამხედველ-მზრუნველობა».

---

# ႱႨႫႶႤႰႠ.

ღამით ქნარზე ჩემი ნინა
მთვარეს შუქში მოუფენია,
ნეტავი იმას შემყარა,
იმის გულთან მომცა ბინა.
ძნელი არის სიყვარული,
გონიერსა შეიქმს ხელად;
ცხოვრების გზას მთლად დაუბნევს,
არბენინებს მთა და ველად.
სიყვარულის სხივი მომხვდა,
გულსა დაღი დამაჩნია;
ნინას ეშხი მწარედ მტანჯავს,
ციხესავით გარს მარტყია.
ვერ მაამებს და არც მინდა
გაზაფხულის ვარდის კონა;
ნეტამც მომკლა და მე ერთხელ
ნინას თეთრ-მკერდს ჩამაკონა...

Ⴈ. Ⴖ.

1385 წ.

# დიდ ზალაში

(პროვინციალური სურათები)

მეჯლიშია. დიდი კაცის ზალა გაჩაღებულია; ქუჩიდამ ფანჯრებს ხალხი მისდგომია და შესტრიალებს; ზალაში ჩრდილები ირევიან; ხალხი ამათ აყოლებს თვალს.

ისმის მუზიკის გრიალი —ვალსს პროწიალობენ. ფაიტონი ფაიტონზე, კარეტა კარეტაზე მოადგა ზალის დერეფანს. ქალები, მკიროვასს ფარჩებში ჩამსხდარნი, მარდად ფრინდებიან კარეტებიდამ და დაბუზარავებულნი მითამაშებენ კიბეზე, მითამაშებენ გულის ცმუკვით, რომ მალე ჩაერივნენ «პროწიალობაში».

აგერ გაისმა ჩვენი ტკბილი დუდუკის ხმაც. ქუჩიდამ მაყურებელს ხალხში ხმაურობა და არევ-დარევა ჩავარდა. დუდუკმა ესენიც გამოაფხიზლა; ყველა სმენად და ყურებად გარდაიქცა: ზოგი ქვაზე დგება, ზოგი თითის წვერებზე, რომ დაინახონ ლეკურის თამაში; ქონდრის კაცები კი კმაყოფილდებოდენ მხოლოდ ჭერზე ჩრდილების ციმციმის დანახვით.

ამსებით აიმსო დიდი კაცის დიდი ზალა მშვენიერის სქესით. არც ლოველასები აკლდნენ: მოცლილი ხალხია, ვინ არ წავა; მერე ისიც, დიდი კაცის მეჯლიშში, სადაც მთელი ქალაქის ლამაზი, პაწაწა ფეფებ—თათებიანი იქნებიან თავ-მოყრილ-

ნი, სადაც ქალების მდევარი არა ერთხელ ათრთოლებს და ათყრყოლებს გულს ფურცელივით, რომელშიაც ნატვრების ნაპერწკალი ისარივით გაუსლივანებთ ხოლმე; სადაც დიდ-კაცს პატარა კაცუნები ხელს ჩამოართმევენ და იმის ღაბუა ქალს გამოელაპარაკებიან და მათ გულს დაიტკბობენ.

ქალები ბლომად არიან; ჩამწკრივებულან რიგზე; ზოგ კავალერს სამი-ოთხი შემოხვევია გარს; გაჯიბრებულები ელაპარაკებიან: რუსულად, ფრანციულად, ხან,—ვინც კოჭლად არის რუსულ-ფრანციულზე, საცოდავ ქართულსაც ჩაურევენ ხოლმე, მაგრამ ჩაურევენ მორცხვობით, ენის მოკიდებით, თაკილით. რომელი რომელს დაასწრობს სიტყვას, რომელი უფრო მასხვილად ეტყვის, რომელი უფრო მოაწონებს თავს, აღარ იციან. ზოგი იგრიხება, ზოგი კისერ გადაგდებით ხარხარებს და სატაცურივით იმტვრევა, რასაკვირველია, განგებ; ზოგი—ვითომ და რა!—სერიოზნობს; «პარდონ» და «მერსი» ხომ წელში გადასწყვიტეს და ცხვირები დაიხეთქეს. კავალერიც თავგამოდებულია, ყველას პასუხს აძლევს, ყველას უცინის, ყველას ლაპარაკში თავს ევლება; არც ერთი კი არ უყვარს, ყველას ატყუებს. გაცვეთილია, იცის ქალის გული; იცის, იმიტომ ევლებიან ფარვანასავით, რომ თავი გაისაღონ, გაითხოვდენ და შემდეგ სხვა ქმარი გაიჩინონ.

ზალის აღმოსავლეთის კუთხეში ზის თეთრებში ჩაცმული ქალი, ისე გამოწყუთხული, ისე გამოკრული კაბა-კარსეტში, რომ ღრეკის სავატობა აღარა აქვს; ზის გაჭიმული, მარჯვენა იდაყვი აქვს დაბჯენილი სკამის მოაჯირზე, მარცხენაში მარაო უპყრია და კალთაში ნაზად იფართხუნებს.

იგი თეთროსანი დაფიქრებულია. თითქოს ზალაში არავის ხედავს; იმისთვის აქ ბნელა; იმის თვალში არაფერს

მნიშვნელობა არა აქვს; არავინ არად გვიტნავებს. სიყვარული-საგან ხომ არ არის დაჩაგრული? გული ხომ არავინ ატკინა? ან იქნება კავალრებმა ყური არ ათხოვეს? აბა ერთი ახლო მი-ვიდეთ ამ ანგელოზთან, ავხადოთ იმის გულს დარდების ფარ-და და ჩავიხედოთ.

ნუ! ღმერთო ჩემო!! ჩემი ნაცნობი ლიზინკა არ გამოდგა!

ლიზინკა საშინელი წერწეტი ტანისაა; იმისი წელი სწო-რედ მუჭაში გაძვრება; რომ დადის, სული მიგდით, გული-დი გიღონდებათ: აი აგერ, აი აგერ წელში სატაცურივით გადიმტვრევაო. ამის ტანი ერთს ქალად ჰღირს, მაგრამ, რა გინდა ჰქნა ამ ოხერ წუთი-სოფელში?! თუ სულ თავიდამ ფე-ხებამდე ლამაზი არა ხარ, ზედ არავინ შემოგხედავს. ღვთის წინაშე, არშიყობით კი გაგეარშიყებიან და,—თუ მშვიდობაა, რა ვიცით, გაცნი ვართ, ისე როგორომე მოხდა,—ბადეშიაც გაგაბამენ, მაგრამ იმ ოხერ ბედნიერებას რომ ეტყვიან—ბედნიე-რებას კი ვერ ეღირსები.

ლიზინკა სურმაძის ქალი სწორედ ამ ნაირი იყო. საბა-რალო ქალა ოცდაათის წლისაა; თმა წაბლის ფერი; სახე ცხვირსა და ლოყებს შუა მოღმეჭკილი, კანი მოშვებული; ლოყები გულ-დაღვივით დაშვებული, რომლებიც სიარულის დროს თამთამებენ; ქვედა ტუჩი ერთობ დაშვებული—უკაცრა-ვად კი ნუ ვიქნები «ბარიშნა» ქალებთან—გამაძღარი ცხენი-ვით; და რომ ტუჩს უმგზავსოება დაუკარგოს, არ მიაქცევდო-ნოს თავყანისმცემლებს ყურადღებას, თუ კი გამოჩნდებიან, წი-თელი წამლით ისე ილებავს, რომ მაისის ვარდივით გაგაჩი-გაუდის; ცხვირი ჭუკა და ისე დაღრეჯილი, რომ ნესტოებში ჩიტი თამამად შეფრინდება; სახეზე აქა-იქ აყრია ფერის-მჭა-მელები; შუბლი ვიწრო და სამად შეხმუჭვნილი; თვალები

ღრმად წასულა ფოსოებში, რომლებსაც, უნდა კაცმა სთქვას, ჭოვარავენ ისარივით გაწონილი წამწმები; კბილები უსწორ-მასწორო.

მზითევი, ამ უფულო დროს შესაფერად, ძალიან კარგი აქვს: ოთხასი თუმანი ქისაში გამოკრული; ახლა ზინათი, ფარჩეულობა, მაგრამ რაკი ერთხელ და ერთხელ დაუმძვირდა ბედი, დარჩა და დარჩა: ჯერ ის იწუნებდა ყველას, ყველას ტუჩი ჰკრა; მერე ის დაიწუნა ყველამ. რამდენმა გაცვეთილმა აფიცერმა სდია და დაითათბირა, რამდენმა მისცა შერთვის პირობა; რამდენმა სდია, სდია, და ბოლოს საბრალო ლიზიჩკა მიატოვეს.

როდესაც ლიზიჩკა ზემო-აღწერილს მდგომარეობაში იყო და ზალაში დამა-კავალრებს გაჰქონდ-გამოჰქონდათ ერთმანეთი, დაღალულობათ ქასქასებდნენ, ამ დროს ჩუბლის წმენდით და ქასქასით მოადგა ლიზიჩკას სკამს მაღალ-მაღალი, წამოსადეგი, ულვაშებ გამწვეტინებული კაყ-კაცი სამხედრო ტანისამოსით. ამ კაყ-კაცს მოციმციმე, მუდამ ჩოარშიყე თვალებს, უმშვენებდა ოქროს სათვალეები; ქვედა ტუჩს ქვეშ ჰქონდა შერჩენილი წვერი, რომელსაც ერთობ უდიერად სტანჯავდა ბაასის დროს; სათვალეებს წამის-წამ ჩამოიგლეჯდა, თითებზე შეიბრომწიალებდა; წამის-წამ ისევ წამოიცვამდა და მაყურებლებს თავ-აღებული, ამაყად, დაუწყებდა ლაპარაკს, რომლის დროსაც ზედა ტუჩს მუდამ იბზლეკდა, მაღლა იწევდა ბრაზიანი ძაღლივით, რომ დაენახვებინა შუშა-შუშა კბილები, რომლებიც ისე დაწმენდილი ჰქონდა, რომ ბროლს მიაგვანდნენ. ეს კავალერი, მოადგა რა სკამს, ჩაელაპარაკა.

— აა, ლიზიჩკა, როგორ გიკეთხოთ?

— უჰ! შენა ხარ, შენა!! მიატანა ლიზიჩკამ სიტყვა და

მკლავები კალთაში გადმოიყარა; სიხარულმა ისე დასთუთქა, თითქო დაღალულიაო, თითქო ავად-მყოფი ამდგარა და სკამს მისვენებიაო.

— რა იყო? მემდურები, თუ გიხარიან, ჰა?.. რას ნიშნავს ეს: «უჰ! შენა ხარ, შენა!!» უთხრა გავალურმა და მიიცოცა ლიზინკასთან სკამი; არ გეგონა, რომ აქ ვიქნებოდი?

— რა მამაგონებდა, მიტია, თუ მოხვიდოდი და უწინ მე არა მინახავდი! მაგას არ მოველოდი. გახსოვს შენი პირობა? გახსოვს ის ნეტარი დღეები? გახსოვს ის მთვარიანი ღამეები, რომლებსაც ისე ტკბილად კლავგი-კლავგს გაყრილნი გატარებდით? მპირდებოდი: მალ-მალ წერილს მოგწერო; მაგრამ როგორც თვალი შორს, ისეც გული შორსაო, ნათქვამია. იქ შენ, მი-ტია, სხვებს იშოვნიდი და მე... მე რაღად მოგაგონდებოდი... წარმოსთქვა ლიზინკამ ყვედრებით.

— ხომ იცი, სულიკო, რომ მე წერაში ზარმაცი ვარ; ჯერ ჩემს სამსახურში ქაღალდებზე ხელი ვერ მომიწერია და წერი-ლი სად გავაჭრელო. დარწმუნდი, რომ ჩემს გულში, სხვათა შორის, თქვენც გიკავიათ ადგილი. ჩემი გული ვერას დროს ვერ დაივიწყებს იმ ნეტარებას, რომელიც თქვენ-მიერ მას შეუ-სვავს და შერყეულა ძირამდის სიამოვნებით.

— ჰმ, სხვათა შორის, სხვათა შორის! რამდენჯერმე ჩაი-მეორა გულში ლიზინკამ ეს სიტყვები. ამას ეტყობა სხვა უყვარს, სხვას დაუბამს ამის გული. მე კი ისე უყვარვარ რო-და, ჩვენში რომ იტყვიან—საყვარლ-პირობად; ეს, უბედური ეტლზე ვარ დაბადებული, უბედურზე, ფიქრობდა ლიზინკა.

— რას ჩაფიქრდით? თქვენი თვალები კვლავ სიამოვნებით იცქირებოდნენ, მუდამ ეშხის ნაპერწკალს ისვრიდნენ და ეხლა

კი ამღვრეული გაქვთ, თითქო ბოროტი საქმის ჩადენა სურსოთ, უთხრა დაცინვით კავალერმა.

— კრიტიც და მეორეც თქვენი ბრალია. თქვენ არ იყავით, რომ დამპირდით, პირობა... მისვდით თუ არა? პირობა მა...

— მომითმინეთ ცოტა ხანს, წაართვა სიტყვა კავალერმა; ხომ იცით, რომ მე სამსახურში უკან ჩამორჩომილი კაცი ვიყავ, ე. ი., როგორც გითხრათ: ჩემს გვარიშვილობას არ შეშვენოდა ის ადგილი.

— უადგილობას არ შევამჩნევინებდი: ფული ბევრი და გული პატიოსანი, შენი სიყვარულით ავსებული. მაგრამ...

— მათქმევინეთ: მე ამ ქალაქიდამ მეორე ქალაქში წაველ ბედის საძებნელად; მივაწყდ-მოვაწყდი საზოგადოებას; გავიცან ერთი მაღალ-გვაროვანი ოჯახი—უდარდელაძე. უნდა მოგახსენო, სხვა მაღალ-გვაროვან ოჯახებთან, ნულარ მეტყვი, შედარება არ აქვთ: ვინ გინდათ, რომ იმათი ნათესავი არ იყოს; სად გინდათ, რომ იმათი ნათესავი არ იჯდეს უფროსად. აქ გამიღიმა ბედმა, აქ დავინახე ჩემი წადილის შესრულების დღე. აბა, ჰა, მიტომ მეთქი, უთხარ ჩემს თავს, ესლა გმართებს ბიჭობა და გამჭრიახობა მეთქი... დავუწყე უდარდელაძიანთ ქალებს დევნა. დედამ მითხრა, თუ შენი თავისთვის ბედნიერება გინდაო, ჩემი უფროსა ქალი შეირთეო. მე, რა უნდა მეთქვა. მე ქალი კი არ მინდოდა, ადგილი მინდოდა. უნდა მოგახსენო, რომ ის უფროსი ქალი, ესლანდელი ჩემი ცოლი, ცოტა კი არის და ძალიან ჭკუაზე თხლად გახლავთ, თუმცა ჩემი ცოლი კია, როგორც მოგახსენეთ. რას ვიქმოდი. შევირთე გიჟი ქალი, მაგრამ არა მკითხავთ, მზითევში რა გამოატანეს სიგიჟესთან: «ნაჩალნიკობა!» მააშ!! ჯვარის წერის შემდეგ, მეორე დღესვე მე «ნაჩალნიკობა» გამოვიხვიე კალთაში

და შეუდგა გზას. სიტყვას «ნაჩალნიკობა» ისეთის ეშხით, ისეთის კბილების კრჭიალით ამბობდა, თითქოს ქვეყანა ამ სიტყვაზე სდგასო.

— მაშ ყველა შენი ჩემთან ლაპარაკი, მსჯელობა, ახალ-ახალის აზრების რახა-რუხი, ათასნაირი პირობანი, სულ ორ-პირობა, სულ სიცრუე იყო!? წარმოსთქვა ლიზოჩკამ და მეხი-ვით დაუწყო სიტყვებს სროლა. კავალერის ყურში ბაიბურიც არ იყო. — მაშ ეგრე? ოჰ, დამბადებელო! ამას რას ვხედავ, ამას რას ვხედავ? შენმა სიყვარულმა, შენზე ფიქრებმა — აი ხე-დავ? — როგორ დამადნო, და შენ კი გამცვალე ვიღაც გიჟზე, არა, გიჟზე არა, — ადგილზე, სამსახურზე? ფუ, შენს ვაჟ-კა-ცობას, შენს ახალგაზრდობას! რაღა პირით მიცქერი და მელა-პარაკები! რაღას მაკვეხებ მაგ შენს გარყვნილობას! რაღაც ბე-დად მოვარდნილხარ აქ და სარგებლობ, რომ სიცრუის ბადეში გამაბა? ობობას ხელობა დიდი ხანია დაგიჭერია და მე კი ქსელა შეგიტყუე. გითხოვთ, ობობავ — ნაჩალნიკო, შენის უნამუსო პი-რით მომცილდე აქედამ; შენი სახის დანახვა მკლავს მე...

ეს უკანასკნელი სიტყვები ისე მაღლა, ისეთის აღელვე-ბულის ხმით წარმოსთქვა ლიზოჩკამ, რომ მთელი ზალა ფეხ-ზე დადგა. კავალერმა ურცხვად გაიკასკასა, ხელების მტვრევით გაიარა და ჩაერია ხალხში.

## II

ჩრდილოეთით ზალას აქვს დერეფანი, რომელსაც აკრავს ბნელი ოთახი, წოდებული «საგრილობელ ოთახად», რადგა-ნაც სიცხისა და დაღალულობისა გამო დამა-კავალერი საგრი-

ღობლად გადიოდნენ. ანეტა იაზონოვნა ძიელ დაქანცულიყო და ამ ოთახში მწყერ-ჩიტასავით გამოგოგდა. კავალერები მოუ-ხიბლა, დასწვა და გადარია ამ დასაქცევმა. იმდენად ლამაზი არ იყო, რამდენადაც მარილიანი, კოპწია, თამამი და გამგი-ჟებულის მიხვრა-მოხვრისა. მარტოდ-მარტო თვალები ჰქონდა ლამაზი, ჟუჟუნა, მუდამ წყლიანი, ისე შავი, თითქო მელნის ტბა აგუბიაო, ისეთი დიდრონი, თითქო მსხვილი გიშრები ჩაუსხავთო. აი ეს თვალები ჰხიბლავდნენ კავალერებს, თუმცა ამაღამინდელს ღამეს ბევრი კავალერები დასწვა თავისის გიშრის თვალების ისრით, მაგრამ ისიც კი იქმნა დაწვრილი, ისე გა-გიჟებული, რომ მტკიცედ განიზრახა გულში თავისს ახლად შექორწინებულ «ქნიაზისათვის» ეღალატნა და ქმრის კავალერის-თვის ეჩუქებინა თავისი გული. სულ მესამედ შეხვდა ამ კავა-ლერს, მაგრამ დაადნო, გონებიდამ გამოიყვანა. კავალერიც ანე-ტასავით კოპწია, თამამი, იმისავით ქარაფშუტა და ტუტრუ-ცანა იყო. ჭკუა ჭკუას მოხვდა. ანეტას შეუყვარდა პახომ პრო-ხორიჩი — ეს სახელი ერქვა მის სანატრელ კავალერს. პახომ პროხორიჩის გულში კი გაკვრა-გაგდების სიყვარულმა დაიბუ-და, თუ შეიძლება ასე ითქვას. იგი ანეტას ჯადოსნურ ბადეს ესროდა, რომელშიაც გაება კიდეც. ანეტა იაზონოვნა სულ მთლად ირყეოდა, როცა პახომი იმის ახლო იყო: ვალსი, რომელსაც ანეტა გასაოცრად აპროწიალებდა; მაზურკა, რო-მელშიაც შნოიანად დაფუნდრუკებდა; ლეკური, რომელსაც გასაო-ცარის ფეხის სიმარდით და თამაშით უვლიდა ხოლმე,—სულ ერთიანად ერყეოდა, ეშლებოდა, იქნამდე გართული იყო პა-ხომით. ერთობ გრძნობიარე იყო ჩვენი ანეტა. ზოგზე სრუ-ლიად სხვა გვარს გავლენას აწარმოებენ ამ ნაირი მიზეზი. ამ მდგომარეობაში ზოგი უფრო ცდილობს, რომ გამოიჩინოს

ხელოვნება, ყველაფერი მოაწონოს მოტრფიალეს. ამ გვარი ადამიანი უფრო ჭკუას ემორჩილება, ანგარიშიანი და გულ-ცივია. ამ ყანგიანებს არ ეკუთვნოდა ჩვენი ანეტა იაზონოვნა: ვისაც გული მისცემდა, გათავდა!—თავ-დავიწყებამდე დაეწაფე-ბოდა ნექტარების წყაროს.

იგი ძლიერ აღელვებული გამოვიდა ოთახში. სარკემ აც-ნობა ეს მდგომარეობა და სახეზე ხელი მიისვ-მოისვა. მედ-ნის სადგურნი მოისწორა, ისარს შვილდი დაუჭიმა, რომ ნა-დირი დაუკოდავი არ წასვლიყო. დიდ ხანს არ ილოდინა. გა-ვალდერი ლომივით თავ-აღებული შემოვარდა, თითქო მუ-აზე გაგლეჯა ჭკუის მშვილდის ნუკრისაო. ილიაში იგდო ანეტა და ერთი შემოაკალსინებინა ოთახში, კავალერი გვარად ჩრდი-ლოელია, მაგრამ ქართულს სუფთად ლაპარაკობს, სამხედრო-პირია; დეზებს მალი-მალ აჩხარუნებს და მუდამ კოწია-წობს.

— პახომ პროხორიჩ, გიყვარვარ? მე კი გამაგიჟე და! ჩემი თავი აღარ მახსოვს.

— ანეტა იაზონოვნა, რას მიბრძანებთ? თქვენ განა კაცს არ შეუყვარდებით? ეს თვალები, ეს შავი თვალები, ოჰ! მისწვდა და თვალები თითებით ამოზიდა.

— ოჰ, პახომ პროხორიჩ! შენმა სიყვარულმა დამღუპა: ლამის ქმარ-შვილი შემაძულოს.

— ნუ თუ ჯერე უმაწვილი ხარ, რომ თქვენს გულში ორი სიყვარული ვერ მოგითავსებიათ. თუმცა პოეტები სწერენ, რომ სიყვარული ერთიაო, ერთის მეტს ვერ დაემორჩილება გულიო, მაგრამ ЭТО ДУДКИ, ჩემო ანეტა... აი ესლა მე რამდენი მო-მითავსებია ამ პაწია გულში.

— ვინა სწერენ? პოეტები რა არის, აქ არის ვინმე?

— პოეტები, სულიკო, მწერლები არიან, აი ლექსებს რომ დასწნიან, ციცია.

— ბეჩა, მე ვინ მეგონნენ: მე კაცები მეგონნენ... ეხლა ამ ზალაში ვინ უფრო მოგწონს? შენი გული ვის უმღერის?

— ბევრს, მაგრამ უფრო თქვენ; ვერ წავუყვედი ამ თვალებს, ქერა.

— ეჰ, ნეტა მე ქართველი არ ვიყო, უფრო შემიყვარებდი, სთქვა და შესაბრალისად გადაადო პახომის მხარზე კისერი.

— ვაჰ, რას ამბობთ, ქალო? შესაყვარებელი ქართველია და! ჩვენ მაგითი მოგვაქვს თავი, რომ ქართველი ქალები გვწყალობენ... ეგ სიყვარულს რად დაუმალის.

— მაინც რაც უნდა იყოს... თავის დღეში შენსავით არავინ არ გამარშიყებია. ჩვენებმა არ იციან, НЕВѢЖДЫ, დაიკარგნონ... ეჰ, რუსულიკ არის მაინც ვიცოდე კარგად, რომ გეჭიკჭიკო. ქართულად არ მეხერხება ალერსი. აი ეხლა ქართულად რომ იტყვი: «სულიკო»! არ ვარგა, ღამაზიზღებს ხოლმე, «Душка» კი სიამოვნების ყრუანტელს მომგვრის ხოლმე.

— მაშ დღეიდამ «Душка»-ს დაგიძახებ... არა, მე და შენ ქართულადაც კარგად ვიჭიკჭიკებთ.

— ნეტა რუსული მასწავლა და! მაშინ ხმას აღარ ამოვიღებდი ქართულად. ვიცი კი, მაგრამ ძიელ მინდა ვისწავლო, ისე, ისე, როგორც ვალსი ვიცი. ეძგერება პახომს და შემოპროწიალდებიან. ამ დროს ბიჭს მაროჟნი მოაქვს.

— «დუშკა», პახომ პროხორიჩ, ერთი კოვზით ვსჭამოთ.

— Какъ можно, ქალო, სირცხვილია.

— Очень можна, очень можна! კოვზს გადაუგდებს. ჯერ შენ აილე, მერე მე ხოლმე. მე მინდა შენი ნაპირალი კოვზი; მე მინდა გულში ჩაგიტანო, შეგჭამო.

— შეგჭამოთ?! ეს რომელი სიტყვის ნაწილია, ქალო?

— იმ, რა ვქნა, ქართული ბორძიკი ენაა, გაბუტვით და ტუჩ დაშვებული უთხრა. ემაგიტომ მინდა, რომ რუსული ვი-სწავლო. რამდენჯერ გამაწითლებს ხოლმე. Пративна!... მამა ჩემს კი ოცდა ათი თუმანი შეაწერეს სკოლისა და ამისთანა ბორძიკი ენა კი უნდა ასწავლონ. Фи, пративна!

— რა გემრიელია შენი ნაპირალი! კარგია რაღა, კარგი!... ილი, ჩემთან იარე ხოლმე, ანეტა იაზონოვნა, და რუსულს და ფრანციულს გასწავლი. მე ბევრს რამეებს გასწავლი.

— შენ იარე, შენა! ჰო, ილი, პახომ პროხორიჩ?... ვაშ, ვაშ! პახომ პროხორიჩი რა სახელია და! თაფლია, თაფლი, ნეტა შეიჭმებოდეს. არა ჰგავს ამ სახელებს: არჩილ, ლუარსაბ, ვახტანგ, ერეკლე, ელიზბარი... აი თუნდა მამი ჩემის სახელი —იაზონ,—სულ რაღაც უცნაურება. Фи, какъ пративна!

— მერე, რომ გიარო, შენი ქმარი?

— ჩემი ქმარი, იმისმა მზემ! იმას ღვინო მოუდგათ, გა-მოვათროთ და მერე მე და შენ ვისწავლოთ.

— ბალდა კი არის, რომ მე უფრო ვეწუხები და მერე ოტ-კას.

— ჩემი გულისთვის პახომ-ჯან, ჩემი გულისთვის! ნახავ, როგორ თვალები დაუდგებათ აქაურს ქალებს. ჯერ ერთი იმი-ტომ, რომ შენ ჩემი კავალერი ხარ, მეორე იმიტომ, რომ რუსულს კარგად ვისწავლი. გადაუდებს სანატრელ პროხორს მხარზედ თავს და შემოპროწიალდებიან; ილი, ჩემ პაწია ქალს სახელი შენ აურჩიე.

— ორინა, პრასკოვია, კატერინა...

— კატო არა, არა; ორინა, ჰო ორინა! დუშკა, ეს სახელი, რა პრელესტია და!

ამ დროს მუზიკა ვალსს უკრავს და ეს ორი ქარაფშუტა ოთახიდამვე პროწიალით გაქანდებიან ზალისკენ.

## III

მუზიკა გრიალებს; იატაკი ზანზარებს; ყურთა სმენა აღარ არის; დამა-კავალერთა ბრძოლას საზღვარი არა აქვს. თითქო ამ ღრიანცელს ყურს არ უგდებენო, თითქო ამ საზოგადოებას არ ეკუთვნიანო, განცალკევებით სხვაგან სასტუმროში ერთი დამა კავალერით. დამა მისვენებულია დივნის ხარიხაზე, სამოსელი ერთობ აფერადებული აცვია: ქვედა ტანი კაბისა თეთრი ფარჩისა წითელი არშიებით, შუა ტანი მუქი ლაჟვარდი ხავერდისა, მერე წითელი, ყვითელი და სხვა შავად ფერამდის. თმაში ცოცხალი ვარდები ატანია; იგი გაყმენდილია, არ ერევა ტლინკვაში; აგრე რიგად არ ეწყობა ტანცი-მანცებს. ტოლ ქალებს არ უყვართ.

— იმოდნის ქალი არ არის, ყველას გვწყინობს. არც კი სცხვენიან, თავადიშვილის ქალია და ტანისამოსს თვითონ იკერავს. ეს რა კიდევ! თურმე სხვასაც უკერავს. ღმერთო, დამბადებელო! რა დრო შეიქნაო, ამბობდნენ ხოლმე ამ ქალზე. მაგრამ იგი ამ ოხვრა-გოდებას ყურს არ ათხოვებდა.

სახით ეს დამა ლამაზია, ერთობ ნაზია, წყლიანი მოლაპარაკე, მშვიდობიანი, ჭკვიანი, მაგრამ თვალები, თვალები—ეს მკვლელები კავალრებისა—არ უვარგოდა. იგი ცოტა რამ ელამის; ელამს თვალს ჰკიყავს, დახელოვნებით ხმარობს, მაგრამ წყეული მაინც და მაინც აუშნოვებს. იქნება ეს თვალებიც იყვნენ მიზეზად, რომ იგი არ გაჰყვა ქარავანს და სხვა გზა მონახა, გზა შრომისა, გზა პატიოსანი ვინ იცის, ან რა ჩვენი საქ-

მეა. ბუნება ერთი ხელით რომ მუნწობს, მეორეთი ასაჩუქრებს.

ეს ქალი იყო კნიაჟნა ელისაბედ ამაყაძისა, რომელსაც ყველანი ზიზოდ უწოდებდნენ. გავალერიც ამ ნაირივე მშვიდი, დაფიქრებული, სასიამოვნო გამომეტყველებით. იგი იყო პირ-ხმელი, თეთრ-ყვითელი: ჩრდილოეთის თვისი ბეჭედი დაესვა. იგი იყო ნამყოფი რუსეთის უნივერსიტეტში. აცვია სუფთად; სახეს ქალივით უფრთხილდება; ფრჩხილებს სუფთად ინახავს, მალიმალ ისინჯავს და ზედ იხედება. როცა ლაპარაკს იწყობს, ემზადება, ტუჩებს იკვნეტს, იწელიანებს, თუ ვით უფრო კარგად, მოსწონად ილაპარაკოს. უყვარს ყველა თავისი; ცდილობს რითიმე გამოადგეს თავისას. ჩამომავლობით ეკუთვნის ერთს უძველესს აზნაურშვილის გვარს. მისი გვარი თურმე ერთხელ ერისთაობდა, მაგრამ ჟამთა-ვითარებას ჩამოუგდია მაღლა კიბიდამ, როგორც სხვანი მრავალნი. სანაცვლოდ კნიაჟნა ზიზო დიდ-გვაროვანი იყო. ყველას უკვირდა, რომ აზნაური ვასილი კავკასიძე დაიარებოდა ზიზოს სახლში, უკვირდათ მისი ასეთი დაახლოვება. ზიზოს დედ-მამა, ერთობ ამპარტავნები იყვნენ: დაბალი გვარის შვილებთან კავშირი არა ჰქონდათ. თვით თავადებსაც კი არ კადრულობდნენ, თუ არ თავისი გვარისას, დანარჩენები მათ კაცუნებად მიაჩნდათ. ვასილის დაახლოვება ზიზოზე იყო დამოკიდებული. რითაც იყო იძალავა და თავიანთ ფეოდალურს ოჯახს დაუახლოვა; საკვირველი ეს იყო, რომ ზიზოს ესრეთი გაზრდილი, არა თავადიშვილური მოქმედება მშობლებს არ აკვირვებდა, თუმცა კი სწყინდათ: «დრომ მოიტანა, დრომაო, რომ თავადიშვილის ქალი თავის ხელით თავს ირჩენსო; უწინ ხელსაქმეს ვსწავლობდით, მაგრამ არა სხვის მოსამსახურისად!» როგორც იყო ზიზო და ვასილი დაახლოვდნენ, დამეგობრდნენ, სული სულს შეატკბეს.

ვასილი დივანზე გვერდით მოსჯდომოდა ზიზის, მუხლი მუხლს შამოკედლა და დაწყნარებით ლაპარაკობდნენ. მხოლოდ ხანდისხან დუდუკის ხმა თუ შეაწყვეტდა ხოლმე მათს ბაასს. მაშინ კი ჩადგებოდნენ სადხმი და უცქეროდნენ ლეკურის თამაშს. ამათის მშვიდის, წყნარის ბაასის დროს ბეკრეჯულ დინჯად გამოიფხაკურებდნენ ხოლმე კნეინა დარეჯანები კრიალოსნის ჩხაკუნით; ყურ-გამახვილებულები ჭუკლ-ჩაყუკლიდნენ დივანს, რომ ერთი სიტყვისთვისაც ჭარის მაინც მოეკრათ ყური, რომ დანარჩენი თვით ჩაეკერებინათ და ახალი ამბავი დაებადნათ ქალაქის სალაპარაკოდ. საქმეს კი უფრო უჭირებდნენ ამ ორს განდევნილს იქაური კაწრის ცოლები, რომლებიც მასპინძელს მოეწვია.

— ვინ უფრო შესაბრალისნი არიან: ჩვენ, თუ სკამები, რომლებზედაც ეგენი სხედან? ჩაეკითხა ზიზო ვასილს, რომელსაც ორმა ჩაკურატებულმა კაწრის ცოლმა ამოუარა ამათ თვალების ბღვერით, რომლებიც (თვალები) ქონის ბადით ჰქონდათ გაკრული; მათი ფშვინვა ნიავს აყენებდა სასტუმროში და მათგან ამონაფშვენი ცხვირს უსიამოვნოდ აკოტებდა.

— ერთი ოცი ათასი ამისთანა ღორი? ინატრა ვასილმა.

— მაშინ ოინაოიც ალარ ბმეჯობინებოდა, უთხრა ზიზომ ღიმილით. ნეტა ესენი რალას აკეთებენ; საცოდავებს პირის ლაწნები დაუხსათ მოქნარებით.

— ქალებს უცდიან. ახლა როგორი ნასიამოვნები წავლენ, რომ დიდი კაცისას იყვნენ და მათი დალიმული ქალები კავალერებთან მუნმულებდნენ.

დირიჟორმა ილაჯი წაიღო: გამგელებული ყვიროდა, ჩლიქებზე დგებოდა. ამ დროს ზიზო და ვასილი თავის შეუღლებაზე ბაასობდნენ.

— შენ სხვას არ გაჰყვები, ხომ? და უნდა საქმე ისე მოვა-გვარაჭინოთ, რომ ერთმანეთს არ დავსცდეთ.

— შენ დარწმუნებული იყავ, რომ ჩემი თვალები შენზედ უკეთესს ვერავის დაინახვენ, მაგრამ უნდა გაგიტყდე, ერთი უბედური ხასიათი მაქვს: დედ-მამასთან ძიელ ვსუსტობ, მალე მიყოლიებენ, როცა საქმე ეხება ჩემს გათხოვებას. გულ-წრფე-ლად გეუბნები: მე აზრად არა მაქვს შენი დაწუნება, მაგრამ ჩემი გვარეულობის სენი მეც გამომყვა; ასე მგონია, ჩემზე და-ბალი კაცის შვილს რომ მივთხოვდე, ერთი რაღაც მოხდება მეთქი, თუმცა კი, დარწმუნებული ვარ, არა მოხდება-რა. რა-ღაც უცნაური, ჩემმიერ გამოურკვეველი, ძალა მაბრკოლებს, ხელს მიჭერს თითქო. უნდა ძალა მოვიკრიბო და შევებრძო-ლო ამ სენს, თუ კი შევიძლებ.

— დიახ, ჩამომავლობითი სენია; დიდ-გვარებს მოსდგამთ ეს სენი... მაგრამ ამ სენსა და მართლა ჩამომავლობითს ავად-მყოფობას შუა დიდი ზღვარია. ეგ სენი, ეგ ავად-მყოფობა, მართლა ავად-მყოფობა კი არ არის,—ეგ გაგრძელებული, გაჭია-ვებული, უმოძრავო, თუ შეიძლება ასე ითქვას, ჩვეულებაა. სა-ზოგადოდ ამ გვარ ძლიერად გახდილი ჩვეულებათა წინააღმდეგ ბრძოლა ძნელია, მაგრამ აქაო და ბრძოლა საძნელოა, უნდა ადვილი მოუშვათ?

— ვეცდები ამ ჩემი სუსტი ძალით შევეჭიდო მაგ სენს, სთქვა ზიზომ ხელების შლით, ეშხიანად გაიღიმა და ბროლ-ფიქალით წყობა გამოაჩინა... იცი, ვასილ, რა გითხრა? მა-გალითი არ არის, ჩვენი გვარის ქალი დაბალი კაცის შვილს ჰყვანდეს.

— რა კარგს შვრებით... მე თუგინდ ხუთს, ექვს ჩამოგით-ვლი.

— ვისა? რომ არ ვიცი.

— ვრალოვი, პსაროვი, სკვერნოვი...

— ხა, ხა, ხა! ჩაიკასკასა ზიზომ და თვალა შეაწყვეტინა ვასილსა. ეგენი ხომ ჩვენებურები არ არიან. მე გეუბნები ქარ-თველებზე, რომ ქართველ დაბალი კაცის შვილს არ ათხოვე-ბენ მეთქი. ეგენი ჩვენში ჩასათვლელები არ არიან. მაგათ ნაირს ხალხს ჩვენები, ე. ი. ჩვენი გვარეულობა სულ სხვა თვალით უცქერის.

— ღმერთო, შემიწყალე! ეხლა, ზიზო, ჩვენ აზნაურები ვართ და, ნუ კი გეწყინება, თქვენზე ბევრით გსჯობივართ.

— იქნება, მაგრამ აბა ჩემს მშობლებს გაუხსენო შენი ქმრად შერთვა! ჭკვის დაკარგვიაო; ჩვენ აზნაურს უნდა ქალი მივცეთო; როდის მომხდარა ეს ამბავიო, ასე მეტყვიან.

— საკვირველია. მაშ ძალიანი დაბრკოლება ელის ჩვენს შე-უღლებას. იქნამდე მოვიცდით მაშ, მინამ დრო ნებას მოგვცემ-დეს.

— ესე იგი მშობლების დახოცვას მოუცადო, არა? მაგრამ ჩვენ რომ უფრო უმალ დავიხოცნეთ. ან იქნობამდე ვინ დამა-ჯენებს. უმაწვილო, თავადიშვილები მთხოულობენ, მშობლები ყურებში თითს იცობენ ამის გაგონებაზე. თუ არ დიდი, უპირ-ველესი საქართველოს თავადი, არ შეიძლებაო. გუშინდელს გათავადიშვილებულს როგორ მივცემთო. უპირველესნი მე არ მთხოულობენ, შენისთანას არ მაძლევენ და ვარ ასეთს გამო-ურკვეველს მდგომარეობაში.

— მე მაკვირვებ; თუ კი ბევრს საქმეში შენი აზრი გაგიყვა-ნია, აქ რაღა გაბრკოლებს.

— ის, რაც წეღანაც გითხარი; მეც წილი მიდევს იმ კერ-ძის შექმნაში, რომელიც გვაბრკოლებს..., ხა, ხა, ხა! მართლა შესანიშნავი საამბობი აგი დამავიწყდეს ლამის: წარმოიდგინე,

ყმაწვილო, სასაცილობა ჩვენებისა. თუ გახსოვს, შარშან ჩვენსას ერთი მასწავლებელი პოტაპენკო დაიარებოდა: ვატყობდი, რომ მოვსწონდი. იმას ესლა რაღაც უფროსობა მიუღია; მოუწერია მამიჩემისათვის რუსის სიგძე ეპისტოლე. წარმოიდგინე, ჩვენები გაგიყებულები არიან, უნდა იმას მიგცეთო; სტატსკი სოვეტნიკო, დიდს პენციას დაიმსახურებსო, რაც უნდა იყოს ის სულ სხვააო. ის გადაბრუნდება, მოკვდება და შეგრჩება ცარიელი სტატსკი სოვეტნიკობა. მაგათ ხომ ვერას დააჯერებ... მერე უნდა მოჰყვე და ხელ-გაშვერილი იარო, რომ ორიოდე გროში მოგცენ საცხოვრებლად, აი მაგათი შეხედულობა.

— ეეჰ, მაშ ცუდად ჩვენი თათბირი და ხელოვნება.

— არა, ერთს ვცდი კიდევ, პირს უკითხავ და მერე დაუკითხავად წავიდეთ საუდარში საქორწინოდ. ხელი დაჰკარ... არიქა კატელიონს ათავებენ... ჩვენ ბარემ გავიდეთ, თორემ ხალხი აირევა.

ს. მგალობლიშვილი.

* * *

დასევდიანდა ქვეყანა, ცას გადმოაწვა ღრუბლები
და აქვითინდა ხმელეთი სენ-მორეული, ველები,
მწარედ აგლოვებს ბუნებას ქარი მრისხანედ მბერვალი
და თოვლმაც თეთრის მანტიით შემოსა მთისა მწვერვალი.

წავიდნენ, გადაიხვეწნენ სამხრეთისაკენ ფრინვლები,
ზამთრობით ჩვენის ქვეყნიდამ სხვა მხრისკენ გადამფრენლები,
დარჩენილა-ღა მხოლოდ ეს უკანასკნელი მერცხალი
და ესაც მიჰქრის შორისკენ, ასე მკვირცხლი და ცოცხალი.

მერცხალო, ტკბილის ჭიკჭიკით ჩემს თავზე გადამფრენელო,
დღემდე დამტკბობო ნაზის ხმით, დღეს ჩემო სევდის მფენელო!
ფრთები შემასხი, ხმა-ტკბილად დამძახე, აღმა ამტყორცნე,
გულს ჩამიყარე უმანკო გრძნობა და გრძნობით გამკოცნე.

სოფლად ცხოვრებამ გამტეხა, მომწამლა ხალხში ტრიალმა,
არ შემირიგა, არ მინდო სვედრმა, ამ ოხერ-ტიალმა,
ვერ შევეჩვიე ქვეყანას, ვერ შევიყვარე — რაცა მძულს
და ვერ ვიმონებ გონებას, ვეღარ ვიმშვიდებ დამწვარ გულს!

ზრუნვით თავისუფალმა სულმა აქ ბინა ვერ ჰპოვა
და სამუდამოდ აქედამ შორს გამგზავრება მოითხოვა.
აწ ვსტოვებ მხარეს მშობლიურს, მტრობის და შურის სადგურსა,
და უკან გავედევნები შორს მე ოცნებას მაცდურსა.

მერცხალო! განვესალმები ჩემს მხარეს დაუნანებლად
და აწ მეც გავემურები შენსავით ქვეყნად სარებლად.
დავბინადრდები იქ, სადაც ძმური კავშირის ბუდეა
და სადაც სულის საზრდელს არა აქვს მიჯნა, ზღუდეა.

ან და რა მიყო სამშობლომ, რა მომცა, რითი მახარა?
უდროოდ გული დამიჭკნო, გამხადა ქვეყნის მასხარა;
დამხადა ნაღვლის სასმელად და ბედის დასაგმობელად
და შემდეგ მტყორცა ისარი გულ-მკერდის გასაპობლად.

უდროოდ მოვსტყუდი, მოვსწყდი, აღარ მაქვს ბინა ამ სოფლად,
გულს სიხარული გაუქრა და აწ დავდივარ აქ ობლად;
ჯოჯოხეთზედაც მწარეა ჩემთვის ეს ჩემი ქვეყანა:
სითაც კი ფეხი გადავდგი შხამი დავლიე ფიალგანა.

მერცხალო, როგორ გავუძლო იმ გვარ ცხოვრების საგანსა,
სადაც მარტო შური შეადგენს ქვეყნად სიცოცხლის საგანსა?
სადაც რომ წრფელის გულიდამ გაცლიან წმინდა გრძნობასა
და სიყვარულის მაგივრად შიგ გინერგავენ მტრობასა!

მაშ მოდი მომიჭიკჭიკდი, ფრთები შემასხი, მერცხალო,
იქნებ ცხოვრებით დაჩაგრულს, გამომიბრუნდეს მეც ალო!
მოვსძებნი შორს ქვეყანას, იქაც ვსცდი ბედის წერასა
და იქვე შევაწყვეტინებ გულს სასიცოცხლო მღერასა.

და უდროვოდ, უჟამოდ გამეპოს გულის ფიცარი,
იქ შევიმუსრო, სად მომხვდეს სიკვდილის მკვეთრი ისარი;
გინდ მგზავრობის დროს ზღვის ტალღამ, გინდ მტრის მახვილმა
განმაპოს,
შავ-ბედს რაც უნდა, ისა ჰქნას, ვით სურდეს—ისე განაგოს...

ცახელი.

---

# მოკლე ისტორიული გამოკვლევა

## ქართულის სტამბის დაარსებისა და მოქმედებისა მე-XVIII საუკუნეში და მე-XIX საუკუნის პირველ წელთ განმავლობაში.

ევროპაში სტამბა საკვირველის სისწრაფით ვრცელდებოდა; მე-XVI საუკუნეში შემოიღეს სტამბა, მაშინ მცირე რუსეთში, და მე-XVII საუკუნეში მოსკოვშიც დააარსეს საეკლესიო წიგნების საბეჭდავად. საქართველოში კი სტამბა შემოღებულ იქმნა მხოლოდ მე-XVIII საუკ. დასაწყისში. უმთავრესი მიზეზი ამისა, ჩვენის აზრით, ის იყო, რომ საქართველოს, გარშემორტყმულს განათლების მოძულე მტრებით, როგორიც იყვნენ ოსმალ-სპარსნი და კავკასიის ერნი, ყოველი გზა შეკრული ჰქონდა ევროპისაკენ. მის ცხოვრებაზედ, იმ შესანიშნავ მოვლენათა შესახებ, რომელთაც ძირეულად შესცვალეს XVI—XVII საუკ. პოლიტიკური, ეკონომიური და გონებრივი მდგომარეობა ევროპისა და ერთბაშად ასწიეს მათი ძლიერი გავლენა დედამიწის ზურგზედ, ქართველებს მოგვდიოდა, ისიც შემთხვევით, მხოლოდ განურკვეველი, ბნელი ცნობანი. მაგრამ მე-XVII საუკუნის დაწყებისათანავე ის წყვდიადი, რომელიც გვიფარავდა ჩვენ ევროპას, თან და თან თხელდებოდა და იმა-

მე საუკუნის დასასრულს და მთლად მე-XVIII საუკ. განმა-ვლობაში ჩვენს ცხოვრებას დაეტყო, თუმცა სუსტად, განმა-ცხოველებელი გავლენა ევროპისა. ნაყოფი ამ გავლენისა იყო სტამბის შემოღება, სწავლა-განათლების განძლიერება მე-XVIII საუკუნეში, საერო მეცნიერების შემოღება სასწავლებლებში, (არითმეტიკა, გეომეტრია, ფიზიკა, მეტაფიზიკა, ახალი ფი-ლოსოფია, სიტყვაობა, საერო ისტორია და სხ.) შინაური წყობილების დამყარება კანონის მტკიცე ნიადაგზე, პოლიციური წესის შემოღება, განწვრთნილი მუდმივი ჯარის (მეფე ერეკლეს II დროს) დაწესება; არტილერიის შემოღება, მადნის შემუშავება; აზრი, რომელიც არ განხორციელდა, სამწუხაროდ, სამეცნიერო მადნის სკოლების დაარსებაზე ქართლში და კახეთში, დასუსტება ფეოდალური წესებისა და განძლიერება მეფის უფლებისა, გაჯ-რობის ალიორმანჯა და სხ. სამწუხაროდ, სხვა და სხვა მი-ზეზების გამო უმეტესი ნაწილი მოხსენებულ წყობილებებისა და წესებისა არ იყვნენ კიდევ მკვიდრად დამყარებულნი ჩვენს ქვეყანაში, როდესაც იგი შეუერთდა რუსეთს და თავისი ბედ-იღბალი თანამორწმუნე სახელმწიფოს გარდასცა სამფლობელოდ.

გონებრივი განცხოველების უმთავრესნი მიზეზნი იყვნენ სწავლული ბერები კათოლიკის სარწმუნოებისა (ძმანი მქადაგე-ბელნი—fratres praedicatores), რომელთაც მე-XVII საუკუნის დამდეგს მოჰფინეს მთელი ქვეყანა და საქართვე-ლოს სამეფოშიც გაჩნდნენ რომის სარწმუნოების გასავრცელებ-ლად. მათ ფეხი მოიკიდეს საქართველოში, ქალაქებში, დიდ-კაცების ოჯახებში და თვით სამეფო სასახლეში. ამათ პირ-ველად გააცნეს საქართველოს ერი ევროპას და მისს განათლებას და აღძრეს საქართველოში ის წადილი განათლებისა, რომელმაც განაც-

ზოგადად საქართველოში მწიგნობრობა და ახალი სული შთაბერა თვით ცხოვრებას. [1])

ამათვე, უეჭველია, პირველად დაჰბადეს აქ აზრი სტამბის დაარსებისა. პირველად ამ აზრის განხორციელებას შეუდგა განათლებული მეფე—პოეტი არჩილი (16...1712 წ.), რომელსაც უნდოდა შემოეღო სტამბა საღმრთო საეკლესიო წიგნების დასაბეჭდავად, რადგანაც გადამომწერალთაგან გაირყვნებოდნენ [2]). მაგრამ ბედის ჩარხის უკუღმა ტრიალმა დაუკარგა მას სამეფო ტახტი და გარდასახლდა რუსეთში, სადაცა მას სამარეც გაეთხარა (მოსკოვს 1712 წ.). უფრო მხნედ და ენერგიულად შეუდგა ამავე საქმეს და იმავე განზრახვით მაშინ კიდევ 28 წლის ბატონიშვილი ვახტანგი, ძე ლეონ მეფისა, ძმისწული არჩილ მეფისა. თუმცა დამტკიცებით არ ვიცით, მაგრამ მცირეოდენი საფუძველი ნებას გვაძლევს ვარაუდით ვსთქვათ, რომ ვახტანგს, რომელსაც ის უსაქმოდ იმერეთში იმყოფებოდა, მოლაპარაკება ჰქონდა იერუსალიმის პატრიარქთან დოსითეოსთან, რომელიც 1696—1697 წ. სა-

[1]) მათ გავლენის ქვეშ იყო საუკეთესო ნაწილი ჩვენის მაშინდელის საზოგადოებისა; სამღვდელოებაც კი პატივს სცემდა მათ და, თუმც მართლ-მადიდებლობის წმინდა სარწმუნოებას არ ღალატობდა, მაგრამ რომის სარწმუნოების მქადაგებლებთაგან სწავლის მიღებისა არა რცხვენოდა. ეგრეთი იყვნენ, მაგალითებრ, თვით კათალიკოზები მალაქია (16...—ბესარიონი (1724—17...), ანტონი პირველი (1744—1788), რომელნიც ლათინელ სწავლულ ბერებს პატივს სცემდენ და მათგან სწავლობდენ. საქართველოში მეფეებზე ხომ მათ უფრო დიდი გავლენა ჰქონდათ.

[2]) იხ. «ივერია» 1884 წ. № 2, ჩვენი წერილი: «მთავარ-ეპისკოპოსი იოსებ სამებელი.»

ქართველოში მოგზაურობდა. ვ) ერთი იმ ქართველთაგანი, დეკანოზისშვილი მიქელა და ბერძენი არქიმანდრიტი სერგიოს, რომელნიც თან ახლდენ პატრიარხს, შემდეგ მშრომელად გახდენ ტფილისში დაარსებულ ქართულ სტამბაში. 1703 წელს შემდეგ, როდესაც ვახტანგი ქართლის გამგებლად დაინიშნა, (რადგან მეფე ქართლისა გიორგი სპარსეთის შაჰს ეხმარებოდა კანდაჰარის მფლობელის მირვეისის წინააღმდეგ), მან გამოიწვია მესტამბეები ვლახეთიდგან, ანუ ვალახიიდგან. მესტამბეთ უფროსი იყო მღვდელი მიხეილ სტეფანეს ძე უნგრო-ვლახელი; მან თან მოიყვანა რამდენიმე მესტამბენი. თვით მიხეილ სტეფანეს ძე და მისი მესტამბენიც, როგორც თვით იხსენიებს სახარების წინასიტყვაობაში, იყვნენ «ქართლისა უნახავნი», «უცხონი ქვეყანისა ამის და უსმენელნი სიტყვათა თქვენთა» (ქართველთა). ამისთვის მათ შემწედ მისცეს რამდენიმე ქართველნი, რომელთაც შეისწავლეს სტამბის საქმე. ამ უკანასკნელთ შორის უმთავრესნი იყვნენ მიხაილ მხატვარი, რომლის ნახატებით შემკულია უმეტესი ნაწილი დაბეჭდილი წიგნებისა (ამ ნახატთ შორის ხშირად გვხვდება სურათი თვით ვახტანგ VI-სა), გაბრიელ გარსევანოვი და სხ. მესტამბეების მოსვლის შემდეგ შეუდგნენ სტამბის მოწყობას და წიგნების დამზადებას დასაბეჭდავად.

მიხაილ სტეფანოვმა, უეჭველად, თან ჩამოიტანა სტამბისთვის უსაჭიროესი მასალა (დასგები, ქაღალდი და სხ.) ხოლო სხვა მასალები აქ, საქართველოში, დაამზადეს. თვით მიხეილ სტეფანეს ძე 1709 წ. სწერს: «ყოველივე საქმენი, რაოდენნი იხილვებიან, ასონი, ორნამენი და ყოველნი სახმარ-

ვ) საქართველოს სასულიერო მახარებელი.

ნი დაწყებით სრულ ყოფამდი მოქმედი და წინამძღომელი მე ვარ, უნდა მონა თქვენი» [4]). ჩვენის აზრით, ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ მან მოჭრილი ასოები თან ჩამოიტანა ვალა-ხიიდგან; უფრო დასაჯერებელია, რომ ასოები და სხვა მასა-ლები მომზადდა ტფილისშივე და, რადგან ამას კარგა ხანი მოუნდებოდა, უნდა ვიფიქროთ, რომ მესტამბეები ვალახიიდ-გან ჩამოვიდნენ არა გვიან **1707** წლისა. ასოების გარდა, როგორც სჩანს დაბეჭდილი წიგნებიდგან, დამზადდა მრავალი ნახატები. სტამბა გაიხსნა არა გვიან **1708** წლისა მეფის სასახლეს ახლოს, იოანე ნათლისმცემლის ტაძრის გვერდზე, სწორედ იმ ადგილას, სადაც ეხლა აშენებულია უწმიდესი სი-ნოდის კანტორა. სტამბას ეჭირა ათი ოთახი. [5]) ყველა ხარ-ჯი სტამბის გაწყობისა იტვირთა თვით ვახტანგმან, რომლის ხარჯით ის ინახებოდა **1724** წლამდის, როდესაც მეფე ვახ-ტანგი რუსეთში გარდავიდა და მისი სტამბაც გაუქმდა.

უმთავრესი მიზეზი სტამბის დაარსებისა, როგორც ვსთქვით, ის იყო, რომ «ხელით წერაში საღმრთო წერილნი განრყვნილ იყო» [5]) და «მამანი ქართველთანი დაკნინებულ იყვნეს სამღვდელოთა წიგნთაგან» [6]); ამისთვის საჭირო იყო, მინამდის წიგნების ბეჭდვას დაიწყებდენ, მათი გასწორება რი-გიანად. ეს საქმე არ იყო ადვილი და გამსწორებელთ დიდ დიდი სიფრთხილე მართებდათ. რუსეთში წიგნების გასწორე-

---

[4]) წინასიტყვ. სახარებ. 1709 წ.

[5]) Описаніе древностей г. Тиф. П. Іоселіани 1866 г. стр. 247.

[5]) წინასიტყვ. სახარ. 1709, კურთხევანისა 1713 წ. და სხვ.

[6]) წინასიტყვ. კონდაკისა 1710 წ.

ბის გაუფრთხილებლობამ დაჰბადა ეგრეთ წოდებული «რასკოლი» (განხეთქილება), რაისაგამო აწ რუსეთში ათ მილიონამდე მცხოვრებნი მოწყვეტილნი არიან წმიდას მართლ-მადიდებლობას და აღიარებენ იმ შეცთომათა, რომელნიც, დაუდევნელობისგამო, მოჰყვნენ პირველ დაბეჭდილ სლავიანურ საღმრთო და საეკკლესიო წიგნებს. მეფე ვახტანგმა ეს ძნელი საქმე მიანდო გამოცდილ და დახელოვნებულ მღვდელ-მონაზონთა ნიკოლოზს და გერმანეს და სამთავნელ ეპისკოპოზს გვიპრიანეს, მღვდელს გაბრიელს და სხ. [7] ამათში უფრო შესანიშნავნი არიან მღვდელ-მონაზონი ნიკოლოზ და ეპისკოპოსი გვიპრიანე.

ნიკოლოზ, გვარით ორბელიანი, ერისკაცობაში იყო მოსამართლეთ უხუცესი და იმ დროის შესაფერად განათლებული კაცი. 1716 წლიდგან მან მიიღო ხარისხი მროველ ანუ რუისელ ეპისკოპოსობისა. [8] წიგნების გასწორება (სასარებისა, სამოციქულოსი, პარაკლიტონისა და სხ.) მიენდო ვახტანგ მეფისგან მონოზონობაში 1707—1708 წ.წ. და თითქმის განუწყვეტლად შრომობდა წიგნების გასწორებაზედ და თვალყურს უგდებდა სტამბის წარმატებითს მოქმედებას 1724 წლამდის, როდესაც ეს სტამბა გაუქმდა, რადგან თვით მეფე ვახტანგი (დასჯილი თურქ-სპარსთაგან მისთვის, რომ მან შეკრა კავშირი რუსის ხელმწიფე პეტრე დიდთან) რუსეთში გარდავიდა. ნიკოლოზ მროველი მას გარდაჰყვა თან, სხვა მა-

---

7) წინასიტყვაობანი: სახარებისა 1709, ჟამნისა და კონდაკისა 1710 და 1713 წ.წ. პარაკლიტონი 1720 წ., კურთხევ. 1713 წ., და სხვ.

8) Гуджары церк. Д. Пурцеладзе 10—11.

ლად სამღვდელო პირთა რიცხვში. 9) რამდენიმე თვე დაჰყო ასტრახანში და შემდეგ გარდავიდა მოსკოვს, სადაც წელიწად ნახევარი დაჰყო უსაქმოდ იმ ულუფაზედ, რომელსაც რუსის მთავრობა აძლევდა ქართველ მღვდელ-მთავრებს, რუსეთში გარდასულთ. 10) მაგრამ ამ გვარ უქმად მზა-მზარეულის ჭამას მოსწყინდა მღვდელ-მთავარს. 1727 წელს იგი სწერდა უწმ. სინოდს: «რადგან... ულუფის მჭამელი ვარ მე აქ, მოსკოვს, ულუფა ვჭამო და მოსვენებით დავჯდე, ეს არც ღვთის ბრძანება და არც ჰსჯულის რიგია... დიაღ ღვთის უსამებელი საქმე შეიქნება... უმსახუროდ აქ ულუფის ჭამა ჩვენგან ძნელია... ამას გეხვეწებით მანდ (პეტერბურგში) დიდის ხელმწიფის (პეტრე-ის) საფლავზე, რათა ჩვენი სამსახური იყოს, ისე გვამსახურეთ»... 11) სინოდმა არ შეიწყნარა მისი თხოვნა, მაგრამ წირვის ნება მისცა მოსკოვში. 1732 წ. 22 აგვისტოს ნიკოლოზ მიიცვალა მოსკოვში. დანარჩენი მისი ქონება და ჯამაგირი (191 მან და 11 კაპ.), მეფე ვახტანგის შუამავლობით, რუს მთავრობამ მისცა განსვენებულის ძმას, დიმიტრი ორბელიანს, 12) რომელსაც თვალ-საჩინო ადგილი ეჭირა რუსის სამხედრო სამსახურში. 13)—მეორე უფრო თვალ-საჩინო მუშაკი ქართულ საღმრთო წიგნების გასწორებისა, როგორც ვსთქვით, იყო კვიპრიანე სამთავნელი ეპისკოპოსი, რომელსაც «მეცნიერებისა რისამე, (როგორც თვით იტყვის), ბერძულთა

9) Арх. св. Сvнода 1725 г. № 192.

10) «ივერია» 1884 წ. № 2 გვ. 38—40.

11) Арх. св. Сvнод. 1727 г. № 156.

12) ibid. 1734 г. № 300 (въ справкѣ).

13) «ივერია» 1882 წ. № 2. ჩვენი წერილი: «დავით გურამიშვილი და მისი დრო».

წიგნთა და ენისა სწავლულ იყო იერუსალიმის პატრიარქ დოსითეოსთან.» ამ უკანასკნელ პატრიარქს დასდევდა იგი მის საქართველოში მყოფობის დროს. წიგნების გასწორებას მან მიჰყო ხელი 1712 წ. ქართლის გამგებლის ვახტანგ მეფის ძმის სვიმონის დროიდგან, რადგან მაშინ თვით ვახტანგი სპარსეთში იმყოფებოდა. 1716 წლის შემდეგ, როდესაც სვიმონის მაგიერ ბაქარი დაინიშნა საქართველოს გამგებლად, როგორც სჩანს დაბეჭდილი წიგნების წინასიტყვაობათგან, მან შესწყვიტა თვისი შრომა; ამის შემდეგ წიგნების გასწორება მიენდო ისევ ნიკოლოზ მროველს.—დანარჩენნი მოხსენებულნი პირნი მხოლოდ ეხმარებოდენ ამ ორთა.

რაში მდგომარეობდა მათი შრომა? როგორც სჩანს მათ წინასიტყვაობათგან, რომელნიც ჩართულია მათგან დაბეჭდილ წიგნებში, ისინი მხოლოდ ამოწმებდენ ქართულ ხელნაწერ საღმრთო წიგნებს ბერძნულ დაბეჭდილ წიგნებთან და მართავდენ იმ ადგილებს, სადაც განსხვავება, მეტ ნაკლე სიტყვა ან ასო, აღმოჩნდებოდა. ეგრე გამართა, მაგალითებრ, წმიდა სახარება ნიკოლოზ რუსთველის ხელით «დიდის ჭირით ბერძენთა და ბეჭდის სახარებათა შემოწმებითა». ნიკოლოზს ამ რიგად გაუსწორებია, მაგალითებრ, ჟამნი 1710 წ., ლოცვანი, კონდაკი (იმავე წელს), პარაკლიტონი 1720 წ., ძველ აღთქმიდგან «მეფეთამდის და სხ. სახარებას ნიკოლოზმა ჩაურთო ვრცელი საძიებელი, რომელიც «არც ერთს ენაში არ იყოვო».—ამ რიგადვე ასწორებდა საღმრთო წიგნებს კვიპრიანეც. გარნა კურთხევანის წიგნი მას ხელახლა თვით უთარგმნია ბერძნულით, რადგან ქართულ კურთხევანში დიდი შეცთომები და მეტ-ნაკლულევანება აღმოჩენილა თარგმანში. შესწორებაში მას ეწეოდა არქიმანდრიტი სერგიოზი, ბერძნულში განვითარე-

ბუღდი პირი. ეს კურთხევანი დაიბეჭდა 1713 წ. [14]) კვიპრია-ნესგან დაბეჭდილ წიგნთაგან ჩვენ გვინახავს ჟამნი (მეორეთ დაბეჭდილი 1713 წ.) და საწინასწარმეტყველო, თუმცა, უეჭველია, მან მრავალი საეკკლესიო წიგნები გაასწორა და დაბეჭდა.

გარდა მოხსენებულის წიგნებისა ჩვენ გვინახავს ვახტანგ მეფის სტამბისგან გამოსული: 1. «ვეფხვის ტყაოსანი», დაბეჭდი-

---

[14]) იხ. წინასიტყ. კურთხევანისა 1713 წ. რადგან ეს წინასიტყვაობა არ არის ინტერეს მოკლებული ჩვენის ისტორიის მოყვარეთათვის, მოგვყავს იგი აქ: «ოდეს სუფევდა თვისსა სამეუფოსა შინა.... მეფე ვახტანგ იგულისმოდგინა და მოიყვანა ვლახეთით მესტამბე მიხაილ და გააკეთებინა სტამბა ფრიადითა წარსაგებელითა საფასეთათა. მრავალცა არიან წელნი ცხოვრებისა მათისანი. რამეთუ არაოდეს ყოფილიყო საქართველოსა შინა სტამბა და ხელითა წერითა მწერალთაგან საღმრთონი წერილნი ჩვენნი განრყვნილ იყვნენ. მას ჟამსა ოდეს განაგებდა საქართველოსა მათი სასურველი ძმა ბატონისშვილი... სვიმონ, ამათ მიერ მებრძანა მე, სამთავნელ კვიპრიანეს, ბერძულთა წიგნთა ზედა ჩვენთა წიგნებთა შემოწმება. რამეთუ მცირედისა რისამე ბერძულთა წიგნთა და ენისა სწავლულ ვიყავ იერუსალიმის პატრიარქ დოსითეოსთანა. საუკუნომცა არს სახსენებელი მათი. რომელიცა ძალმედვა თავით ჩემით შევამოწმე და გასწორებასა ვეცადე სიტყვა თუ ასო მეტ-ნაკლებობა და რომელიმე არქიმანდრიტის პაპა სერგიოზის კითხვითა და შემოწმებითა გავაკეთე იგინი, რომელნიცა უწინარეს წიგნნი დაიბეჭდა. და აწ კურთხევანი, რომელიცა ბერძულსა კურთხევანსა შინა წერილ იყო სრულიად უნაკლულოდ გარდმოვსწერე. ხოლო რაჟამს გარდმოვსწერდით ჩვენსა ენასა ზედა პირველთა მათ წიგნთა და შემდგომსა ამას, სხვანი წმიდანი მამანი საქართველოსანი ჩვენსა ენასა ზედა შესწორებასა გვეხმარებოდეს და დავბეჭდეთ ბრძანებითა და წარსაგებელითა საფასეთათა ქრისტეს მოყვარისა საქართველოს კეთილად განმგებელისა ბატონისშვილის სვიმონისათა. მრავალმცა არიან წელნი

ლი 1712 წელსა თვით მეფის ვახტანგის წინასიტყვაობით. ეს წიგნი ეხლა ძნელი საშოვნელიღაა, რადგან ქათალიკოსმა დომენტი III და შემდეგ თვით განათლებულმა ქათალიკოსმა ანტონიმ (პირველმა) და მრავალთა სამღვდელოთაგანთა დევნა დაუწყეს მას და მრავლად დასწვეს, [15]) 2. სწავლა, თუ ვითარ ჰმართებს მოძღვარსა სწავლება მოწაფისა (1711 წ.), შემოკ-ლებით თქმული დ̃ გარიგებული გერმანე მღვდელმონაზონისაგან»; 3. დაუჯდომელი» მხედრულად დაბეჭდილი ქაიხოსროს დროს (1710—1712 წ.) და 4. «ქმნულების წიგნი» ანუ «აიათი», თარგმნილი სპარსულიდგან ქართულად მეფე ვახტანგის მიერ.

---

ცხოვრებისა მათისანი—უკეთუ ვინმე თქვას, რაჲდ გვიხმდა ახალი გადმოთარგმნილი, რამეთუ პირველთა მთარგმანებელთა წმიდათა მა-მათაგან გვაქვნდა გადმოთარგმნილი, ჭეშმარიტად მათ წმიდათა მა-მათა ყოველივე ჩვენნი წიგნნი უნაკლულოდ გარდმოთარგმნეს, არამედ მწერალთა მიერ განრყვნილ იყო, ვითარცა თვით იგინივე წმიდანი მამანი წამებენ დავითის ბოლოში—და „მეფეთა“-ცა, ვითარცა შემოწმება და გასწორება გვიბრძანეს და ვერ ურჩ ვექმენით და აღვასრულეთ შეწევნითა ღვთისათა ბრძანება მეფეთა. აწ, გევედრებით... ზემოთქმულთა ამათ მეფეთათვის ლოცვასა აღასრულებდეთ და ამისა შემდგომად ნალ-ვაწისა ამისთვის ჩემ ცოდვილისათვისაცა შენდობას ბრძანებდეთ» .. შემდეგ დაბეჭდილია ლექსი:

«დავითის ნათესაობით სვიმონ არს გამგებელია;
დავითისებრი უფლებად ღმერთმან სცხოს საცხებელია.
დავითისგამო მფარველ არს ქალწულის ღვთისმშობელია.
და ვით გოლიათსა მათ მტერთა ნუ მისცეს საშვებელია».
«ღმერთო, შეიწყალე კვიპრიანე».

[15]) იხ. «ივერია» 1884 წ. №№ 2 და 3. ჩვენი წერილი: «მთავარ-ეპისკოპოსი იოსებ სამებელი და ქართულის სტამბის საქ-მე».

დაიბეჭდა მხედრულად (153 გვ.) ტფილისში 1721 წ.; [16]) შინაარსი წიგნისა არის სპარსული ვარსკვლავთ-მრიცხველობა, მოკლე გეოგრაფიული და გეომეტრიული ცნობები. 5. კურთხევა ეკკლესიისა და ოდიკისა» 1720 წ.

ეჭვი არ არის, რომ ვახტანგის სტამბიდგან მრავალი სხვა წიგნებიც დაიბეჭდა, მაგრამ იგინი ჩვენ ჯერ ვერ ვიპოვეთ. საეკკლესიო წიგნები თითქმის ყველა დაიბეჭდა გარდა თთვენისა და დაბადების წიგნისა. ამ უკანასკნელი წიგნიდგან დაიბეჭდა ძველი აღთქმა, გარდა ზირაქისა, იუდითისა, ეზდრა—ნეემიისა და მაკაბელთა. ზოგიერთი წიგნები მეორე გამოცემით გამოვიდნენ (მაგალითებრ: ჟამნი 1713 წ., ლოცვანი 1717 წელს).

1712 წელს შესამჩნევად შეიცვალა ბედი ქართულის სტამბისა. ამ წელს ვახტანგ მეფე სპარსეთში წავიდა და, რო-

---

[16]) რადგან ამ წიგნის წინასიტყვაობა, თვით ვახტანგ მეფისაგან დაწერილი, გამოსადეგია ჩვენის ისტორიისათვის, საჭიროდ ვრაცხთ უმეტნაკლებოდ მოვიყვანოთ: „იტყვის წინასწარმეტყველი დავით: „მე ვსთქვი განკვირვებასა ჩემსა, რამეთუ ყოველი კაცი ცრუ არს“ და თვით უფალი ბრძანებს: „არა ვინ არს სახიერ, გარნა მხოლოდ ღმერთი“, არა თუ ამისთვის არს ბრძანება ესე, ვითარმედ ყოველი კაცი ცრუ არს,—ნუ იყოფინ; არამედ ვერ ვის ძალუძს, თვინიერ მის მიერ მოვლინებულთა, სწორებით ცნობად საქმეთა უფლისათა და არცა ვინ არს ჭეშმარიტებით მცნობელ ამისა, რომელ არა იპოვა ამა შინა სიცრუვე;არამედ რაოდენთა მიეცა სიბრძნე და გულისხმისყოფა და მათ წყალობა იგი პატიოსანი უპატიოთა ზედა საქმეთა არა იშრომეს და რაოდენთა ძალ-უძლეს მისვე ქმნულთა მიწდომად დაშვრეს და განმარტნეს ფილოსოფოსთა მრავალ მეცნიერებანი და მათნი სწავლანი და ესეცა ვარსკვლავთ რიცხვა ერთი მათგანივე არს, და საქართველო მრავალგზის მტერთაგან მოოხრებულ იყო და არღარა

გორც ეტყობა, უმთავრესი მესტამბე მიხაილ უნგროვლახელმაც დასტოვა, ვგონებთ, საქართველო. ეს მაინც ვიცით, რომ ამის შემდეგ ის წიგნთა ბეჭდვაში მონაწილეობას არ იღებს. ამის შემდეგ მესტამბეთ იყვნენ ქართველნი: გიორგი მხატვარი, რომელიც შრომობდა სტამბაში 1790 წლიდგან 1721 წლამდის, კარის დეკანოზი მიქელ (1713 წლიდგან) და მღვდელი გაბრიელ, გარსევან უოფილი (სჩანს 1717 წლიდგან), ვახტანგ მეფის წასვლის შემდეგ, სტამბას ხელს უწყობდა მისი ძმა სვიმონ, რომელმან თავისი ხარჯით დაბეჭდა, როგორც მოვიხსენიეთ, მრავალი წიგნები (1713—1714) წ.) მაგრამ როდესაც (1714—1716 წ.) გამგეთ ქართლისა დაინიშნა მეორე ძმა ვახტანგისა, იესე, სტამბა, ვგონებთ, შეჩერდა და მხოლოდ იესეს განდევნის შემდეგ (1716 წ.), ვახტანგ მეფის ძის ბაქარის გამგეობის დროს (1716—1717), სტამბამ ისევ იწყო მოქმედობა, რომელიც არ შეჩერებულა 1723 წლამდის, როდესაც მეფემ დაჰკარგა ტახტი და 1724 წ. რუსეთში გარდავიდა.

---

დაშთომილ იყო ქართულსა ენასა ზედა სწავლა ესე ფილასოფთა, და სხვათა ენისა კაცნი ქართველთა ეკიცხოდენ და აწ მეფემან მეფეთამან ვახტანგ ეს სპარსული აიათი, რომელ არს ქმნულების ცოდნის წიგნი, ზიჯი, თალა, მასალა და სხვა ოქმების წიგნი ვთარგმნე მირზა აბდურიზა თავრიზელის წიგნის კითხვითა და თანაშეწევნითა და სტროლაბიც ქართულად გამოვილე, ნუ უკვე ისწავლონ და წადიერ იყვნენ ფილოსოფოსობისად და ინებონ და შეასრულონ ქართულისა ენითა ფილასოფობა და გამოიღონ. და ჩემთვისაც შენდობის მოქენე ვარ, რამეთუ საქმეთაგან საცნაურ არს, ვითარმედ მრავალნი ჭირნი მინახვან ამა წიგნთა ზედა და არცა თუ მეფობისა მსახურება დამიკლიეს“.

ჩვენ არ ვიცით, რა ბედი ეწვია სტამბას ამის შემდეგ. თან წაიღო ვახტანგმა თვისი სტამბა, თუ დაჰგდო იგი აქ, საქართველოში? ერთიდა მცირე საფუძველი გვაქვს მივემხროთ იმ აზრს, რომ სტამბა ვახტანგისა, საქართველოში დარჩა. როდესაც მეფე ერეკლემ (რომელშიაც დავრწმუნდებით ჩვენ ქვემო ამისა) განაახლა სტამბა 17 . . . წ., სხვათა შორის მოიხმარებულ იქმნა, როგორც სწერს ერთი მესტამბეთაგანი მეშრიბი დავით ფოროლანოვი, მეფე ვახტანგის დროინდელი ზოგიერთი იარაღები. [17]) მაგრამ ეს კი ნამდვილია, რომ ამ სტამბაში წიგნები არ იბეჭდებოდენ, ალბათ, იმ მიზეზით, რომ ის დაზიანებულ იყო 1724 წელს, როდესაც თათრებმა ტფილისი აიღეს.

## II.

## ქართული სტამბა რუსეთში.

მე XVIII საუკუნეში გაიხსნა ქართული სტამბა აგრეთვე რუსეთში: 1) იოსებ, სამებელის მთავარეპისკოპოზისა, ვახტანგის ძის ბაქარისა 2) ათანასე, ტფილელ მიტროპოლიტისა, 3) გაიოზ ასტრახანის მთავარ ეპისკოპოზისა და 4) იოანე ხარჭაშნელისა.

რადგან იოსებ სამებელის და ბაქარის სტამბაზედ ვრცელი გამოკვლევა არის დაბეჭდილი, [18]) ჩვენ საჭიროდ არა ვსთვლით

---

[17]) «Квказъ» 1846 წ. № 48 (გვ. 192).

[18]) „ივერია“ 1884 წ. № 2 და 3 სტატია: „მთავარ-ეპისკოპოსი იოსებ სამებელი“.

ამ სტამბაზე გავაგრძელოდ ლაპარაკი. მაგრამ ვსარგებლობთ შემთხვევით რამდენადმე შევავსოთ და გავასწოროთ იქ მოყვანილი ცნობები. იოსებ სამებელმა გააკეთა სტამბა მოსკოვში 1738 წელს, 15 ივნისს [19]) თავისა ხარჯით. სტამბის განწყობა მიანდო მღვდელ-მონაზონს ქრისტეფორეს (გურამიშვილს). წიგნების გასწორებაში შრომას იღებდა, ქრისტეფორეს გარდა, დარეჯანის არჩილის ასულის კარის მღვდელი გიორგი ლამბარიშვილი, ხუცეს მონაზონი დავით ხოსიაშვილი, არქიმანდრიტი ეფთიმი, ძმისწული იოსებ სამებელისა [20]) მელქისედეკ კაკასიძე, მდივანი მეფის ვახტანგისა, რომელიც მხოლოდ დაბადების გამოცემაში იღებდა მონაწილეობას, არქიმანდრიტი გერმანე; ეს ის გერმანეა, რომელიც ტფილისში ვახტანგის სტამბაში მუშაობდა 1709 წ. და ნიკოლოზ, მღვდელმონაზონის ხარისხში, ეხმარებოდა წიგნების გამართვაში. როგორც სჩანს ის ვახტანგს გარდაყოლია რუსეთში, სადაც მიიღო არქიმანდრიტობა; [21]) აგრეთვე ამ უკანასკნელის ძმისწულიც, მღვდელი მოსე მონაწილეობას იღებდა წიგნების გამართვაში (იხ. წინასიტყვაობა სახარებისა 1739 წ., და მეფისშვილი ვახუშტი. ქართულს წიგნებს მართავდენ რუსულზე ანუ, უკეთ ვსთქვათ, სლავიანურზედ. რადგან ქართულს (განსაკუთრებით ზატიკს, ლოცვანს და მარხვანს) ბევრი ლოცვები და რიგი აკლდა, და-

---

19) წინასიტყვაობა „სახარებისა“ 1739 წ.

20) ამას გადაუთარგმნია რუსულიდამ ქართულად კონდაკი 1740 წელს, რომლის ბოლოზე აწერია: „ღმერთო, ღირს მყავ ჩემის ქვეყნის ნახვას.

არქიმანდრიტი ეფთიმი“.

21) იხილე ზატიკის წინასიტყვაობა 1738 წლისა.

ნაკლისი გადმოთარგმნეს პირდაპირ რუსულით. ამ რიგად გასწორდა და 1738—1740 წლებში, იმპერატრიცა ანნას დროს, გამოიცა დავითნი, ზატიკი, სახარება, [22]) მარხვანი, ჟამნი, კონდაკი, სრული ანბანი და სხვ. ამ უკანასკნელს წელს გარდაკეთდა იოსების სტამბა ბატონიშვილის ბაქარის დახმარებით და სოფელს ვსესვიატსკაში (მოსკოვის ახლო) განაგრძეს სხვა წიგნების ბეჭდვა. დაიბეჭდა, მაგალითებრ: მარხვანი 1741 წ. (ქორონიკონი კი უზის უკთ), ლოცვანი 1743 წ. სრულის ქორონიკონებით, ზედნადებით, კინკლოსით და 12 თვის (სეპტემბრიდამ დაწყებული) კალენდარით, დამასკელი იოანე, 1744 წ. კონდაკი, სამღვდელმთავრო ჟამნი, დავითნი და სხ. ამავე დროს გამოვიდა, სრული დაბადების წიგნი (იხ. ამაზედ გამოკვლევა «ივერია» 1884 წ. №№ 2 და 3). გარდა ამ უკანასკნელის წიგნისა, რომელიც დაიბეჭდა, ვგონებთ, ბაქარის ხარჯით, ყველა იბეჭდებოდა იოსებ სამებელის ხარჯით.

სტამბა სამებელისა და ბაქარისა მოქმედობდა 1747—1749 წლამდის. 1750 წელს გარდაიცვალნენ სამებელიც (1 სეპ-

---

[22]) ამ სახარების წინასიტყვაობაში სწერია... საფასეთა და წარსაგებელითა არქიეპისკოპ. იოსებისათა გაკეთდა საბეჭდავი ესე მოსკოვს ქორონიკონს უკვ (1738 წ.) ივნისის 15"... იმავე წარწერისაგან სჩანს, რომ სახარება დაუბეჭდიათ უმეტნაკლოდ ,,ჩვენის (ე. ი. ვახტანგის სტამბის 1709 წ.) პირველს სტამბის სახარებაზედ, თვინიერ მისის საძიებელისა; ხოლო საძიებელი რუსული ვამდობინეთ ადვილად პოვნისა და მიხდომისათვის".

მოგვყავს მარხვანის წინასიტყვაობა, ჩვენის მეისტორიეთათვის გამოსადეგი: ,,ოდეს იპყრობდა და განაგებდა... იმპერატრიცა ანნა იოანესი, მას ჟამსა იგულისმოდგინა... სამებელმა იოსებ და მიბრძანა მე მღვდელ-მონაზონს ქრისტეფორეს სტამბის გაკეთება და გავაკეთებინე სტამბა დიდითა გულის-მოდგინებითა და წარგებითა საფასითა

ტემბერის, სარატოვში) და ბაქარიც (თებერვალს, მოსკოვში) და სტამბა სრულიად დაიხურა. სამებელმა რამდენიმე ნაწილი სტამბისა თან წაიღო (ასოები და დაზგები), რომელიც ანდერძით შესწირა ნათლისმცემლის მონასტერს. [23])

---

მისითა და დაიბეჭდა დავითნი, ზატიკი და სახარება და მერმე... ვიღვაწეთ წმიდისა ამის მარხვანისა მე... ქრისტეფორემ და კურთხეულის მეფის არჩილის ასულის დარეჯანის კარის დეკანოზმან გიორგი ლამბარაშვილმან და სხვათა ვიეთთა მოწმობითა და შეწევნითა მოვიღეთ რუსული მარხვანი და ოთხი ჩვენის ენისა და როგორც რუსული ტიბიკონი და რიგი უჩენდა ისე იმ რუსულს მარხვანზე ვასწორეთ და ისე შევკრიბეთ ნუსხითა ამ ჩვენს მარხვანში სამწუხრო და საცისკრო მუხლნი ზოგი მთლად ეწერა და ზოგს სძლისპირის მუხლს აკლდა და ევრეთვე სამწუხროსი და წარდგომის მუხლს ვეძებდით და თუ რომელსამე იმ ოთხს მარხვანში ვერ ვიპოვნიდით გიორგი მღვდელი გადმოთარგმნიდა და გავასწორებდით და თავის ალაგს დავსწერდით და ჩაურევდით. თუმცა ძილის-პირზე წინწილის მიცემა არ შეგვეძლო ზოგს ერთს ნიშანიც უზის შესატყობლად, რომე ახალი მუხლია ამ გვარი ყვავილი უზის * და ზოგს კი ვერ დაუსვით და დაგვრჩა და საწინასწარმეტყველოს ვინემდის ვიშოვნიდით იმავ ჩვენის მარხვანიდამა ვსწერდით და თავს და რიცხვს რუსულიდამ ვამოწმებდით და როცა ჩვენი საწინასწარმეტყველო ვიშოვნეთ თფილისის ქალაქს დაბეჭდილი, მერმე სრულ იმაზე ვაწერინეთ: გასწორებული იყო და იმას მივყევით..... სწავლულთა და მეცნიერთა ვევედრებით... ჩვენზე უდრტვინველად ყოველი ცთომილება ამ წიგნისა... გამართეთ“.

[23]) Арх. Св. Сvн. 17. . . № იხ. „ივერია“ № 3 გვ. 87 სტატია: „მთავარეპისკოპ. იოსებ სამებელი“.

## ქალების განათლების შესახებ,

### წერილი პროფესორის ტარასოვისა.

(დასასრული *)

ქალების საშუალო სასწავლებლის საფუძვლად რუსეთში არც ყოველ-მხრივი ცოდნაა, როგორც ინგლისში, არც პროფესიონალური, როგორც გერმანიაში, არც ერთიც და მეორეც ერთად, როგორც საფრანგეთში ახალი კანონისამებრ, და არც ისეთი წესი, რომ თავისუფლად შეეძლოს სასწავლო საგნების ამორჩევა, როგორც ამერიკაშია. ამიტომ ჩვენი ქალები საშუალო სასწავლებლებს რომ ათავებენ, ვერც უმაღლეს სასწავლებელში შედიან და ვერც ოჯახობას ეკიდებიან. ქალების განათლება ჩვენში მამა-პაპური არ არის, რადგან მისი პროგრამმა სულ სხვაა. თუმცა უკანასკნელ დროში გიმნაზიაში და ინსტიტუტში მოსწავლე ქალები ისე აღარ არიან ცხოვრებასა და ხალხს მოშორებულნი, როგორც უწინ, მაგრამ რადგან ამ სასწავლებლებში აღზრდა ისე არის მოწყობილი, რომ მოსწავლენი საფუძვლიანს სწავლას ვერ იძენენ, საიდგანაც დაჰბერს ქარი, იქით იდრიკებიან. სკოლის და ოჯახის შორის ნაკლე-

---

* «ივერია» № 9, 1885 წ.

ზად არის თანხმობა და უფრო მცირედ — საშუალო და უმაღლეს სასწავლებელთ შორის; ამ უკანასკნელ საგნის შესახებ მინდა რამდენიმე სიტყვა გსთქვა.

ჩვენს დროში ქალების საშუალო განათლება საკამათო საგნად აღარ ჩაითვლება. აღარ არიან იმისთანა გამბედაობის პირნი, რომ ამბობდნენ — ქალის სწავლა უმეცრება არისო. თუმცა მისი მომხრენი და მოწინააღმდეგენი აღარც არიან, მაგრამ მათ შორის ის განსხვავება კი არ არის, ვითომ ზოგნი საჭიროდ მიაჩნდეთ ქალების განათლება, და მეორეთ კი — მავნებლად, განსხვავება ის არის რომ მომხრენი ცხადად გვაჩვენებენ, სადამდის უნდა მიაღწევდეს სწავლა და მოწინააღმდეგენი კი ვერ ამბობენ, რამდენად ნაკლებ უნდა იყოს ქალი კაცზედ განათლებული. მაშასადამე ამ საქმეზედ ბაასით თვით განათლებას არავინ არ უარყოფს და მხოლოდ სადავოდარჩებოდ ის არის გამხდარი, რა უნდა ჰქონდეს საგნად ქალების განათლებას, და რა წესით უნდა სწარმოებდეს იგი. ეს ითქმის საშუალო განათლებაზედ. უმაღლეს განათლების საჭიროება კი ახლაც გაცხარებულს ბაასს გამოიწვევს ხოლმე. ბევრია მისი მოწინააღმდეგე. ამ საგნის გადაწყვეტაზედ დამოკიდებული ისიც, იქნება როდისმე ქალი უფლებებით თანასწორი კაცისა, ნება ექმნება ასრულოს ყველა საქმე საზოგადოებრივ ცხოვრებაში, განთავისუფლდება როდისმე მამა-კაცთა კანონ-მდებლობისაგან, თუ არა? რასაკვირველია, უმაღლესი განათლება ქალებისა საშუალო განათლებას მოწყვეტილი არ უნდა იყოს, რადგან განათლება თავიდგან ბოლომდის წყობილ სისტემას უნდა წარმოადგენდეს და არა ურიგოსა და უწესო საქმეს, რომელსაც მუდამ შეკეთება ეჭირება. ამიტომ, სადაც კი არსებობს უმაღლესი განათლება, იქ საშუალო მისთვის უნდა

ამზადებდეს, თუმცა, ამასთანავე იგი არა ჰკარგავს თავის საკუთარ მნიშვნელობას. მაშასადამე, უმაღლესის განათლების საქმის გადაწყვეტით, გადაწყდება საშუალო სასწავლებლის პროგრამმა და სისტემაც, მოსამზადებელი სწავლის წესიცა და ვითარებაც.

ფიზიოლოგიით და ანატომიით ამტკიცებენ, რომ ქალის ტვინი ვერ შეაძლებს უმაღლეს მეცნიერების შესწავლას და თვით აგებულება ქალისა ისეთია, რომ ყოველ ნაირ საქმისთვის არ გამოდგებაო. პირველის აზრის უსაფუძვლობის დასამტკიცებლად ფაქტები არის, რომ ქალს კაცზედ ნაკლებ არ შეუსწავლია მეცნიერება; ამას გარდა მის უსაფუძვლობას ამტკიცებს სპეციალური გამოკვლევა ერთის საპარლამენტო კომისიისა ინგლისში და სპეციალურად გამოთქმული აზრი რამდენიმე პროფესორისა, რომელნიც უნივერსიტეტში ქალებსაც ასწავლიდნენ. ქალების ტვინის ნაკლულევანებაზედ მითითებას, თუ ეს მართალია, მაშინ ექნება დასამტკიცებელის საბუთის მნიშვნელობა, როცა ნამდვილად გამოიკვლევენ, რომ ეს გარემოება არ არის შედეგი ცუდათ წარმოებულის საშუალო განათლებისა. ზოგი ფიზიოლოგი ამბობს, ქალს საშუალოდ ტვინი ნაკლები აქვს, ვიდრე კაცსაო. მაგრამ ჯერ ერთი, რომ ტვინის წონით და სიდიდით მარტო მაშინ შეიძლება გონების ძალა გავსინჯოთ, როდესაც მათ შევადარებთ მთელის ტანის წონას და სიდიდეს. და ამ მხრივ კი არც ერთი ხეირიანი გამოკვლევა არ ყოფილა არც კაცის და არც ქალის შესახებ. შემდეგ, ტვინს, როგორც ამტკიცებენ თვით ფიზიოლოგები, განვითარება შეუძლიან, და მაშასადამე, თუ ახლა ქალს ტვინი ნაკლები აქვს, ვიდრე კაცს და, უფრო ცუდიც, შეგვიძლიან იმედი ვიქონიოთ, რომ შემდეგში ეს განსხვავება გაქრება, კარგის განათლების საშუალებით. ამ შენიშვნას უფრო ქალის ტვინის სასარგებლოდ

ამბობენ ვიდრე სამტროდ: რამდენი საუკუნეა, რაც ქალი უმეცრებაში და სიბნელეში იმყოფება, და კაცის განათლებას კაზრუნავს საზოგადოება და სახელმწიფო და მაინც მათ ტვინთა შორის განსხვავება ისეთი მცირე არის, რომ არც კი ღირს სათქმელად. თუ არა და, ნუ თუ ბუნებამ, ყველაფრის ბრძნულად მომწყობმა, ქალს საუკუნოდ უმეცრება არგუნა წილად? მე მგონია რომ ტვინის ნაკლებულება შედეგია მის საუკუნეთა განმავლობაში დაჩაგრულის მდგომარეობისა, როდესაც არა ჰქონდა არავითარი ვარჯიშობა, და არა მისი სხეულის აგებულობისა. რაც შეეხება იმ აზრს, რომ ქალის სხეული ვერ შესძლებს ყოველ-ნაირ მოქმედებას, ამას არღვევს მრავალი მაგალითი, ისეთის ბეჯითობით შეკრებილი მილლისაგან. ბუნებაზედ ჭკვიანნი ხომ არ არიან ამ აზრის მთქმელი ანატომები:—ბუნებამ არავითარი განსხვავება არ დააწესა დედალ-მამალ ცხოველთა მოქმედების შორის, ხშირად დედალი მამალზედ მეტსაც აკეთებს. ამიტომ მე ამ მხრივ არავითარ განსხვავებას არ ვხედავ ქალსა და კაცს შორის. ჩემის აზრით, ქალების უმაღლეს განათლებაზედ სჯა საზოგადოებრივის და კულტურულის მხრით უნდა იყოს და არა ანატომიურისა და ფიზიოლოგიურის მხრით, მით უფრო რომ ფიზიოლოგიისა და ანატომიის წარმომადგენელნი ძალიან შორს არიან ერთმანეთზედ ამ საგნის შესახებ და ამით უფრო ცხადად ამტკიცებენ თავის უღონობას.

მრავალია სოციალური საგანი, მაგრამ არც ერთს მათგანს არა აქვს ისეთი მნიშვნელობა ხალხთა ისტორიულ ცხოვრებისთვის, როგორიც ქალების უმაღლესს განათლებას, თუმცა იგი ყოველთვის უყურადღებოდ ყოფილა და არის ახლაც დატოვებული. ამ საგანს ისევ ძველებურად უყურებენ, იმ ან-

დაზისა არ იყოს: «შეჩვეული ჭირი მირჩევნია, შეუჩვეველ ლხინსაო.» ყოველი ნაბიჯი წარმატებისა ბრძოლაა ცრუ-მორწმუნოებასა და ძველის შეხედულების წინააღმდეგ, და თუ ქალების განათლების საქმემ უფრო მედგარი ბრძოლა გამოიწვია, ეს გარემოება აშკარად ამტკიცებს, რომ ამ საგანს უპირველესი ადგილი უჭირავს კაცობრიობის წინ-სვლაში.

საზოგადოებრივის და კულტურულის მხრით უყურებენ ქალების განათლებას მის მოწინააღმდეგენი და შემდეგ შენიშვნას გვაძლევენ: «უმაღლეს განათლებით შეირყევა ოჯახი — საფუძველი საზოგადოებისა, რადგან მაშინ ქალი ველარ შესძლებს კარგს ცოლობას, დედობას და შვილების აღზრდასაო». ამ შენიშვნას უფრო გერმანიელები იძლევიან, მაგ. გრეინზერგი. საზოგადოდ იქ ძალიან მტრულად უყურებენ ქალების უმაღლეს განათლებას. მხოლოდ თითო-ოროლა უნივერსიტეტი ან ფაკულტეტი აძლევს ქალებს სწავლის ნებას, მაგ. გეტტინგენის უნივერსიტეტი. თითქმის აგრეთვე უყურებენ ამ საგანს საფრანგეთში, თუმცა 1861 წ. სორბონაში დააფუძნეს ქალებისთვის უმაღლესი კურსები მინისტრი დიურიუის მეცადინეობით; აქ 1861—1882 წლამდის 138 ქალმა მიიღო სხვა და სხვა ხარისხი სწავლულობისა ბაკალავრიდგან დაწყობილი დოქტორობამდის. ეს რიცხვი, რასაკვირველია, სულ არაფერია, მეტადრე ამერიკას რომ შევადაროთ, სადაც მრავალი ქალია, რომელთაც უმაღლესი განათლება მიუღიათ. ამერიკაში ქალი მასწავლებლობს, (მარტო ერთის ნიუიორკის შტატში 30,000 ქალია — მასწავლებელი) ექიმობს (ქალებს საკუთარი საექიმო სკოლა აქვსთ); მისდევს მეცნიერებას, ხელოვნებას, ქადაგებას, ადვოკატურის, სახელმწიფო და საერო სამსახურს, პოლიტიკას; სამსახური აქვს ხაზინაში, ტელეგრაფში, ბანკში, ფოს-

ტაში, პოლიციაში, გაჰრობს, მართავს რკინის გზებს (მისსურის შტატში) სტამბებს, წიგნებს ბეჭდავს, მამულებს იღებს იჯარით და სხვ... მაშასადამე ეს შენიშვნა გამტყუვნებულია თვით გამოცდილებით. გამოჩენილი ლიუტიხის პროფესორი (ბელგიაში) ტრონზენსტერი ამტკიცებს, რომ ქალი იმასვე უნდა სწავლობდეს, რასაც კაცი, და სხვათა შორის ასახელებს იმ ფაქტს, რომ ყველა გამოჩენილ პირს, გამოჩენილი დედა ჰყოლიათ, რომ კაცის აღზრდა დამოკიდებულია მის დედის აღზრდაზედ და აღზრდის ნაწილი ხომ განათლებაც არისო. დედის გავლენა მთელს სიცოცხლეში ეტყობა კაცს და, რადა თქმა უნდა, რამდენადაც დედა განათლებული არის, იმდენათ შვილი მოშორებული იქნება უზნეობას, მავნე წადილს და სხ. ამისთანა დედა თავის ქალს ტიკინათ არ გაზრდის და ვისმე უსინდისოს და გარყვნილს არ მიათხოვებს. კარგად აღზრდილი დედა, შვილებსაც კარგად აღზრდის, როგორც კარგი კაცი შემდეგ კარგ მამათ გახდება. დედას შეუძლიან დიდი სარგებლობა, მაგრამ დიდი ვნებაც შეუძლიან მოუტანოს შვილს; ეს იმაზედ არის დამოკიდებული, რა მისწრაფებით არის სავსე მისი სიცოცხლე და რა ღონისძიებს მოუძებნებს: მატერიალურს, გონებრივს და ზნეობრივს. ესე ყოველივე ბუნებით არ ეძლევა დედას, არამედ იმ განათლებით და გამოცდილებით, რომელსაც იძენს სკოლაში, ოჯახში და საზოგადოებაში. სასარგებლო მონაწილეობის მიღება საზოგადო საქმეებში შეუძლიან მარტო იმ ქალს, რომელიც მეცნიერულად მომზადებულია, და შეუძლიან ცხოვრების გაგება და შესწავლა. ამბობენ, თუ გინდა აღზრდა ერთმხრივი არ იყოს, შვილები ქალისა და კაცის ზედამხედველობის ქვეშე უნდა ავზარდოთო; თუ კი ეს ასეა, მაშ რათ უნდა იყოს ქალი განათლებული და

ქალი კი, რომელიც იმავე საქმეს აკეთებს, მხოლოდ ოდნავ მცოდნე ანბანისა? ვინ იტყვის, რომ გაუნათლებელიც ისევე კარგად აღზრდის შვილებსაო, როგორც განათლებული და რომ ის არ იქნება მიზეზი მათის გარყვნილებისა, ზარმაცობისა და სხ. ვინ არ იცის, რომ მომავალ თაობის აღზრდას ხელს ჰკიდებს მხოლოდ სხვაზედ მეტად განათლებული ქალი და, თუ რეგვენმა ვინმემ მოსჭიდა ხელი ამ საქმეს, მის შედეგიც მალე გამოჩნდება ხოლმე. მაშასადამე, თუ კი განათლება არ უშლის ქალს ხელი მოჰკიდოს სხვის შვილების აღზრდას, რაღა დაუშლის თვის შვილების აღზრდას? ვისაც ოჯახის სიყვარული არა აქვს, ეძნელება შვილების აღზრდა ის უგანათლებოთაც ასურხებს, თავისი დრო სულ უბრალოდ გააფუჭოს, მაგ. ბანქოს თამაშობაშიდა მეოჯახე კი ყოველთვის იპოვის დროს, რომ შვილებსაც არა დააკლოს რა და მეცნიერებასაც თვალ-ყური ადევნოს. ბევრი მაგალითია რომ ბანქოს, ღვინის ან სხვის რისამე სიყვარულით, დედას შვილები სხვისთვის მიუტოვებიათ, მაგრამ ჯერ მაგალითი არ ყოფილა, რომ ესევე ჩაედინოს დედას მეცნიერების სიყვარულით.

ახლა განათლებული მეუღლე ვნახოთ. ამბობენ, უმაღლესად განათლებული ქალი ცუდი ცოლი არისო.

ყველამ იცის, რომ ცოლს თვის მდგომარეობით ოჯახში დიდი გავლენა აქვს საზოგადო და სახელმწიფო ცხოვრებაზედ, რომ მის უსაქმურობას, არაფრის ცოდნას და გარყვნილებას შეუძლიან მავნებელი გავლენა იქონიოს ცხოვრებაზედ. საშუალებანი, რომელნიც ქალის გარყვნილების წინააღმდეგ ხმარობენ, ხშირად ვერ მიაღწევენ ხოლმე თვის მიზანს, და მავნებელნიც არიან, მაგ. კანონი საშუალო საგუბერნეებში ქალების უსირცხვილობის, გარყვნილობის და ფულის ფლანგვის წინა-

აღმდეგ. ამისთანა შემთხვევაში ერთად-ერთი საიმედო საშუალებად განათლება უნდა იყოს. მაგრამ აქ კითხვა იბადება—რისთვის უნდა ისწავლოს ქალმა და რა? ზოგნი ამბობენ, იგივე, რასაც კაცი სწავლობს: თუ კი განათლებული კაცი ისევ კარგ მამათ და ქმარად რჩება, რატომ განათლებულ ქალს კი არ შეუძლიან კარგი დედობა და მეუღლეობა? მეორენი, უფრო გერმანიელები, ამბობენ, ქალი უნდა საცოლოდ და სადედოდ მზადდებოდეს და ამიტომ მას სწავლა კაცზედ ნაკლებ ეჭირვებაო. მაგრამ, როგორ იქნება ქალის მხოლოდ საცოლოდ მომზადება, როცა სტატისტიკა ამტკიცებს, რომ 40 % მეტი მათგანი არა თხოვდება. ან რის ძალით ამტკიცებენ, რომ ცოლის და დედის ვალდებულებას ნაკლები განათლება უნდა, ვიდრე მამისას და ქმრისას? სად არის სამძღვარი ნაკლებობისა და მეტის, მით უფრო რომ ცნება «ცოლი» ყველას თავისებურად ჰყურება: ერთს ცოლი მეუღლეთ უნდა, მეორეს საყვარლად, მესამეს შვილების საყოლად, მეოთხეს—ოჯახის მომვლელად, მეხუთეს ცოლი აუცილებელ, უბედურებად მიაჩნია, მეექვსეს—სატანად. მაშასადამე ყველა თავისებურად გადასწყვეტს მის განათლების მეტნაკლებობას. ასეთი განსხვავება ცოლზედ შეხედულებაში, ცალკე პირებს კი არა, თვით ხალხებსაც აქვსთ. მაშ როგორ ვსთქვათ—ამ სამძღვრამდის განათლება სასარგებლოა ქალისთვის და მეტი კი მავნებელიო? ნუ თუ უბრალოება, ყბედობა და ლაქლაქი, ჭორიკანაობა, სამკაულებზედ ზრუნვა, სეირნობა, ბალები და მასკარადები, მეცნიერულის ინტერესის უარ-ყოფა—ყველა ამ შედეგს უფრო განათლებისას შეუძლიან მისცეს ქმარს სასიამოვნო მეგობარი და აღმზრდელი შვილებისა? ჭეშმარიტება არის, რომ ოჯახი ქალზედ არის დამყარებული, რომ ზოგი ქმარს სახლისკენ იზიდავს და ზოგი სულ

გარეთ აგდებს, მაგრამ რომელს შეუძლიან ოჯახის მოწყობა და ქმრის მიზიდვა? ნუ თუ ამ საქმისთვის ქალის უმეცრება და გაუნათლებლობა არის საჭირო?

ამბობენ, განათლებული ქალი ოჯახს ვერ მოუვლისო. ოჯახს ახლაც ვერ უვლიან, იმიტომ კი არა, რომ განათლებულნი არიან, არა, მხოლოდ იმიტომ, რომ არაფერი იციან, გრძნობით ცხოვრობენ და არა გონებით. უსაქმურობის გამო მოწყენილობას სჩივიან, დროს ოცნებებში ჰკარგავენ. ოჯახის მოუვლელობის მტრები ეს გარემოებაა ე. ი. იგივ გაუნათლებლობის შედეგი. არა სჯობს, რომ ქალი განათლებული იყოს და ესმოდეს, რომ იგი არ არის ქმრის მოსამსახურე და შვილების გამზრდელი, არამედ მეუღლე და მეგობარი პირველისა და აღმზრდელი მეორეთა? მეოჯახობა კარგია, მაგრამ როგორ გვიყვარდეს ის ქალი, რომელიც თავის დღეში სულ სამზარეულოზედ ლაპარაკობს და იმახის, რომ ჩემის ოჯახის გარეშე, თუნდა ქვა ქვაზედაც ნუ დებულაო? ხანდახან სასიამოვნოა ცოლისგან გაიგო, ფუთი პური როგორ ფასობს, მაგრამ უფრო სასიამოვნოა, მასთან ერთად საინტერესო წიგნის წაკითხვა, საზოგადო საქმეებზედ სჯა და მისგან ცოცხალის სიტყვის გაგონება. პირველს მოთხოვნილებას მზარეულიც დაგიკმაყოფილებს, მაგრამ მეორეს, სულიერის მოთხოვნილების დაკმაყოფილებას-კი მხოლოდ განათლებული ცოლი შესძლებს.

შემდეგ, გარყვნილებას გვისახელებენ, ვითომ იგი მეცნიერების შედეგი იყოს და თუ ქალი გარყვნილია ხომ ოჯახიც ირღვევაო. მაგრამ, ვინ არ იცის, რომ ქალების უმეტესი ნაწილი ანატომიის, ლოგარითმების, ლოღიკის და სხვათა საგნების წყალობით არ ირყვნება. თუ ქალს საყვარლის ყოლა უნდა, იმოვის ულოღიკოთაც და განათლებულ როსკი-

პებზედ მე კი არა გამიგონია რა. თუ ჩვენს დროში გარყვნილებს ვხედავთ, არ უნდა მივაწეროთ უმაღლეს განათლებას, რადგან განათლებული ათასში ერთი ძლივს მოიძებნება. ცოლ-ქმრობა-ში უთანხმობა ჩვენს დროში ხშირია, ძალიან ხშირი, მაგრამ ყოველთვის ხომ ქალი არ არის დამნაშავე და ეს მოვლენა და-ბალ გაუნათლებელს ხალხშიც ისეთივე ხშირია, როგორც მა-ღალ ვითომ განათლებულ საზოგადოებაში.

უმაღლესად განათლებული ცოლ-ქმარი ყოველთვის უთან-ხმოებაში იქნებიან, რადგან ორივე ეცდება უფროსობა დაიჩე-მოს და ერთმანეთს არას დაუთმობენო. ვის არ გაუგო-ნია, თუ თვით არ უნახავს, რომ ზოგი კაცი ივიწყებს თვის და გაუნათლებელ ცოლის შორის განსხვავებას, და ცოლს თა-ვისუფლებას აძლევს, ყველაში ემორჩილება. და ამის შედეგათ ის გამოსულა, რომ ცოლს გამოუჩენია უსაზღვრო თავმოყვა-რეობა, საშინელი, ველური ეგოიზმი და თვის ზნეობრივ და იური-დიულ ვალდებულების შეუგნებლობის გამო, ოჯახი დაუღუპია. მხოლოდ ყოველ მხრივ განვითარებულს შეუძლია შეიგნოს თვის დამოკიდებულება ხალხთან, და ეს განვითარება შეიძინება, ფიზიკურ და ზნეობრივ აღზრდის გარდა, გონებრივ ვარჯიშობითაც. ის საბუთი, რომ ბევრი კაცი გაუნათლებელ ცოლთანაც ბედნიერია, არ ამტყუნებს ჩვენს აზრს, რადგან კერძო პირის ბედნიერება არის და არა ნამდვილი, ყველასთვის სასურველი. საზოგადოების კეთილ-დღეობას კი ასეთი ყველასთვის სასურველი დამოკიდე-ბულება უჭირს ცოლ-ქმარ შორის. ეს ბედნიერება, როგორც კერძო პირის ბედნიერება, კერძო მნიშვნელობი-სავაა და სრულიადაც არ ამტკიცებს, რომ საზოგადოდ ურ-თიერთობა ცოლ-ქმართ შორის, ნამდვილია და რიგიანი. ხო-

და ბედნიერება საზოგადოებისა დამყარებულია სწორედ ამ ურთიერთობის რიგიანობაზედ, სინამდვილეზედ.

განათლებული ქალი გრაციას ჰკარგავსო და, ქალურ მომხიბვლელობას, სიკეკლუცეს მოკლებული, პედანტობას იწყებსო, ამბობენ მოწინააღმდეგენი... განა სარწმუნოება ხშირად ფარისევლობად არ შეიცვლება ხოლმე და გრაცია საზიზღარ გლაკვნათ და პრანჭვად? მაგრამ არავინ ამბობს, სარწმუნოება საჭირო არ არისო. პედანტი კაციც ბევრია, ბევრი ჰგავს იმ მოლას, ნაჭრებად დაჭრილი ყორანი რომ შეჭამა, მაჰმადის სული და გული სულ ჩემში დაიბუდებსო, და აქამდის კი არავის უთქვამს, კაცს განათლება ავუკრძალოთო. სწავლა, როგორც ყველა წოდებისთვის, აგრეთვე ორივ სქესისთვის არის საჭირო. ყველა წოდებას შეუძლიან ისწავლოს, და ორივ სქესსაც უნდა მიეცეს უფლება, რადგან ამაზედ არის დამოკიდებული პროგრესიული ცხოვრება საზოგადოებისა, მით უფრო რომ ეს მნიშვნელობა განათლებისა უფრო მეტს აიწონს, ვიდრე ყველა შენიშვნები მოწინააღმდეგეებისა, სულ მართალიც რომ იყვნენ. ტანის სიმშვენიერეს უმეცრება აფუჭებს და ჰღუპავს და არა სხვა რამ. სილამაზე კარგია, მაგრამ დროებითს, ჩქარა დასავიწყარ შთაბეჭდილებას ახდენს. გიოტესი არ იყოს, რაც ელვარებს, ჩქარა ჰქრებაო; და როდესაც სილამაზეს ემატება გონების და ზნეობის სიმშვენიერე, როდესაც ტანი და სული ერთმანერთს ამკობენ, მაშინა აქვსთ მათ დიდი მნიშვნელობა. რუსსო ამბობს: «ქალის მხოლოობით ღირსებას რომ სილამაზე შეადგენდეს, მაშინ ყველა არა ლამაზმა ქალმა თავი უნდა ჩამოიხრჩოსო? შეიძლება მითხრან, ბევრს ჭკვიანს ქალს მოუპოვებია სიყვარული და პატივისცემაც თუმცა გაუნათლებელნი ყოფილანო. ძლიერი გონება ყოველთვის გამოჩნდება, რაც უნდა

დიდი დაბრკოლება დაუყენოთ წინა, როგორც თესლი ამოვა ხოლმე, თუმცა ზედ მიწას აფარებენ. კაცეც გამოიჩენს ხოლმე ჭკუას უმეცნიერებლოდ, მაგრამ ვინ იტყვის — ამიტომ ქალს განათლება არ უნდაო? მართალია, უმაღლესად განათლებული ქალი რაღაც არა ქალურ შთაბეჭდილებას ახდენს, მაგრამ ეს იმიტომ, რომ ჯერ არ შესჩვევია მას ჩვენი თვალი, და ამას გარდა, სულ კაცებში ატარებს იგი თვის დროს, რადგან გაუნათლებელს ქალებს ველარ ურიგდება; მას ცოტათი კაცური ხასიათები აქვს; რადგან განათლებულნი ქალნი ცოტანი არიან, თვით განათლებულს ქალებს ჰგონიათ რაღასაც საკვირველს ჩავდივართო, და ხან რცხვენიათ, ხან ყურადღების მიპყრობას ცდილობენ და კრთობ, ბუნებრივად არ იქცევიან. ჩვენ ნუ დავივიწყებთ, რომ ხშირად საძაგელ თვისებას გამოიწვევს ხოლმე საქებელი წადილი და მინამ ადამიანს ლტოლვილება აქვს, მინამ შეცდომაც ბევრი მოუვა. შეცდომები ყველა საქმეშია, ნუ თუ ამ შეცდომების მიზეზით უარვყოთ განათლება?) ტენი გვიამბობს, რომ მსწავლულები და ფილოსოფოსები მე XVIII საუკუნის თვით იმდაბლებდენ თავს და დადიოდნენ ხოლმე გამოჩენილ ხალხებში, სადაც იკრიბებოდნენ ლამაზი, ჭკვიანი, სტუმართ მოყვარე და სრულიად გაუნათლებელი ქალებით; მათ საშუალებით საზოგადოებაში ახალი აზრები ვრცელდებოდაო, რადგან იქ დიდი საზოგადოება იკრიბებოდაო. მაშასადამე ეს ქალები შველოდნენ მსწავლულებს და თვით კი არამც თუ არაფერს ჰკარგავდნენ, არამედ უფრო მშვენიერდებოდნენ, რადგან, გონება ეხსნებოდათ. ახლა კი ამ გვარმა ქალების სალონებმა დაჰკარგეს თვის მიმზიდველი ძალა, და ქალების ამ მხრივი გავლენაც შესწყდა საზოგადოებაზედ. დარწმუნებული უნდა იყოს ქალი, რომ თუ განათლება არ მოძებნა, თვით განათლება უფრო არ

მიადგება მას კარზედ, როგორც უწინ. ამით ქალიც მოიგებს და მეცნიერებაც. მსწავლულთ აღარ მოუნდებათ დამდაბლება, როგორც წარსულ საუკუნეში და ქალი კი ისევ მიიზიდავს საზოგადოებას და ისევ პროგრესის მთესველი შეიქნება.

ერთი შენიშვნა კიდევ დაგვრჩა ჩვენის მოწინააღმდეგეთა. ქალს რომ უმაღლესი განათლება მიეცეს, ყველა ნაირ მოქმედებას დაიწყებსო და კაცს საზარელ მოცილეობას გაუწევსო. ამისი თქმა კი სულ სირცხვილია! რატომ არ დაუშალა მოცილეობამ ორთქლის მაშინების და რკინის გზის შემოღებას? რატომ არ შეეშინდათ კაცებს მოცილეობისა, როცა ქარხნებში ქალები კი არა, ბავშვებიც მიიღეს? რად ეშინიანთ ასე ამ მოცილეობისა? იქნება ამ სიტყვებში სხვა რამ აზრი იმალებოდეს, რომლის გამოთქმას ვერა ბედავენ? საქმე ის არის, რომ ქალს რომ ნება ჰქონდეს ყოველ-ნაირად მოქმედებისა, მაშინვე გამოვა ახლანდელ მონურ მდგომარეობიდგან და კაცს გვერდზედ დაუდგება, როგორც მისი თანასწორი და არა მასზედ ნაკლები, ერთის სიტყვით კაცის ბატონობას ბოლო მოეღება და კიდეც ეს არ მოსწონს ბევრს, მით უფრო, რომ მაშინ კაცი ასე ადვილად ვეღარ შევა პროფესის არჩევანში, როგორც ეხლა. წარმოიდგინეთ, საშინელება არ იქნება, რომ კაცი სტოლონაჩალნიკობას ელოდეს და ეს ადგილი ცოლმა წაართვას და მკერვალობა დააწყებინოს?! ამის შიშით, რასაკვირველია, ბევრს შეუძლიან დაიწყოს ყვირილი: უმაღლესი განათლება გარყვნის ოჯახს, გახრწნის საზოგადოებას და დაარღვევს ყოველს წესსა და წყობილებასა და სხვ. და სხვ, ჩვენ საზოგადო სარგებლობა ვიქონიოთ სახეში და საქმე ისე გავსინჯოთ; არ ემჯობინება საზოგადოებისთვის, რომ უვარგისი სტოლონაჩალნიკი კარგ მკერვალათ გახდეს და უხეირო მას-

წავლებელი-ქალი კარგ სტოლონაჩალნიკათ?

თუმცა ქალების უმაღლესი განათლება ახალი საქმეა, თუმცა მას ბევრი მტერი ჰყავს, და ბევრი წინააღმდეგობაც გაუწიეს, მაინც ყველგან გზა გაიკვლია და ქალებს ცოტათი მაინც მიეცათ ნება უმაღლესის განათლების მიღებისა.

რუსეთში პირველი მაგალითი ქალებისთვის უმაღლეს სასწავლებლის გახსნისა—საექიმო კურსების დაარსება იყო, სამხედრო მინისტრის წინადადებით. კურს გათავებულს აკადემიური ნიშანი ეძლეოდა გულზედ სატარებლად. სხვა ქალაქების გარდა, სადაც უნივერსიტეტებთან ერთად უმაღლესი კურსებია ქალებისთვის, პეტერბურგში არის ბესტიუჟევის კურსები, პედაგოგიური კურსები და სპეციალური კლასი ფრანსიულის ენისა. დასახელებულ სასწავლებლებში მხოლოდ საშუალო სასწავლებელში კურს-შესრულებულნი შედიან. აქვე არის სპეციალური კურსები, საიდგანაც გამოდიან საბავშვო ბაღების (ფრებელის) მასწავლებლათ, მოსკოვში საოსტატო სემინარია... თითქმის ყველა ქალაქში არის საბებიო, საფერშლო და სხ. სკოლები. ზოგ სასწავლებელში ქალი და კაცი ერთად სწავლობს, მაგ სამხატვრო აკადემია, კონსერვატორიები პეტერბურგში, მოსკოვში და ვარშავაში. მუსიკალური, საანგარიშო, სტენოგრაფიისა, ტელეგრაფისა და სხ. სკოლები. შვეიცარიაში ქალს ნება აქვს უნივერსიტეტში ისწავლოს და ციურიხში ხომ განსაკუთრებული საექიმო ფაკულტეტი არის ქალებისთვის. აგრეთვე ინგლისში; აქვე შევნიშნავ, რომ თვით გლადსტონის ქალმა დიპლომი მიიღო უმაღლესის განათლებისა; 1872 წ. ლონდონში საექიმო სკოლა გახსნეს ქალებისთვის და ბევრი ქალია მასში პროფესორათ. იტალიაში ქალებს ბოლონიის უნივერსიტეტში აქვთ სწავლის ნება. შვეციაში მათ ექიმობა შეუძლიათ. მაშასადამე

ქალების უმაღლესის განათლების საქმე წინ მიდის. ერთის მხრით, შეუდარებლივ, ჯერ პატარა მანძილი გაუვლია, მაგრამ მეორე მხრით, შედარებით მასთან, რაც ამ რამოდენიმე ხნის წინ იყო, იგი ძალიან წინ წასულა. საუბედუროდ ჩვენში უმაღლეს და საშუალო სასწავლებელთ შორის არ არის არავითარი კავშირი და ვისაც სურს შესვლა უმაღლესში, უშველებელ ხევზედ მოუნდება გადახტომა. ამას გარდა, უმაღლესს სასწავლებელში კურს-გათავებულს არავითარი ასპარეზი არა აქვს მოქმედებისა და ამ მხრით ჩვენი მოსწავლე ქალები ძალიან გვანან ბავშვებს, რომელთაც დიდი ხნის ტირილის შემდეგ, ახალი ტანისამოსი ჩააცვეს, მაგრამ მაინც სცემეს და შემდეგ ბნელ ოთახში დაამწყვდიეს. ეს ორი მავნებელი გარემოება ძალიან უშლის უმაღლეს განათლებას, თუმცა მათ თავიდამ აცილება ადვილია: შეიცვალოს პროგრამმა საშუალო სასწავლებლისა და მეტი ასპარეზი ჰქონდეს ქალს მოქმედებისა. იმედი ვიქონიოთ, რომ ეს შეცდომები გასწორებულ იქნებიან; ძნელია კაცს იმედი არა ჰქონდეს, როცა იმედიანობა ასე ძალიან უნდა.

ქალისაგან უმაღლეს განათლების მებნა თავისუფლების მებნა არის. ბევრი დაბრკოლება, ბევრი კაი-კაკლახი არის ამ გზაზედ, მაგრამ იმიტომ რომ თავისუფლება მუქთად ვერ იშოვნებაო, სთქვა სენეკამ. ჯერ ამ საქმეს მოსარჩლე ცოტა ჰყავს, მაგრამ, შილლერისა არ იყოს, — ხმები უნდა აიწონოს და არა დაითვალოს. მინამ ქვეყანაზე სისულელე იქნება, მინამ პროგრესის და სინათლის მოწინააღმდეგენიც იქნებიან, რადგან, როგორც გიოტე ამბობს, სისულელეს თვით ღმერთებიც ვერ მოერევიან. ჭეშმარიტება კი, როგორც ჰაერი ან სინათლე, ყოველთვის გაიკვლევს გზას: მისი დამალვა არ შეიძლება.

ი. მ—ანი.

# წერილი რედაქტორთან.

ბ. რედაქტორო! გთხოვთ, რომ ამ წერილს «ივერიის» ერთ ერთს წიგნში ადგილი დაუთმოთ.

მეჩვიდმეტე საუკუნის ქართულ მწერლობაში ერთი უპირატესი ადგილი მეფე თეიმურაზ (1605—1665) პირველს უჭირავს და მის ნაწერებს. თეიმურაზის ზოგი ნაწარმოებნი დაბეჭდილია ქართულს ჟურნალებში და გაბნეულია აქა-იქ. მაგრამ არის იმისთანა ნაწარმოებნიცა, რომელნიც დაუბეჭდავნი არიან და მათი მოპოვება ამ ჟამად იშვიათ რამეს შეადგენს. მე განვიძრახე თეიმურაზის ყველა ნაწერების შეგროვება და ცალკე წიგნათ გამოცემა, მაგრამ ზოგიერთ ნაწარმოებთ მოუპოვებლობამ აქამომდის შემაბრკოლეს. თეიმურაზ პირველის ნაწერთაგან მე მოვიპოვე მხოლოდ შემდეგი ნაწარმოებნი: 1, ვარდ-ბულბულიანი, პოემა სპარსულიდამ ნათარგმნი, 2, ლეილ-მაჯნურისა, პოემა სპარსულიდამ ნათარგმნი, ამ პოემას იოჰ. შერრიც მოიხსენებს ლიტერატურის ისტორიაში. ეს პოემა გადათარგმნილია ნემეცურად გარტმანისაგან და დაბეჭდილია 1807 წ. 3, მაჯამა, (ანუ მუსტაზადი) ორიგინალური პოემა, 4, სანთელი და პეპელა, პოემა, 5, შედარება, პოემა. მე მაკლია შემდეგი ნაწარმოებნი: 1, იოსებისა და ზილიხანისა, პოემა, ნათარგმნი სპარსულიდამ. ამ პოემას შერრიც მოიხსენებს და გადათარგმნილია ნემეცურად ბ. როზენცვეიგერისაგან და დაბეჭდილია 1814 წ. გერმანიაში, 2, ქება და მგობა ხელმწიფეის მეფის ალექსანდრესი და დედოფლის ნესტან-დარეჯანისა, 3, გრემის სასახლეზედ თქმული ლექსი, 4, დავით გა-

რეკვის მონასტერს ნახულ მეფის თამარის სახეზედ ნათქვამი 5. წამება თავის დედის ქეთევან დედოფლისა და 6, ხრონოგრაფი. ამ უკანასკნელს აქვს ნაწარმოებს ბ. პეტრე უმიკაშვილი ასახელებს 1875 წ. გამოცემულის თეიმურაზის «ვარდ-ბულბულიანის» წინა-სიტყვაობაში, და უმჯობესია, რომ ამ პატივ-ცემულს და დამსახურებულს მწერალს ყველა ეს ნაწარმოებნი წაკითხული და დაცული ექმნება.

ახლა ამ წერილის საშუალებით უნდა მივმართო ჩვენს ქართველს საზოგადოებას და ვსთხოვო, რომ თუ ვისმეს რამე აღმოუჩნდეს თეიმურაზ მეფის ნაწერებისა, ყველა ესენი დროებით დაგვითმოს, ან მოყიდვით, ან თხოვებით და ან გადასაწერად მაინც. როგორც ზემოთაც მოვიხსენე, ჩემთვის საჭიროა მხოლოდ ის პოემები, რომელნიც მე არა მაქვს და რაც უსაჭიროესნიც არის თეიმურაზის ნაწერების ერთად შედგენისთვის. იმედია, რომ ეს თხოვნა უყურადღებოდ არ დარჩება და მით საშუალებას მომცემენ, რომ მეჩვიდმეტე საუკუნის ერთ ქებულ-რომანტიულ ქართველს საუკეთესო მწერალს თავისი თხზულებანი აღუდგინოთ და მით ჩვენს ძველად მდიდარს და ახლა ღარიბს მწერლობასაც ერთი გვარიანი ხელოვნური თხზულება შევძინოთ.

გ. მ. ჩვენ შევიტყეთ, რომ თეიმურაზ პირველის და თეიმურაზ მეორის ნაწერები, თბილისში, სიონის მღვდელს, პატივ-ცემულ გრიგოლ მღებრიშვილს ჰქონია, მაგრამ, როგორც გადმოგვცეს, ყველა ის ნაწერები ერთ წიგნად შეკრული ვიღაცას თხოვნით გამოურთმევია და წაუღია სამუდამოდ! იმედია, რომ ეს პატივცემულნი პირნი ეხლა მაინც მოსძებნიან და გვათხოვებენ რამდენიმე ხნით.

ზ. ჭიჭინაძე.

# განცხადება

## თბილისის თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკისაგან.

თბილისის სათავად-აზნაურო ბანკის მმართველობა ამით აცხადებს, რომ ოცდა მეერთე (21) ტირაჟში, რომელიც მოხდა ამ წლის ოქტომბრის 29, გამოვიდა შემდეგი ნომრები ამ ბანკის გირავნობის ფურცელთა:

1) გირავნობის ფურცელნი, გამოცემულნი 28 მაისის 1874 წლის წესდების ძალით:

1 სერიისა

18 წლ. და 7 თვ. ვადით.

ათი თუმნის (100 მ.) ღირსებისა №№ ოცდა რვა (28), ორმოცდა ადი (50) და ოთხმოცდა თვრამეტი (98).

2 სერიისა

18 წ. 7 თვ. ვადით.

ათი თუმნის (100 მ.) ღირსებისა № ექვსი (6)

27 1/2 წლით.

ასი თუმნის (1000 მ.) ღირსებისა № ას ოცდა ჩვიდმეტი (137)

ათი თუმნის (100 მ.) ღირსებისა №№ ას ორმოცდა ორი (142), ას სამოცდა ხუთი (165) ას სამოცდა ჩვიდმეტი (177).

3 სერიისა

ასი თუმნის (1000 მ.) ღირსებისა № ას თოთხმეტი (114)

ორმოცდა ათი თუმნის (500 მ.) ღირსებისა № ორმოცი (40).

ასი თუმნის (100 მ.) ღირსებისა №№ ერთი (1), რვა (8) და ასორმოცდა ათი (150).

5 სერიისა

ორმოც და ათის თუმნის (500 მ.) ღირსებისა № ცამეტი (13).

6 სერიისა

ასის თუმნის (1000 მ.) ღირსებისა № ორი (2).

8 სერიისა

ათი თუმნის (100 მ.) ღირსებისა №№ ას თორმეტი (112) ას ცამეტი (113) და ას თხუთ-მეტი (115).

9 სერიისა

ასის თუმნის (1000 მ.) ღირსებისა № ცამეტი (13)

10 სერიისა

ასის თუმნის (1000 მ.) ღირსებისა № სამოცდა თორმეტი (72)

$43^{1}/_{2}$ წ. ვადით.

6 სერიისა

ათის თუმნის (100 მ.) ღირსებისა № ოცი (20)

7 სერიისა

ათის თუმნის (100 მ.) ღირსებისა № სამას სამოცდა ერთი (361).

8 სერიისა.

ათის თუმნის (100 მ.) ღირსებისა №№ ორმოცდა თოთხმეტი (54), ას ოთხმოცდა ათი (130) და სამას ოცდა რვა (328).

9 სერიისა.

ორმოცდა ათი თუმნის (500 მ.) ღირსებისა № შვიდი (7).

10 სერიისა.

ათი თუმნის (100 მ.) ღირსებისა № ექვსი (6).

11 სერიისა.

ათის თუმნის (100 მ.) ღირსებისა №№ ოცდა-შვიდი (27) და ოთხმოცდა ცამეტი (93).

$54^{1}/_{2}$ წ. ვადით.

5 სერიისა.

ასის თუმნის (1000 მ.) ღირსებისი № ასი (100).

2) გირავნობის ფურცელნი, გამოცემულნი ბანკის მიერ 1881 წ. 17 თებერვლის წესდების ძალით.

27½ წლ. ვადით.

1 სერიისა.

ასის თუმნის (1000 მ.) ღირსებისა №№ თერთმეტი (11), ოთხმოცდა ცხრამეტი (99), ას ოცდა სამი (123) და სამას ათი (310).

ათი თუმნის (100 მ.) ღირსებისა № ოთხმოცდა ათი (90).

2 სერიისა.

ასის თუმნის (1000 მ.) ღირსებისა №№ თექვსმეტი (16) რვა (8) ას თექვსმეტი (116). ას სამოცდა ერთი (161), ოთხას ოცდა ექვსი (426), ოთხას ოთხმოცდა თორმეტი (492), ექვსას ოთხმოცდა ხუთი (685), ექვსას ოცდა თოთხმეტი (634) და შვიდას სამოც და თხუთმეტი (775).

ათის თუმნის (100 მ.) ღირსებისა № ორას სამი (203).

3 სერიისა.

ასის თუმნის (1000 მ.) ღირსებისა № ას ოცდა ოთხი (124).

ათის თუმნის (100 მ.) ღირსებისა №№ ოცდა თექვსმეტი (36), ორმოცდა თოთხმეტი (54) და ას ოცდა ხუთი (126).

4 სერიისა.

ასის თუმნის (1000 მ.) ღირსებისა № ას ოცდა ცამეტი (133) და ას სამოცდა ათი (170).

ათის თუმნის (100 მ.) ღირსებისა №№ ორმოცდა თხუთმეტი (15), ას ორმოცდა ათი (150) და ას ოთხმოცდა ჩვიდმეტი (197).

5 სერიისა.

ასის თუმნის (1000 მ.) ღირსებისა №№ ას ოცდა ცხრამეტი (139) და სამას თორმეტი (312).

ორმოცდა ათის თუმნის (500 მ.) ღირსებისა № თოთხმეტი (14).

ათის თუმნის (100 მ.) ღირსებისა №№ თექვსმეტი

(16). ოცდა ექვსი (26), ოთხმოცდა ოთხი (84) და ას ათი (110).

6 სერიისა.

ასის თუმნის (1000 მ.) ღირსებისა № ორმოცდა ექვსი (46).

ათის თუმნის (100 მ.) ღირსებისა № სამოცდა სამი (63),

7 სერიისა.

ასის თუმნის (100 მ.) ღირსებისა №№ ას თხუთმეტი (115), ორას ოცდა შვიდი (227) და ორას სამოცდა თვრამეტი (278).

ათის თუმნის (100 მ.) ღირსებისა №№ ას ოცდა ერთი (121) და ორას ოთხმოცდა თორმეტი (291).

8 სერიისა.

ორმოცდა ათის თუმნის (500 მ.) ღირსებისა № შვიდი (7).

ათის თუმნის (100 მ.) ღირსებისა № ოცდა სამი (23).

9 სერიისა

ასის თუმნის (1000 მ.) ღირსებისა № თექვსმეტი (16).

ორმოცდა ათის თუმნის (500 მ.) ღირსებასა № ოცი (20).

ასის თუმნის (100 მ.) ღირსებასა №№ ორმოცდა ცამეტი (53) და სამოცდა ორი (62).

$43^1/_2$ წლის ვადით.

1 სერიისა.

ორმოცდა ათის თუმნის (500 მ.) ღირსებასა № ოცდა ცხრა (29).

ათის თუმნის (100 მ.) ღირსებისა, № ცხრამეტი (19).

2 სერიისა.

ორმოცდა ათის თუმნის (500 მ.) ღირსებისა № ხუთი (5).

3 სერიისა

ათის თუმნის (100 მ.) ღირსებისა №№ რვა (8), ორმოცდა თვრამეტი (58) და ას ათი (110).

4 სერიისა.

ათის თუმნის (100 მ.) ღირსებისა №№ ოცდა ცხრა მეტი (39), ორმოცდა თორმეტი (52) და ორმოცდა თვრამეტი (58).

5 სერიისა.

ათის თუმნის (100 მ.) ღირსებისა №№ ორმოცდა თერთმეტი (51), სამოცდა სამი (63) და სამოცდა თექვსმეტი (76).

6 სერიისა.

ათის თუმნის (100 მ,) ღირსებისა №№ ერთი (1) და ოთხმოცდა შვიდი (87).

7 სერიისა.

ათის თუმნის (100 მ.) ღირსებისა №№ თვრამეტი (18), სამოცდა თექვსმეტი (76) და ოთხმოცდა შვიდი (87).

8 სერიისა.

ასის თუმნის (1000 მ.) ღირსებისა № ორას ოცდა ექვსი (226).

ათის თუმნის (100 მ.) ღირსებისა № სამასი (300) და სამას სამოცდა ხუთი (365).

9 სერიისა.

ორმოცდა ათის (500 მ.) თუმნის ღირსებისა № ორი (2).

(1—1)

## ბიბლიოგრაფიული განცხადება

დაიბეჭდა, გამოვიდა და ისყიდება ახალი, მეხუთე, გამოცემა

# «ბუნების კარისა»

გასწორებული და შევსებული. ამ გამოცემაში ცოტად შემოკლებულია პირველი განყოფილება, რომელიც იპყრობს ბუნების მეტყველებას, ჩამატებულია ახალი სურათები, ახალი ლექსები, ქრისტომატია გადიდებულია, წიგნი შევსებულია ახალი ისტორიული განყოფილებით, რომელიც იპყრობს ვრცელს აღწერას საქართველოს ისტორიის სახელოვანი პირების ცხოვრებისას და მოქმედებისას. გარდა ამისა, წიგნის ყოველს განყოფილებაში დაკავშირებულია პროზა და ლექსები. გამოცემა შემკულია ახალი ქარტით, რომელიც მოჭრილია საუკეთესო თბილელ სპეციალისტისაგან. თუმც გამოცემა წინანდელზედ დიდია მთელი ასი გვერდით, მაგრამ უწინდელი ფასი შეუცვლელად არის დარჩენილი და წიგნი ღირს თხუთმეტი შაური. ვინც ათ ცალს ერთად იყიდის, წიგნი დაუთმობა თოთხმეტ შაურად, ვინც ოც-და-ათს — ცამეტად და ვინც ასს ცალს წაიღებს—სამ აბაზად მიეცემის. წიგნი ისყიდება გამომცემლის ზაქარია გრიქუროვის წიგნთა მაღაზიაში, კუკიის ხიდის ყურთან და ყველა სხვა მაღაზიებშიაც თბილისსა და ქუთაისში. ვისაც სურს ყდაში გადაკრული წიგნი მიიღოს, ყველა ცალის ფასს უნდა დაუმატოს სამი შაური.

ბიბლიოგრაფიული განცხადება

გამოვიდა ახალი სახელმძღვანელო წიგნი ქართული

# ქრისტომატია

უმცროს კლასებისთვის

შედგენილი

მიხეილ ნასიძისაგან.

შინაარსი: 1. პატარ-პატარა სტატიები, ლექსები და იგავები, 2) ზღაპრები. 3) საქართველოს ბუნებიდამ და ცხოვრებიდამ (ნიმუშები სამშობლო მწერლების საუკეთესო ნაწერებიდამ). 4) საქართველოს ისტორიიდამ.

ფასი 75 კ.

წიგნი ისყიდება თბილისში ყველა წიგნის მაღაზიებში, წიგნების დაბარება შეიძლება მხოლოდ «ცენტრალური წიგნის მაღაზიიდამ», რომელიც 15% (მანათზე 15 შაურს) დაუთმობს, ვინც არა ნაკლებ ათი ეგზემპლიარისას გამოიწერს. ერთი წიგნის დამბარებელმა ორი შაური გასაგზავნი უნდა დაუმატოს.

«ცენტრალური წიგნის მაღაზიის ადრესი: г. Тифлисъ, Центральная Книжная торговля.

---

გრ. ჩარკვიანის

# ქართული წიგნის მაღაზია

გადავიდა იმავე ლორის-მელიქოვის ქუჩაზედ სემენარიის პირდაპირ ზუბალოვის სახლებში.

# საქართველოს მოკლე ისტორია

ისყიდება:

თბილისში გრიქუროვის და ჩარკვიანის მაღაზიებში.

ქუთაისში ჭილაძესთან

ბათუმში მოსე ნათაძესთან.

თელავს როსტომაშვილთან

სიღნაღს ვ. ქიტიაშვილთან

გორს ს. ლიაძესთან.

ფასი 60 კაპეიკი.

ვინც პირ-და-პირ გამომცემლისაგან (Въ Тифлисъ Михайл. ул. д. № 45, Георгію Давидовичу Картвелишвили) დაიბარებს არა ნაკლებ 20 ეგზ., იმას წიგნი დაუთმობს 50 კაპ.

# განცხადება.

ამა 1885 წელს ჟურნალს «ივერიაზედ» ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ მთელის წლით.

ფასი მთელის წლისა შვიდი მანეთი.

ხელის-მოწერა მიიღება «ივერიის» რედაქციაში, რომელიც იმყოფება სოლოლაკში, ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, თვით რედაქტორის სადგომში, სახლი ი. ი. ზუბალოვისა, (მისავალი, როგორც ახალ-ბებუთოვის, ისე ლაბორატორიის ქუჩიდამ).

ქუთაისში, ჭილაძის მაღაზიაში.

ბათუმში, წერა-კითხვის საზოგადოების სკოლის მასწავლებელ მ. ნათაძესთან.

თელავში ვანო როსტომაშვილთან.

ქალაქს გარეშე ხელის-მომწერთ წერილი და ფული შემდეგის ადრესით უნდა გამოგზავნონ:

*Въ Тифлисъ*

*Въ Редакцію журнала «ИВЕРІЯ»*

---

რედაქტორი ილ. ჭავჭავაძე.